ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოფიო ანდღულაძე

# ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი

## (ვასილ კარბელაშვილი)

გამომცემლობა „პრინტ-ექსპრესი“
თბილისი
2006

ნაშრომში გაშუქებულია XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისის თვალსაჩინო სასულიერო პირის, ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მოღვაწეობა საქართველოს ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში. გამოკვლევაში წარმოდგენილი საარქივო-დოკუმენტური მასალების, პერიოდული გამოცემებისა და სამეცნიერო გამოკვლევების ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილია ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) შემოქმედების ძირითადი ასპექტები, რომლებიც იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების ფონზე განიხილება.
ნაშრომი განსაზღვრულია როგორც საქართველოს ეკლესიისა და ზოგადად საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის, ისე ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის.

**რედაქტორი:** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**ქეთევან პავლიაშვილი**

**რეცენზენტები:** 1. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**ვახტანგ გურული**

2. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
**თეა ქართველიშვილი**

გარეკანის მხატვარი: თ. კარბელაშვილი
ფოტომასალა მოგვაწოდა ლ. ტოგონიძემ

# შინაარსი

შესავალი ....................................................................................................5

თავი I

საქართველოს ეკლესიის ისტორიულ-კულტურული დანიშნულება..........13

თავი II

ეროვნული ეკლესიის ისტორიულ-კულტურული ფუნქციის აღდგენისათვის მებრძოლი ქართველი სამღვდელოება (1811-1917 წწ.) ————————31

თავი III

ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) ბიოგრაფია .........41

თავი IV

ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მოღვაწეობა ცარიზმის მმართველობის პერიოდში (1874-1917 წწ)

§ 1 - ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მოღვაწეობის ადრეული პერიოდი (1874-1883 წწ)..............................................49

§ 2 - ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიის ისტორიული საფუძვლის აღდგენისათვის

ა) ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება-განმტკიცების საკითხები და სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმისადმი დამოკიდებულება ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) შემოქმედებაში ......................54

ბ) ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) ბრძოლა ქართული ეროვნული კულტურის სიძველეთა დაცვა-გადარჩენისათვის ..........72

§ 3 - ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მონაწილეობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში (1905-1917 წწ)..............................................................................87

თავი V
ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მოღვაწეობა რუსეთის დროებითი მთავრობის მმართველობის პერიოდში (1917 წ. თებერვალი – 1918 წ. მაისი)....114

თავი VI
ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921 წწ) ....133

დასკვნა....147

რეზიუმე....155

ბიბლიოგრაფია....162

საძიებელი....169

*მონოგრაფიას ვუძღვნი სულიერ მოძღვარს, მის მა-ღალყოვლადუსამღვდელოესობას, მთავარეპისკოპოს სერაფიმეს (ჯოჯუა) და მეცნიერ-ხელმძღვანელს, პრ. ქეთევან პავლიაშვილს*

# შესავალი

საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მატიანეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ავტოკეფალიის გაუქმების ხანა, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიულ ფაქტს უკავშირდება. XIX ს. დასაწყისში ჯერ ქართლ-კახეთის სამეფოს, მოგვიანებით კი დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვამ, რასაც ქართული ეროვნული ეკლესიის თვითმმართველობის გაუქმებაც მოჰყვა, არსებითად შეცვალა ამ უკანასკნელის როლი საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში და ის რუსეთის იმპერიის სახელმწიფო-ბიუროკრატიული აპარატის დანამატად იქცა.

XIX საუკუნის 60-80-იანი წლებიდან საქართველოში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ავანგარდში ეროვნული ეკლესიის მესვეური სამღვდელოებაც ჩადგა. საუკუნეების მანძილზე დაგროვილი მდიდარი ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, ქართველი საზოგადოებრიობის მოაზროვნე ნაწილს კარგად ესმოდა, რომ თვითმყოფადი ეროვნული ეკლესია ოდითგანვე ქართული სახელმწიფოებრიობის მტკიცე საფუძველი იყო. ამით აიხსნებოდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა და ის ქართველი საზოგადოებრიობის თითქმის ყველა ფენის მხარდაჭერით სარგებლობდა. თავის მხრივ, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას საქართველოს ეკლესიის ისტორიულ-კულტურული ფუნქციის აღდგენისათვის უნდა შეეწყო ხელი.

თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულ საკითხს არაერთი ნაშრო-

მი მიეძღვნა, რათა სათანადოდ, ყოველმხრივ იქნას შესწავლილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებასთან დაკავშირებულ პრობლემათა ფართო სპექტრი. მონოგრაფიაში ჩვენს მიერ შესწავლილი საკითხიც ეროვნული ეკლესიის ფუნქციისა და დანიშნულების წარმოჩენაა, რომელიც XIX-XX საუკუნეების ცნობილი სასულიერო პირისა და ავტოკეფალისტის, ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფონზე განიხილება და ქართული ეროვნული ცნობიერების მარადიული ღირებულებების კიდევ ერთხელ ღრმად გააზრების საშუალებას იძლევა.

ნაშრომში მიზნად დავისახეთ გვეჩვენებინა XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე სასულიერო პირისა და ავტოკეფალისტის, ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მიერ განვლილი ბრძოლის გზა და მისი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ასპექტები, რაც დღემდე მონოგრაფიულად არ გახლავთ შესწავლილი. საარქივო მასალების, პერიოდული გამოცემებისა და სამეცნიერო გამოკვლევებზე დაყრდნობით შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ როგორი იყო მისი დამოკიდებულება და ბრძოლის მეთოდ-ხერხები ამა თუ იმ მნიშვნელოვან საეკლესიო თუ პოლიტიკურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტის საქმეში.

ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მოღვაწეობის გაანალიზების ფონზე დავასაბუთეთ, რომ ეროვნული ეკლესიის მესვეურმა სამღვდელოებამ, იბრძოდა რა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებებისა და აქედან გამომდინარე მისი ისტორიული მისიის აღსადგენად, უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საქმეში. ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამ (1917 წლის 12 მარტი) რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების (1918 წლის 26 მაისი) წინაპირობად იქცა, ხელი შეუწყო ქართული ეროვნული ცნობიერების აღდგენა-განმტკიცებას.

ჩვენი ნაშრომის დანიშნულება და ფუნქცია საისტორიო მეცნიერებაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს ეკლესიის

მესვეური სამღვდელოების ბრძოლის მნიშვნელობის განსაზღვრაა, რათა ერთობლიობაში იქნას გააზრებული აღნიშნული პერიოდის საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სრული სურათი და ის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რამაც შემდგომი პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, ცალკეული ერების პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ეკლესიის ისტორიის შესწავლას და მის ცალკეულ მოღვაწე პირთა შემოქმედების გაშუქებას, რაც მნიშვნელოვანი ორიენტირი უნდა გახდეს მომავალი თაობის სწორი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება-განმტკიცების საქმეში. საზოგადოებისათვის გარკვეულწილად ცნობილია ქართველ საზოგადო მოღვაწეთა საერო წარმომადგენლების დამოკიდებულება და ნააზრევი ქართული ეროვნული ცნობიერების მარადიულ ღირებულებებთან მიმართებაში, რაც სათანადოდ შესწავლილია კიდეც სამეცნიერო თვალსაზრისით. ჩვენი ნაშრომის სამეცნიერო სიახლეა აღნიშნული საკითხების გაშუქება თვალსაჩინო სასულიერო მოღვაწეთა, კერძოდ ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მოსაზრებების მიხედვით. სასულიერო პირთა შეხედულებები ამა თუ იმ პოლიტიკურ-კულტურულ საკითხებზე მით უფრო მნიშვნელოვანია და საინტერესო, რომ მათ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების საღვთისმეტყველო ახსნა გადმოგვცეს და მთელი სისავსით გააზრებული ისტორიული კანონზომიერებანი ერისათვის სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტას დაუკავშირეს.

იმდენად, რამდენადაც ეროვნული ეკლესიის მესვეურთა ნააზრევი საღვთისმეტყველო დასკვნებს ეფუძნებიან და შესაბამისობაში არიან ისტორიულ კანონზომიერებებთან, მათ შესწავლას სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს სასწავლო სფეროებში, რამეთუ ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) შემოქმედება ნათელი დასტურია საეკლესიო დისციპლინის (ღვთისმეტყველების) კავშირისა საეკლესიო ისტორიულ მეცნიერებასთან.

აქედან გამომდინარე, ნაშრომს მოკრძალებული წვლილის შეტანა შეუძლია ახალი საისტორიო დისციპლინის – ისტორიის ღვთისმეტყველების შესწავლის საქმეშიც.

ნაშრომი, რომელიც შედგება შესავლის, ექვსი თავისა და დასკვნისაგან, ქრონოლოგიურად მოიცავს XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე პერიოდს. ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მოღვაწეობა საბჭოთა ეპოქაზეც ვრცელდება. მაგრამ, რადგანაც საბჭოთა პერიოდში საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება რადიკალურად იცვლება (ის კვლავ კარგავს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას), შესაბამისად, საქართველოს ეკლესიას სახელმწიფოს წინაშე თავისი დანიშნულება და ფუნქცია ეკარგება და ქართველი სამღვდელოების ბრძოლა სხვა განზომილებაში გადადის. ის უმთავრესად ეკლესიის ფიზიკური გადარჩენის ძალისხმევას უკავშირდება. ტიპოლოგიური თვალსაზრისით, საბჭოთა პერიოდი ცალკე შესწავლის საგანს წარმოადგენს, ამიტომ ჩვენი ნაშრომის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი 1921 წლით განვსაზღვრეთ.

საქართველოს ეკლესიის ისტორიული დანიშნულების გაშუქებაში დიდი დახმარება გაგვიწია ივ. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორია", ნაწ. I-II, (ტფ. 1928), მ. თამარაშვილის „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე",(თბ. 1995),ანანია ჯაფარიძის „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", ტ. I, (თბ. 1996) და სხვათა ნაშრომებმა, სადაც ავტორები ხაზგასმით მიუთითებენ საქართველოს ეროვნული ეკლესიის უაღრესად დიდ მნიშვნელობას საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ყველა ეტაპზე.

რუსეთის იმპერიის ანტიეროვნული პოლიტიკის განხორციელების ნათელი სურათია დახატული ევ. ნიკოლაძის წიგნში „საქართველოს ეკლესიის ისტორია" (ქუთაისი, 1918), სადაც გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის დაცემა-დაკნინების მიზეზები და განხილულია ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებული პრობლემები.

საქართველოს ეკლესიის დაცემის ხანაზეა გამახვილებული ყურადღება მ. ხუციშვილის გამოკვლევებში: „საქართველოს ეკ-

ლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში" (თბილისი, 1987) და „საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციული ღონისძიებები რევოლუციური მოძრაობის განვითარების პერიოდში" (თბილისი, 1972). აღნიშნულ ნაშრომებში, უამრავ საარქივო მასალაზე დაყრდნობით, გადმოცემულია სასულიერო უწყების კონტრრევოლუციური საქმიანობა და ხალხის მასების დამოკიდებულება რუსული საეკლესიო პოლიტიკისა და მისი განხორციელებისადმი.

თერგდალეულთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების სოციალურ-ეკონომიური და თეორიული საფუძვლებია განხილული ა. იოსელიანის ნაშრომში „საქართველოს ისტორიის პრობლემები და თერგდალეულნი" (თბილისი, 1972), სადაც ავტორის მიერ ნაჩვენებია ის შეუპოვარი ბრძოლა, რომელსაც თერგდალეულთა ბრწყინვალე პლეადა ეწეოდა საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის. ნაშრომი მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის დაწყების პერიოდის გასაშუქებლად. აღნიშნული პერიოდის განსახილველად ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ა. ვარაზაშვილის ნაშრომი „ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში (XX ს. დასაწყისში, 1917 წლამდე) " (თბილისი, 2000).

XIX-XX საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხების გაანალიზებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს ანანია ჯაფარიძის ნაშრომებმა: „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია" (თბილისი, 1997) და „საქართველოს საეკლესიო კრებები" ნაწ. III (თბილისი, 2003). ამ უკანასკნელ ნაშრომში ნათლადაა წარმოჩენილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების გზაზე გამართული საეკლესიო კრებების ისტორიული მნიშვნელობა.

პროფ. ქ. პავლიაშვილის მონოგრაფიები: „საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში" (თბილისი, 1995) და „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში" (თბილისი, 2000) კი უმნიშვნელოვანესი გზამკვლევი აღმოჩნდა, რომლებმაც უაღრესად დიდი დახმარება გაგვიწიეს ჩვენი საკვლევი პერიოდის

შესასწავლად და იმ უარყოფითი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წარმოსაჩენად, რაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა. ამ პრობლემათა წარმოჩენის ფონზე საშუალება მოგვეცა დაწერილებით გაგვეშუქებინა ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) დამოკიდებულება და ბრძოლის მეთოდ-ხერხები ამა თუ იმ საეკლესიო საკითხების გადასაწყვეტად, იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით.

ჩვენთვის საყურადღებო მასალა იქნა მოპოვებული კალისტრატე ცინცაძის მემუარული ხასიათის წიგნში „ჩემი მოგონებებიდან" (თბილისი, 2001), რომელიც საქართველოს ეკლესიის ისტორიის უახლოესი წარსულის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. წიგნში განხილულია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის საგულისხმო საკითხები.

XIX-XX საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ვითარების შეფასებისა და საქართველოს ეკლესიასთან პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულების შესახებ საინტერესო მასალას იძლევა დ. შველიძის წიგნი „პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში – ფედერალისტები" (თბილისი, 1993), სადაც ნაჩვენებია აგრეთვე ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება და პოზიცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით.

1905-1907 წლების რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი ეტაპია სიღრმისეულად განხილული შ. ჯაფარიძის ნაშრომში „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი 1905-1907 წლების რევოლუციურ საქართველოში" (საკანდიდატო დისერტაცია) (თბილისი, 2003). ნაშრომმა დიდი სამსახური გაგვიწია ავტოკეფალური მოძრაობის აღნიშნულ პერიოდში ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მოღვაწეობის არსებითი მხარეების წარმოსაჩენად და გასაანალიზებლად.

ნაშრომში ფართოდ იქნა გამოყენებული XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გამომავალი პერიოდული გამოცემების მასალები, სადაც გაშუქებულია საქართველოში ფარ-

თოდ გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და მასთან სისხლხორცეულად დაკავშირებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მნიშვნელოვანი საკითხები. განსაკუთრებით უხვი მასალა იქნა მოპოვებული გაზეთების: „ივერია", „დროება", „საქართველო", „ცნობის ფურცელი", „ალი" და ა.შ. ჟურნალების: „კლდე", „მოგზაური", „კვალი" და სხვ. ფურცლებზე. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ ჟურნალ-გაზეთების პუბლიკაციები, რომლებიც უშუალოდ ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მიერაა გამოქვეყნებული, ასევე მის შესახებ დაბეჭდილი პუბლიკაციები, რომლებიც უმთავრესად საქართველოს ეკლესიისათვის სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტას უკავშირდება.

საყურადღებო მასალას გვაწვდის XX საუკუნის დასაწყისის სასულიერო ხასიათის პერიოდული გამოცემები, ჟურნალები: „მწყემსი", „ჯვარი ვაზისა", საქართველოს საეგზარქოსოს ოფიციალური გამოცემა „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე" (1891-1906), გაზეთი „სიტყვა", რომელიც 1906 წელს გამოდიოდა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის საწყის ეტაპზე.

ჩვენი საკვლევი თემის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივის ვასილ კარბელაშვილის (№31) პირად ფონდში დაცული უამრავი ხელნაწერი და დოკუმენტური მასალა, რომლებშიც ნათლადაა ასახული მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის არსებითი მხარეები. ნაშრომზე მუშაობისას ვისარგებლეთ ამავე ინსტიტუტში დაცული კ. სამაგლიშვილისა და თ. ჟორდანიას პირადი ფონდებითაც.

განსაკუთრებით საგულისხმოა აქამდე გამოუქვეყნებელი და უცნობი მასალა ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) არალეგალური მოღვაწეობის შესახებ, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდებშია დაცული. ამ მხრივ საყურადღებოა კავკასიის მთავარმმართებლის კანცელარიის (ფ. 12), საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარიის

(ფ. 488) და თბილისის სასულიერო სემინარიის (ფ. 440) ფონდები. აღნიშნულ ფონდებში მიკვლეულმა მასალამ საშუალება მოგვცა ნათლად წარმოგვეჩინა მისი არალეგალური მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ასპექტები. ნაშრომში გამოყენებული იქნა აგრეთვე ამავე არქივის ლეონიდე ოქროპირიძის (ფ. 1459) პირად ფონდში დაცული დოკუმენტები.

ჩვენი ნაშრომი, მოპოვებული მასალების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე, ცნობილი სასულიერო პირისა და საზოგადო მოღვაწის, ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის გაწეული ღვაწლის წარმოჩენის მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს.

# თავი I

# საქართველოს ეკლესიის ისტორიულ-კულტურული დანიშნულება

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიულ-კულტურული დანიშნულების შეფასება ქართულ ისტორიოგრაფიასა და კულტუროლოგიაში ერთგვაროვანია. საქართველოს ისტორიის თვალსაჩინო მეცნიერ-მკვლევარები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ საქართველოს ეკლესია უდიდეს როლს ასრულებდა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ყველა ეტაპზე, რომელსაც განსაკუთრებული უპირატესობა ჰქონდა მოპოვებული სახელმწიფოს წეს-წყობილებაში, პოლიტიკურ ცხოვრებასა და კულტურაში (19,58). ეროვნული ეკლესიის ამ მიმართულებით დანიშნულებამ განვითარების რთული გზა განვლო და ის პირობითად რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს, რომელთა შორის საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტის ყველაზე შემაღლავი პერიოდი 1811-1917 წლები იყო.

ქრისტიანული სარწმუნოება, რომლის წანამძღვრებიც ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვებოდა ქართულ წარმართობაში, ისე შეისისხლხორცა ქართველმა ერმა, რომ იგი მისი არსებობის საფუძველი შეიქმნა. „...მართლმადიდებლთ ჯვარი იყო ქართველების მამული, სიმბოლო მისის ეროვნებისა, საგანი მთელის მისის ისტორიისა, ქართველთა ერი ჭეშმარიტად ჯვრის მტვირთველი ერია“ (63,3). ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან[1], ფაქტობრივად საქართველოს ეკლესიის თვითმყოფადობის (ავტოკეფალიის – ს. ა.) აღიარებისათვის ბრძოლის რთული გზა იწყება, რომელიც რამდენიმე ეტაპად იყოფა: 1) IV-V საუკუნეები; 2) X-XI საუკუ-

1 ამ ფაქტის ირგვლივ სამეცნიერო საზოგადოებაში აზრთა სიჭრელეა: ვახუშტი ბაგრატიონი ქართლის მოქცევის თარიღად 317 წელს ასახელებდა, მსგავსადვე ათარიღებდნენ ი. ჭავჭავაძის თანამედროვე ისტორიკოსები: დ. ბაქრაძე, პ. იოსელიანი, გ. საბინინი, თვ. გვარამაძე, ამავე აზრს იზიარებს ისტორიკოსი ვ. გოილაძე, რომელიც ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას 317-318 წლებით ათარიღებს, ისევე როგორც პროფ. ანანია ჯაფარიძე. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს გაქრისტიანების თარიღად 337 წელს მიიჩნევდა, თითქმის ამგვარადვე ათარიღებს მ. სხარტიშვილი (IV ს. 30-იანი წლები). კორნელი კეკელიძე ქართლის მოქცევის თარიღად 355-356 წლებს მიიჩნევდა. დღეს გაზიარებულია 326 წელი.

ნეები; 3) XX საუკუნის 10-იანი წლები; 4) XX საუკუნის 90-იანი
წლები. ყოველმა ეტაპმა, თავის მხრივ, საქართველოს ეკლესიის
ისტორიულ-კულტურული ფუნქცია წარმოაჩინა კონკრეტულ ეპო-
ქასთან შესატყვისობაში.

ივერიის საკათალიკოსო ეკლესიას ვახტანგ გორგასლის მე-
ფობის დროს ჩაეყარა საფუძველი (V ს. მე-2 ნახევარი). ამ დროი-
სათვის, საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი კათალიკოსის
ხარისხში იქნა აყვანილი. ვახტანგ გორგასალმა ეკლესიაში ძირეუ-
ლი რეფორმების გატარებით დაიწყო მისი მთლიანობის დაცვა-
განმტკიცება. ეროვნული ეკლესიის სიმტკიცე კი, თავის მხრივ, ქარ-
თული სახელმწიფოს ძლიერების გარანტი უნდა გამხდარიყო. მას
უნდა გაეწია ეროვნული სახელმწიფოებრივი იდეოლოგია და ხელი
შეეწყო ეროვნული კულტურის აღმავლობისათვის.

საქართველოს ეკლესიის ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბება
VI საუკუნის შუა წლებიდან იწყება, როდესაც მის სათავეში, არჩე-
ვის გზით, ქართველი კათალიკოსი მოდის (საბა – 545 წ.) (5,403;
24,6). საქართველოს ეკლესიის ეროვნული ელფერის განმტკიცებას
დიდად შეუწყო ხელი საქართველოში ასურელი მამების ჩამოსვლამ
(სავარაუდოდ VI ს. 20-40-იანი წლები), რომლებმაც დიდი წვლილი
შეიტანეს არამარტო ერთიანი ეკლესიისა და სარწმუნოების განმტ-
კიცებაში, არამედ ქართული ფეოდალური ეროვნული კულტურის
საფუძვლის ჩაყრაშიც (13,218).

VI საუკუნისათვის საქართველოს ეკლესია უკვე ძალზე
დიდი და ძლიერი ორგანიზაცია იყო, რომელიც იმთავითვე მტკიცედ
შეუდგა მართლმადიდებლური რწმენის განმტკიცებასა და თვით-
მყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას. ანტიოქიის ეკლესია,
რომლის დაქვემდებარებაშიც თავდაპირველად იმყოფებოდა ივერი-
ის ეკლესია, ვერ ურიგდებოდა ამ უკანასკნელის დამოუკიდებლობას,
რის გამოც VII საუკუნის ბოლომდე მათ შორის ურთიერთობები
არ შეწყვეტილა. ქართული წყაროების თანახმად, საქართველოს ეკ-
ლესიას სრული დამოუკიდებლობა კონსტანტინეპოლის VI მსოფ-
ლიო საეკლესიო კრებამ მიანიჭა (681 წ) (1,110).

ავტოკეფალიის დაკარგვის რეალური საფრთხე საქართვე-

ლის ეკლესიას X-XI საუკუნეებშიც შექმნა, როდესაც მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში არაბთა ბატონობის შესუსტებასთან დაკავშირებით, ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური ინტერესები საქართველოსთან მიმართებაში რადიკალურად შეიცვალა. ბიზანტიის იმპერიის საქართველოსთან დაპირისპირება პოლიტიკურ ურთიერთობებთან ერთად, საეკლესიო ურთიერთობის სფეროშიც გამოიხატა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე დასმა XI საუკუნის შუა წლებში მისი კანონიერების საკითხი დააყენა, ვითომდა ივერიის ეკლესიას „სამოციქულო კანონების“ დარღვევით, თვითნებურად ჰქონდა მიღებული დამოუკიდებელი მმართველობა. ანტიოქიის პატრიარქმა თეოდოსიმ, რომელმაც საქართველოს ეკლესიის დამორჩილების მშვიდობიან ხერხს მიმართა, ქართველთა მეფეს ურჩია „თვითნებურად“ მიღებული ავტოკეფალია გაეუქმებინა და საქართველოს ეკლესია კვლავ ანტიოქიის საყდრისათვის დაემორჩილებინა. აღნიშნული ბრალდება მეტად სერიოზული აღმოჩნდა, რადგან „სამოციქულო კანონების“ გარეშე ეკლესიის გამართვა მწვალებლობისა და კათოლიკე ეკლესიისაგან ჩამოცილების ტოლფასი იყო. ანტიოქიაში გამართულ კრებაზე, სადაც საგანგებოდ განიხილეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, ქართული მხარის ინტერესები ბრწყინვალედ დაიცვა გიორგი მთაწმინდელმა, რომელმაც არგუმენტირებულად დაასაბუთა საქართველოს ეკლესიის აპოსტოლური წარმოშობა. აღნიშნულ გამარჯვებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის თავისთავადობის განმტკიცებისათვის, არამედ ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური ძლიერების თვალსაზრისითაც.

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ (1453 წ.), მსოფლიო პოლიტიკური კლიმატის შეცვლასთან დაკავშირებით, XV საუკუნის ბოლოს, „მესამე რომის“ ადგილის პრეტენზია რუსეთის ეკლესიამ გამოაცხადა. მოსკოვის „მესამე რომად“ გამოცხადების თეორია რუსეთის იმპერიის ჩამოყალიბების იდეოლოგიურ საფუძვლად იქცა. ერთმორწმუნე რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, რაც XVIII საუკუნის მიწურულს განხორციელდა, საქართველოშ

დაკარგა როგორც სახელმწიფოებრივი ისე საეკლესიო დამოუკიდე-ბლობა. XX საუკუნის 10-იანი წლებიდან კი დაიწყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი, რომლის უმთავრესი საკითხები ქვემორე ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული. ავტოკეფალიის მოპოვებისთვის ბრძოლის ამ ეტაპზეც განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოჩინდა საქართველოს ეკლესი-ის ისტორიულ-კულტურული ფუნქცია და თავისი მნიშვნელობი-დან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიის თავისთავადობისათვის ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში აღმოჩნდა. 1917 წლის 12 მარტს აღდგენილ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მაგრამ მისი სრული დაკანონებისათვის ბრძოლა, პოლიტიკური ვითარებებიდან გამომდინარე, XX საუკუნის 90-იან წლებამდე გაგრძელდა. 1990 წლის 7 იანვარს, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის უდიდესი ძალისხმევით, საქართველოს ეკლესიის ავტოკე-ფალური უფლებები აღიარებულ იქნა მსოფლიო საპატრიარქოს მიერ (13,415), რითაც ფაქტიურად დასრულებულ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის ხანგრძლივი ისტორია.

ძლიდან საქართველოს ეკლესიის დაარსებისა, ეროვნული სარწმუნოების ფუნქციაგააზრებული ქართველები უშურველად სწირავდნენ მშობლიურ ეკლესიას უძრავ-მოძრავ ქონებას, ეწეოდ-ნენ მართლმადიდებლური მრწამსის ეროვნული თვითმყოფადობის გადამრჩენის იდეოლოგიას მასებში და ა.შ. ეკლესიის მთლიანობის დაცვა ოდითგანვე ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია იყო, ის ვალდებული იყო ხელი შეეწყო ეკლესიის სიმტკიცისათვის, არ დაეშვა მასში მწვალებლობანი და განხეთქილებანი. შესაბამისად, ეროვნულ ეკლესიას სახელმწიფოს წინაშე უდიდესი მისია ეკისრებოდა ქართული სახელმწიფოს ერ-თიანობისა და ძლიერების განმტკიცების თვალსაზრისით. მას უნდა გაეწია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია და ხელი შეეწყო ერის კულტურული აღმავლობისათვის. ამით იყო განპირობებული, რომ მეფე ზრუნავდა ეკლესია-მონასტრებისა და საეპარქიო საყ-დრების მატერიალურ კეთილდღეობაზე, რისთვისაც პერიოდულად

სწორავდა ყმა-მამულს, განუწესდა ხოლმე სარგოს (12,77). განუზომელი იყო საერო მთავრობის მხრივ ეკლესიის ქონებრივ უფლებათა ხელშეუხებლობა, რასაც მოწმობს თითქმის ყველა სიგელ-გუჯარი XI საუკუნიდან XVIII საუკუნის დამლევამდე. ამასვე ამტკიცებს ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეთა ერეკლე II და გიორგი XII ცნობილი ფრაზა, რომლითაც ისინი ცხადად აღიარებდნენ, რომ „ჩვენ არამც თუ საეკლესიო მიწების ჩამორთმევა, ხელის შეხებაც კი არ შეგვიძლიაო...“ (72,2). მარტოოდენ უძრავი ქონებიდან მიღებული ქონება ყოველწლიურად 8-10 მილიონამდე შემოსავალს აძლევდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებს. „...ესოდენი თანხა რამდენად უზრუნველყოფდა მთლიანად სამღვდელოებას და რაოდენ შემძლებლობას აძლევდა თვითმოქმედებისათვის, ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია" (39,3).

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ჰარმონიულმა თანამშრომლობამ განაპირობა, რომ განუზომელად დიდი იყო საქართველოს ეკლესიის როლი და მნიშვნელობა ქართულ სახელმწიფოებრიობაში. მან თავიდანვე აიღო თავის თავზე ქართული სახელმწიფოს გაერთიანებისა და განმტკიცების მისია. იგი „ყოველთა ქართველთა“ გამაერთიანებლად გამოდიოდა ჯერ კიდევ საქართველოს გაერთიანებამდე, როდესაც დამოუკიდებელი სახით არსებობდა სხვადასხვა ქართული პოლიტიკური ერთეულები (13,236). გაერთიანებულ საქართველოში კი საქართველოს ეკლესიის მნიშვნელობა კიდევ უფრო ამაღლებულ იქნა, რაც სამეფო კარზე მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობის (პირველი ვეზირი) შექმნით გამოიხატა. ეს უკანასკნელი არა მარტო სასულიერო, არამედ საერო საქმეებსაც განაგებდა.

ეკლესიის უზენაეს დანიშნულებასა და საეკლესიო მართვა-გამგეობის განსაკუთრებულ ხასიათზე ხაზგასმითაა მინიშნებული „რუის-ურბნისის ძეგლისწერაში“: „...ეკლესიის უმაღლესი დანიშნულებაა სულის შინაგან თვისებათა განბრწყინვება და საქმეთა მიერ განსრულებული სარწმუნოებით ღმერთთან ქრისტიანების შეერთება...“ (20,229). თამარ მეფის სიტყვებით ამ აზრის განსახორციელებლად საჭირო იყო „საღმრთო სჯულისა შეურყვნებლად

დაცვა", რომელიც ევალად აწვა როგორც მეფეს, ასევე საეკლესიო იერარქიას. მეფეს „საქმით, განსწავლით და განწვრთნით" დარაჯობდა საღმრთო კანონებს, საეკლესიო იერარქია კი „სიტყვით, სწავლით და წვრთით", ე.ი. ქადაგებითა და წაგონებით უნდა ემოქმედა (80,1-3).

საქართველოს ეკლესიის აქტიური ზეგავლენა ქართულ სახელმწიფოებრიობაში ხელს უწყობდა ქართველთა ეროვნული თვითმყოფადობის განმტკიცების საქმეს. ეკლესიიდან იწყებოდა ქართველობის შეგნების, ღვთისა და მამულისადმი ერთგულებისა და თავგანწირვის ქადაგება, რომლის მაგალითსაც თავად სასულიერო პირები იძლეოდნენ. საქართველოში არსებულ ყველა დიდ ეკლესია-მონასტერს ჰყავდა თავისი საკუთარი კარგად გაწვრთნილი ლაშქარი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მეფის სადროშოსთან ერთად ებრძოდა საქართველოს მტრებს (13,236). ისტორიას ბევრი მაგალითი ახსოვს ეპისკოპოსთა და მონასტრის წინამძღვართა გმირული ბრძოლისა. ასეთი მაგალითები ერთიანად აღანთებდნენ ქართველებს სჯულისა და მამულის დასაცავად. „...ომიანობის დროს ძრიელის სიტყვით, ქადაგებით აქეზებდნენ ხალხს სჯულისა და სამშობლოსათვის ბრძოლაში. თვით კათალიკოსი სრულიად ივერიისა და მისი ხელქვეითნი ქორეპისკოპოსნი ცხოველსმყოფელი ჯვრით და საეპისკოპოსო დროშით წინ მიუძღვოდნენ ქართველთა ძლევამოსილ ლაშქარს და ამგვარად, ყოველი ქართველის გულში ენთო დაუშრეტელი ცეცხლი სამშობლოს და ჯვარცმულის ქრისტეს სიყვარულისა" (39,3).

ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს, როდესაც საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიყო, ეკლესია ქვეყნის გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა და ცდილობდა შეექმნა საქართველოს, როგორც უძველესი სახელმწიფოს ერთიანობის შეურყეველი რწმენა. სასულიერო პირნი პროგრესული პოლიტიკური პოზიციის მატარებელნი იყვნენ და თანაუგრძნობდნენ როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელ, ისე რევოლუციურ მოძრაობებს (18,4).

საქართველოში არსებული მრავალრიცხოვანი ეკლესია-მონასტრები სათავეში ედგნენ ერის კულტურულ ცხოვრებასაც.

ეკლესიიდან დაიწყო ეროვნული მწერლობის აღორძინება. სასული-ერო კერებთან გახსნილი სასწავლებლები ხელს უწყობდნენ ერის კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლებას. „...ეკლესია იყო არა მარტო საუნჯე სარწმუნოებრივი ცხოვრებისა, აქ თავს იყრიდა ყოველი დარგი კულტურისა. წირვის შემდეგ იგი სკოლა იყო, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, სხვადასხვა საგნებს, საერო და სასულიერო და უმაღლეს მეცნიერებებსაც. გარდა ამისა, ეკლესია იყო დაწესებულება, რომელიც სათავეში ედგა ქართულ ხელოვნებას. არქიტექტურა ქართული ეკლესიისა ეხლაც განსაცვიფრებელია, საუნჯე, რომელიც მასში ინახება, უდიდესი განძია ქართული ეროვნული კულტურისა...“ (26,1) – ასეთ შეფასებას აძლევდა ჟურნალი „კლდე“ XX საუკუნის 10-იან წლებში საქართველოს ეკლესიას ერის კულტურულ ცხოვრებაში.

საქართველოს ეკლესია ოდითგანვე უდიდეს როლს ასრულებდა ერის მორალურ-ზნეობრივი და სარწმუნოებრივი აღზრდის საქმეში. ასეთი მისიის შესასრულებლად იგი საჭიროებდა განათლებულ, მწიგნობარ და მაღალი მორალური სიწმინდის მქონე მოძღვარმქადაგებლებს. სწორედ ასეთი თვისებებით შემკული მოძღვარი იზრდებოდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებში, რომელიც „...იყო თვითშემოქმედი მართლაც და სულიერი მამა, რელიგიური დისციპლინით აღჭურვილი დიდის რწმენით და სათნოება-სასოებით აღფრთოვანებული, ორთავე სოფლის ცხოვრებაში ღვთის მოსავი მღვდელი ჯილდოს ზეციურ მეფისაგან მოელოდა დიდის იმედითა და რწმენითა...ივერიის ეკლესია იყო მარადის ქართველი ერის ნავთსაყუდელი, მისი ზნეობრივი აღმზრდელი სავანე, მისი დაუშრეტელი წყარო და გაუქრობელი ცეცხლი სულიერი განათლებისა და ხორციელი ცხოვრებისა...“ (39,3) ქართული მონასტრების დისციპლინით აღზრდილი მღვდელი თავის სამწყსოს ეროვნულად და ზნეობრივად ზრდიდა, სულს უძლიერებდა, ანუგეშებდა საყოველთაო უბედურებების, ჭირისა თუ შიმშილობის დროს. ამიტომაც „ქართველი კაცი ღვიძლი შვილი იყო ქრისტეს ეკლესიისა და მისი ყურმოჭრილი მონა და ამნაირი რწმენის მიზეზი იყო ის მაღალი მცნებანი, რომელნიც ყოველდღე ესმოდა ქართველს თავის ღვიძლ

ენაზედ, ღვიძლი მამის პირიდან. ქართველი მამა-მოძღვარი მაშინ იყო როგორც მაღალზნეობის არსება კაცთა შორის, ისე სწავლა-განათლების წარმომადგენელი, ხალხის სუსტი მაჯის გამაცხოველებელი"(80,1-3).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ საქართველოს კეთილმსახური მეფეები, სამღვდელოებასთან ერთად, არ მიმართავდნენ ძალდატანებას სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, რათა ყოველი საქართველოში მცხოვრები აუცილებლად მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი გამხდარიყო. პირიქით,როგორც მართლმადიდებლებს, ისეთივე პატივისცემით ეპყრობოდნენ სხვა რელიგიის წარმომადგენლებსაც. ამას მოითხოვდა როგორც პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა, ისე სარწმუნოებისა და კერძოდ, ეკლესიის თავისუფლების პრინციპი (70,2), ზოგადად ქრისტიანული მოძღვრება. „...ჩვენმა ხალხმა იცოდა სხვისი სჯულის, სარწმუნოების დაფასება, ისე და უფრო მეტად,თავისა,და რადგან სხვის სჯულს ხელს არ ახლებდა, იმასვე ითხოვდა სხვათაგანაც შესახებ თავის რწმენისა. და თუ ვინმე გაიფიქრებდა ამ რწმენის ენებას,იმას მეხივით ეცემოდნენ და ებრძოდნენ იმ დრომდის, მინემ ხიფათს არ გადაარჩენდნენ თავის სარწმუნოებას, რომელიც მიაჩნდათ სრულ ჭეშმარიტებად, მაცხოვრისაგან მონიჭებულად" (80,3).

ეკლესიის ავტოკეფალიისა და ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის ყველაზე რეალური საფრთხე საქართველოს რუსეთის იმპერიის ბატონობის ჟამს დაუდგა, ამიტომ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მატიანეში ეს პერიოდი ერთ-ერთ უმძიმეს ხანად განიხილება. საქართველოსადმი ცარიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკის გამოვლინება 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრიობის მოსპობით დაიწყო და 1811 წელს მცხეთის საკათალიკოსო ტახტის გაუქმებით დასრულდა (მოგვიანებით ანალოგიური ღონისძიებები დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებშიც განხორციელდა) და ის ასექვსი წლის განმავლობაში ქვეყნის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. აღნიშნული პოლიტიკა ქართველთა სულიერი გადაგვარებისა და

მათი იმპერიის მრავალეროვან სახელმწიფოში ასიმილაციისაკენ მიემართებოდა.

რუსეთის იმპერიის სარწმუნოებრივი პოლიტიკა, პირველ რიგში, ახალი საეკლესიო რეფორმების გატარებას გულისხმობდა. რადგან საქართველოს ეკლესიის მმართველობის წესი ძირფესვიანად განსხვავდებოდა რუსული ეკლესიის მმართველობისაგან (XVIII საუკუნის დასაწყისში, რუსეთში, იმპერატორ პეტრე I მეფობის ხანაში და შემდგომ პერიოდში, ეკლესია მთლიანად დაექვემდებარა სახელმწიფოს და ეკლესიაში შეიქმნა კოლეგიალური მმართველობა წმიდა სინოდის სახით), ამიტომ საჭირო გახდა მსგავსი რეფორმების გატარება საქართველოს ეკლესიაშიც. ქართველი ერის ნება-სურვილის წინააღმდეგ, თვით მორწმუნეთა ადგილობრივი და მსოფლიო საეკლესიო კანონების უხეში დარღვევით, რუსეთის იმპერიის მთავრობის მიერ გაუქმებულ იქნა: ა) კათალიკოსობის თოთხმეტსაუკუნოვანი თანამდებობა და ხარისხი, ბ) საქართველოს ეკლესიის თითქმის 800 წლიანი დამოუკიდებლობა, გ) ეკლესიის მმართველობის კრებითი პრინციპი, დ) ეკლესიის ქონებრივი დამოუკიდებლობა (71,2). ასეთი ღონისძიებების გატარების შემდეგ, საუკუნის დასაწყისშივე, საქართველოს ეკლესიამ დაკარგა თავისი ეროვნული სახე და ჩადგა იმ ჩინოვნიკური აპარატის რიგში, რომელიც საქართველოში ნერგავდა თვითმპყრობელურ რეჟიმს და იბრძოდა მისი განმტკიცებისათვის (18,8).

ცარიზმის მოხელეები თანმიმდევრულად ახორციელებდნენ საქართველოს ეკლესიის სახელმწიფო ხაზინაზე დამორჩილებას. 1852-1864 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო მიწები მთლიანად გადაეცა სახელმწიფოს, რის საზღაურადაც სამღვდელოებამ მიიღო 72653 მანეთი და 51 კაპიკი. ამ თანხის გარდა, ეკლესიის განკარგულებაში რჩებოდა საეკლესიო მამულების შემოსავალი სამი წლით, ხოლო მომავალი ცხრა წლის განმავლობაში – შემოსავლის ნახევარი ხმარდებოდა ამ მამულების მოვლას და ეკლესიისათვის საჭირო თანხების დაგროვებას (18,24). აღნიშნული რეფორმა ცხადყოფს, რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ფუნქციადაკარგული საქართველოს ეკლესიის რჩენას ისევ ქართული

საეკლესიო ქონება-შემოსავლის საშუალებით აწარმოებდა. 1869 წლისათვის, საეკლესიო მამულები მთლიანად სახელმწიფო ხაზინას გადაეცა, რის შედეგადაც, რუსეთის სახელმწიფო საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი საქართველოს ეკლესიის უზარმაზარი ქონების მესაკუთრე გახდა და ამ ქონების მართვის სადავეები და მისგან მაქსიმალური მოგების ამოღების შესაძლებლობები მის ხელში აღმოჩნდა (22,14). ამგვარად, საქართველოს ეკლესია და მისი სამღვდელოება მატერიალურად დამოკიდებული გახდა სახელმწიფო ხაზინაზე.

ეროვნული ეკლესიის დევნა-შევიწროვება ქართული ეპარქიებისა და სასულიერო პირთა რაოდენობის შემცირების გზითაც მიმდინარეობდა, რაც რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ეკლესიაში გატარებული ეკონომიკური რეფორმის განხორციელების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ავტოკეფალიის გაუქმების დროისათვის ქართლ-კახეთში 13 ეპარქია და 9 საარქიმანდრიტო იყო. ფუნქციონირებდა 799 ეკლესია, 746 მღვდელი, 146 დიაკვანი და 661 სხვა დანარჩენი სასულიერო პირი მოღვაწეობდა (13,368). აღნიშნული რეფორმის შედეგად, ქართლ-კახეთში მხოლოდ ორი ეპარქია (მცხეთა, ალავერდი) და ხუთი საარქიმანდრიტო (ბოდბე, ქვათახევმღვიმე, კახეთი, დავით-გარეჯი და იოანე ნათლისმცემელი) დარჩა. გარდა ამისა, დაიხურა მრავალი ეკლესია-მონასტერი და მასთან ერთად სასულიერო სასწავლებლები. ეკლესია-მონასტრების დახურვა, მათი დარბევისა და გაძარცვის სასტიკი მეთოდების გამოყენებით მიმდინარეობდა. ამ დროს საქართველოდან რუსეთში უამრავი სიმდიდრე და ძვირფასი არქეოლოგიური ნივთები გაიზიდა. ეგზარქოსები სდევნიდნენ ყველას, ვინც მათი პოლიტიკის წინააღმდეგობას გაბედავდა (8,210).

საქართველოს ეკლესიის ეროვნული მმართველობის აპარატის მოშლის შემდეგ, დაარსებულ იქნა სრულიად ახალი საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც 1811 წლისათვის სასულიერო დიკასტერიად იწოდებოდა და მოგვიანებით საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორად გადაკეთდა (1815წ). მის შემადგენლობაში შევიდა საქართველოს საეგზარქოსო მასზე დაქვემდებარებული ყველა

საეკლესიო დაწესებულებით. საქართველოს საეგზარქოსო არსებითად განსხვავდებოდა ქართული საკათალიკოსოსაგან როგორც შინარსითა და სტრუქტურით, ისე თავისი მასშტაბურობით (მასში ამიერკავკასიის გარდა ჩრდილოეთ კავკასია და კასპიისპირეთიც შედიოდა). საქართველოდან რუსეთში იძულებით გადაყვანილი კათალიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის ნაცვლად, საქართველოს საეგზარქოსოს მმართველად სინოდის მიერ ხელდასხმული მიტროპოლიტი, ეროვნებით ქართველი, ვარლამ ერისთავი დაინიშნა, რომელსაც „ეგზარქოსი"-ს წოდება მიენიჭა. მის შემდეგ, საქართველოს საეგზარქოსოს რუსი ეროვნების ეგზარქოსები მართავდნენ. რუსეთიდან საქართველოში მოვლინებული ეგზარქოსებისათვის ყველაფერი ქართული უცხო იყო, მათი უმრავლესობა გულგრილად და ზედაპირულად ეკიდებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ ტრადიციებს. იმპერიის მიზანმიმართული პოლიტიკა ერთიანი ქართული ეკლესიის დაკნინებით, მასში ეროვნული ელემენტების (ქართული ენის, ეროვნული ღვთისმსახურების, ეროვნული სასულიერო მუსიკის და ა.შ.) შეზღუდვითა და მოსპობით, ქართველი ერის სულიერ გადაგვარებას, მისი ეროვნულობის მოშლასა და იმპერიის მრავალეროვან ხალხებთან შერწყმა-ასიმილაციას აწარმოებდა. ამგვარი „მისიის" შესასრულებლად კი საჭირო იყო ისეთი სასულიერო პირების, ეგრეთ წოდებული „ეგზარქოსების" გამოგზავნა, რომლებიც სარწმუნოებრივი იარაღით განახორციელებდნენ თვითმპყრობელობის ინტერესებს. იმპერიის მთელი იდეოლოგია და სახელმწიფოებრივი მანქანა სწორედ ასეთ ადამიანებს ეყრდნობოდა, რომლებიც შეიძლება ღვთისმსახურის სამოსელში ყოფილიყვნენ, იარაღის გარეშე, მაგრამ ულმობლად წამლავდნენ დაპყრობილ ერთა სულიერებას, მის წარსულსა და აწმყოს (4,41).

ეკონომიკური რეფორმების გატარების შემდეგად თავი იჩინა სამღვდელოებასა და მრევლს შორის დაპირისპირებამ, რაც „დრამის" გადასახადის აკრეფასთან დაკავშირებულ უთანხმოებაში გამოიხატა. სახელმწიფო ხაზინიდან გაცემულმა ხელფასმა სამღვდელოება მატერიალურად არ უზრუნველყო. ისინი თვეების განმავლობაში ვერ ღებულობდნენ ჯამაგირს, ამიტომ მათი ძირითადი შემოსავალი

მოსახლეობიდან ამოღებული გამოსაღებით გროვდებოდა. ყოველივე ამან სოფლის მოსახლეობის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია, რომლებიც უარს აცხადებდნენ საეკლესიო გადასახადის გაღებაზე. „დრამის“ აკრეფას თან ახლდა კონფლიქტი და დაპირისპირება მოსახლეობასთან. უთანხმოება ხშირად სასულიერო პირთა მეტად უხეში და თავაშვებული საქციელით იყო გამოწვეული (44,2).

ყოველივე ზემოაღნიშნულმა საგრძნობლად შეარყია საუკუნეების განმავლობაში ეკლესიასა და მორწმუნე ერს შორის არსებული ჰარმონიული ურთიერთობების მკვიდრად დამყარებული ტრადიცია. საქართველოს ეკლესიაში რუსული მმართველობის წესების შემოღებამ მორწმუნეთა ეკლესიასთან გაუცხოვება გამოიწვია, რაც საბოლოო ჯამში, ეროვნულ ეკლესიას დეგრადაციის გზაზე დადგომას უქადდა. ეს უკანასკნელი, პირველ რიგში, სამღვდელოების ეკლესიისადმი დამოკიდებულების შეცვლას გულისხმობდა. ეკონომიურად გაღატაკებული სასულიერო პირების ერთმა ნაწილმა, მათი წოდებისათვის შეუფერებელი საქციელით, აშკარად შეილახეს ავტორიტეტი ხალხში. იმდროინდელი ქართული პრესა განსაკუთრებული ყურადღებითა და გულისტკივილით აშუქებდა ქართველი ერისათვის ამ მეტად საშიშ ტენდენციას და აღნიშნავდა, რომ ქართველი მოძღვრების ზნეობრივი მხარე დაცემული იყო და მათი საქმიანობა შემოიფარგლებოდა ქრთამების აღებითა და მარხვის გატეხვით, ჯერის წერისათვის სასყიდელზე აყალ-მაყალის ატეხვით, უმადურობითა და სხვა. „... ქადაგება რო მოაკლდა ეკლესიას და თვით მოძღვარნი შეიქმნენ არა სულიერ მამად ხალხისა, არამედ ფორმალისტებად, ჩინოვნიკებად, ჩვენ ხალხსაც გული გაუგრილდა და ეკლესიიდან გამოვიდა, ჩვენი ხალხი განშორდა ეკლესიას, ... მორწმუნე ერმა თანდათანობით ზურგი აქცია მშობლიურ ეკლესიას და ცრუმორწმუნეობის მორევში შესტოპა, დაავიწყდა უწინდელი ძმობა და სიყვარული, შეიქმნა ავი, მკილავი, ფიცის დამრღვევი და ურწმუნო. იმდენად დაეცა ხალხის ზნეობა, რომ ეკლესიაში შესვლა ეზარებოდა, სასულიერო პირებს კი სასაცილოდ იგდებდა. მოხელეთა უმრავლესობა, რომლებიც უცხო ტომის წარმომადგენლები იყვნენ, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ქართველთა

ზნე-ჩვეულებათა და აჭარგის შესახებ, ამიტომ ისინი გულგრილად ეკიდებოდნენ საქმეს და მხოლოდ ჩინოვნიკობდნენ" – აღნიშნავდა გაზეთი „დროება" (80,1-3).

ამგვარი საეკლესიო მდგომარეობის მიზეზებს ქართველი საზოგადოებრიობა რუსული სარწმუნოებრივი პოლიტიკის გატარების ლოგიკურ შედეგში ხედავდა და გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ბიუროკრატიულ წეს-წყობილებასა და რეჟიმს ყოველივე შეეცვალა და ეროვნული ეკლესიისა და სამღვდელოებისათვის თავისი ბეჭედი დაესვა, სამღვდელოება ქაღალდების მიწერ-მოწერას უნდებოდა და უმთავრესი, ე. ი. სჯული და სარწმუნოება კი დავიწყებული ჰქონდა. რა გასაკვირი იყო, რომ ქართველ ხალხს ასეთი სამღვდელოებისათვის ზურგი შეექცია და მისთვის უკმაყოფილება გამოეცხადებინა (78,2). მდგომარეობა იმდენად მწვავე და უმართავი იყო, რომ იმპერიის რუსი მოხელეებიც კი შეშფოთებულნი იყვნენ. აშკარა ადმინისტრაციული ღონისძიების გატარებამ გამოიწვია ხალხის სრული ჩამოშორება ეკლესიისაგან. ცარიზმის მიერ საქართველოს ეკლესიაში განხორციელებული რეფორმები პოლიტიკურ მიზნებს უფრო ემსახურებოდა, ვიდრე სარწმუნოებრივს. რუსი მოხელეები აღნიშნავდნენ, რომ რელიგია მთლიანად დავიწყებას იყო მიცემული, ხოლო მატერიალურად მრევლზე და „დრამის" გადასახადზე დამოკიდებული სამღვდელოება ხალხში აღარ სარგებლობდა ავტორიტეტით, რასაც თან ერთვოდა რუსი სასულიერო პირების უტაქტო დამოკიდებულება ქართველების მიმართ (23,23). საქართველოს სრული რუსიფიკაციის მიზნით ძალდატანებითი ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებას ისინი ცარიზმის პოლიტიკის კრახად მიიჩნევდნენ და უპირატესობას სკოლებში ახალგაზრდობის აღსაზრდელად ნაწარმოებ ჩუმ პოლიტიკას ანიჭებდნენ, რათა მომავალ თაობებში რუსული სულისკვეთება ჩამოეყალიბებინათ (23,30).

ამიტომაც იყო, რომ საქართველოს ეროვნული ეკლესიის ქონებრივი სადავეების ხელში აღების შემდეგ, საქართველოს საეგზარქოსოს მთელი ძალისხმევა ანტიეროვნული იდეოლოგიური რეფორმის გატარებისაკენ მიიმართა, რაც უპირველეს ყოვლისა,

ქართული სასულიერო-საგანმანათლებლო კერათა რუსიფიკაციის გზით ხორციელდებოდა. მათ მიერ დაარსებული სემინარიებისა და სასულიერო სასწავლებლების მიზანს იმპერიის პოლიტიკის ერთგული სასულიერო წოდების აღზრდა წარმოადგენდა. მეფის მრჩეველი შავრაზმელი მოღვაწეების აზრით, ასეთი სახის სასწავლებლებს შეეძლოთ სრულიად დაევიწყებინათ ქართველი ხალხისათვის დედაენა და გადაეგვარებინათ და მოესპოთ ქართველები როგორც ერი. ამით აიხსნებოდა, რომ 1860-იანი წლებიდან მოკიდებული, მეფის მთავრობა სულ უფრო და უფრო ავიწროებდა ქართულ ენას, ხოლო შემდეგ სავსებით განდევნა იგი სკოლებიდან (11,528).

საქართველოს რუსიფიკაციისათვის წარმოებულმა ღონისძიებებმა განსაკუთრებული სიმძაფრე 1880-იანი წლებიდან, ალექსანდრე III იმპერატორობის ხანაში (1881-1894) შეიძინეს, როდესაც საჭირო გახდა წინა პერიოდის რევოლუციური მოძრაობის შედეგად შერყეული თვითმპყრობელობის საფუძვლების განმტკიცება, რაც აშკარა რეაქციის გზით მიმდინარეობდა. საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის, ე.წ. „ტუზემცების" გასარუსებლად, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკის და საქართველოს იმდროინდელ ეგზარქოსს, შავრაზმელ ეპისკოპოს პაველ ლებედევს (1882-1887) საგანგებო დავალებები მიეცათ. მათ განკარგულებაში იმყოფებოდა ძლიერი სახელმწიფოებრივი აპარატი (ჯარი, პოლიცია, ოხრანკა, ჟანდარმერია) „...მთელი ხროვა მოხელეებისა და ზემოქმედების ისეთი ბერკეტები, როგორიცაა: პრესა, ეკლესია და სკოლა" (35,337).

XX საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოში რუსული საეკლესიო პოლიტიკის გატარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რეაქციონერ დეკანოზს იოანე ვოსტორგოვს, რომელიც ათი წლის განმავლობაში განაგებდა საქართველოს საეგზარქოსოს სასკოლო საქმეს. მისი მოღვაწეობის დროს სასწავლებლებიდან უმკაცრესი წესებით იდევნებოდა ქართული ენა, მის ადგილას კი ინერგებოდა რუსული. ამავე პერიოდში, თითქმის სრულიად აკრძალული იყო ეკლესია-მონასტრებში ქართულ ენაზე ღვთისმსახურება. იოანე ვოსტორგოვი აქტიურად ასრულებდა მაშინდელი ეგზარ-

ქოსის, ალექსი I (ოპოცკი) (1902-1905) და მთავარმმართებელი გოლიცინის უშუალო მითითებებს და მეტად აგდებულად ეკიდებოდა ქართველი ხალხის ენას, მის ისტორიას, კულტურას, ლიტერატურას. ვოსტორგოვი და მისი თანამოაზრე რეაქციონერი მოღვაწენი ყველა ღონეს ხმარობდნენ საქართველოს ეკლესიის ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების უგულებელსაყოფად, ყოველივე იმის ამოსაძირკვად, რაც საქართველოს ეკლესიას ეროვნულობის ელფერს ანიჭებდა. ასეთი მიზნის მიღწევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას ქართული ენის უგულებელყოფა წარმოადგენდა, როგორც სკოლებში, ასევე ეკლესია-მონასტრებში. იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობა მამა-პაპათა სჯულის შერყევის სეროზულ მიზეზს სკოლებში ქართული ენის სწავლების შესუსტებასა და აკრძალვაში ხედავდა და პასუხისმგებლობას ასეთი მძიმე ვითარების გამოსასწორებლად უპირველეს ყოვლისა სამღვდელოებასა და თავადაზნაურებას აკისრებდა „...დიახ, სკოლებში დედა-ენის შესუსტებას უდევს ამ არასასურველ მოვლენაში წვლილი და ამიტომაც საჭიროა, როგორც რომ შეიძლება მალე მიექცეს ამას ყურადღება... ჩვენის აზრით, სამღვდელოებამ და ისევე მთელი ქვეყნის თავადაზნაურობამ უნდა გაუწიოს ჩვენ ქვეყანას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე" (27,48).-აღნიშნავდა ჟურნალი „მოგზაური". მაგრამ ცარიზმის ანტიეროვნული პოლიტიკის ზეგავლენით აღზრდილი სემინარიადამთავრებული მოძღვრებისათვის ძნელი იყო კავშირურთიერთობის დამყარება მორწმუნე ერთან, რომლებსაც ქართულ ენაზე არათუ ღვთისმსახურების შესრულება, ქადაგებაც კი უძნელდებოდათ. მათ დაკარგული ჰქონდათ მშობლიური ენის, მისი ისტორიის და სალვთისმეტყველო ლიტერატურის წვდომის უნარი. ყოველივე ამან კი ხელი შეუწყო ეროვნული თვითშეგნების დაკნინებას და საბოლოო ჯამში სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმის გაღრმავებას. „...ის სამღვდელოება, რომელიც ძველ დროში მაღლა იდგა გონებითად დანარჩენ ხალხზე და რომლის სიტყვა-ქადაგებას დიდი გავლენა ჰქონდა, დღეს გასუმებულია ... რა გავლენა უნდა ჰქონდეს ამისთანა სამღვდელოებას ხალხზე? როგორ უნდა დაარიგოს მან თავისი სამწყსო, როგორ უნდა მოეხმაროს იგი ხალხში კეთილ-

ზნეობითი სწავლის გავრცელებას და როგორ უნდა შეასრულოს მან მტკიცედ თავისი მოვალეობა?" (33,2-3) - ასეთ კითხვებს სვამდნენ არსებული რეალობის შეფასებით შეშფოთებული მებრძოლი სამღვდელოების წარმომადგენლები და უმთავრეს მიზეზებს ცარიზმის სარწმუნოებრივი პოლიტიკის გატარების ლოგიკურ შედეგში მოიაზრებდნენ.

სასულიერო პირების მიერ ეგზარქოსის სახელზე გაგზავნილ თითქმის ყველა მოხსენებით ბარათში აღნიშნული იყო, რომ ხალხი ეკლესიებში აღარ დადიოდა და სრულ გულგრილობას გამოხატავდა მშობლიური ეკლესიისა და რელიგიის მიმართ. განსაკუთრებით კი ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ ეს ტენდენცია უპირველესად ახალგაზრდობაში შეინიშნებოდა როგორც ქალაქად, ისევე სოფლად (17,6-7). ასეთივე დამოკიდებულება იგრძნობოდა ქართველი ინტელიგენციის მხრიდანაც, რომელთა დიდ ნაწილს გული ჰქონდა აცრილი სარწმუნოებაზე. ინტელიგენციის გულგრილი დამოკიდებულება სამღვდელოებისათვის მით უფრო იყო დამაფიქრებელი, რამდენადაც მისი მაცქერალი უბრალო ხალხიც ზურგს აქცევდა ეკლესიას (17,75).

ქართული ენის შეზღუდვა-აკრძალვასთან ერთად, მორწმუნე ერის ეკლესიისადმი გაუცხოების ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზს ეროვნული საგალობლების დევნა-შევიწროვებაც წარმოადგენდა. ქართული ეროვნული საგალობლების შეზღუდვითა და აკრძალვით ცარიზმის მოხელეები ცდილობდნენ საქართველოს ეკლესიის იერსახის საბოლოოდ წაშლას. ამ მიმართულებით მუშაობის შედეგად, დროთა განმავლობაში, ქართული საგალობლები იშვიათად გაისმოდა ტაძრებში. საქართველოს ეკლესია-მონასტრებში შემოჭრილი უცხო (სლავიანური) გალობის ტენდენცია თავისებურ ზეგავლენას ახდენდა მორწმუნე ერის ყურთასმენაზე. ასეთ პირობებში უძველესი ქართული საგალობლები გაქრობის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

ეროვნულ ეკლესიაში მიმდინარე პროცესებით შეშფოთებული ქართველი საზოგადოებრიობა ქართველი ხალხის სულიერი გადაგვარების აშკარა საფრთხეს ხედავდა, რომელმაც XX საუკუ-

ნის დასაწყისიდან უკვე გაბედულად დაიწყო რუსული თვითმპყრობელური პოლიტიკის მხილება პრესის ფურცლებზე. აი, როგორ შეაფასება აძლევდა გაზეთი „საქართველო" ცარიზმის სარწმუნოებრივი პოლიტიკის გატარების შედეგად მიღებულ სავალალო მდგომარეობას – „...ხალხი და სამღვდელობა თანდათან დაშორდა ერთმანეთს, ძველი დროის დიდებული ტაძრები და მონასტრები თანდათან დაცარიელდნენ და იწყეს ნგრევა, დღეს უმეტესი მათგანი პირუტყვთა სადგომია, მორწმუნეთა გრძნობის დამატკბობელი საეკლესიო გალობა, საეკლესიო ხუროთმოძღვრება და მხატვრობა სრულიად დაეცა და ერთ წერტილზე გაიყინა; ზნეობის ამამაღლებელი, გონების მავარჯიშებელი და ენის მაჯითარებელი ქართული საეკლესიო მჭერმეტყველება და ღვთისმეტყველება სრულიად მოისპო ან გადაგვარების გზას დაადგა ... ერთი სიტყვით, ეკლესიამ XIX საუკუნეში განიცადა ისეთი ძალმომრეობა, როგორიც მანამდე არასოდეს განუცდია" (71,2).

ამრიგად, რუსეთის იმპერიის სარწმუნოებრივი პოლიტიკის განხორციელების ხანგრძლივმა პროცესმა თავისი გარდაუვალი შედეგი გამოიღო და საქართველოს ეკლესიის საბოლოო გადაგვარებისაკენ მიდიოდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების შედეგად, საქართველოს ეკლესიას უპირველეს ყოვლისა, დაეკარგა მთავარი ისტორიული ფუნქცია. ეროვნული ეკლესია, რომელიც ოდითგანვე ქართული სახელმწიფოებრიობის მტკიცე საფუძველს ჰქმნიდა და ქართველ ერს ადუღაბებდა, რუსეთის უზარმაზარი იმპერიის სახელმწიფო-ბიუროკრატიული აპარატის დანამატად აქციეს. სახელმწიფოებრივ-ისტორიული დანიშნულების დაკარგვასთან ერთად, ეროვნულმა ეკლესიამ კულტურული ფუნქციაც დაკარგა. ზემოაღნიშნული რეფორმების გატარების შედეგად საქართველოს ეკლესიაში მარავალი მანკიერებანი დამკვიდრდა, რაც აშკარად უცხო და თავსმოხვეული, შორს გამიზნული ინტერესებიდან გამომდინარე ხდებოდა. დარღვეულ იქნა სამღვდელოებისა და მორწმუნე ერის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული ჰარმონიული ურთიერთობები. საქართველოს ეკლესიის და მისი სასულიერო კრებულის ავტორიტეტის დაცემამ გამოიწვია სრული სარწმუნოებრივი

ინდიფერენტიზმი. ქართული ენის უგულვებელყოფამ, მოძღვრება-ქადაგების შეზღუდვამ და დაკნინებამ, ეროვნული საგალობლების, სადვთისმეტყველო ლიტერატურისა და სხვა ეროვნული ელემენტების აღმოფხვრამ დააქვეითა ქართველთა ეროვნული თვითშეგნება, რამაც საბოლოო ჯამში მამა-პაპისეული სჯული საგრძნობლად შეარყია.

# თავი II

## ეროვნული ეკლესიის ისტორიულ-კულტურული ფუნქციის აღდგენისათვის მებრძოლი ქართველი სამღვდელოება (1811-1917 წწ.)

XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან, ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაუპირისპირდა. თერგდალეულთა პლეადა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ამ მოძრაობას, მოითხოვდა მთელი ეროვნული ძალების, წოდებისა და კლასების, მათ შორის სამღვდელოების თანამშრომლობასა და კონსოლიდაციას (7,277). მათ დიდი და მძიმე ბრძოლა გააჩაღეს ცარიზმის კოლონიური, რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, ქართველი ერის პოლიტიკური უფლებების დასაცავად, ხალხის ენისა და კულტურის გადასარჩენად და ღრმად სწამდათ, რომ უძველესი კულტურის მქონე ქართველ ერს ვერც რჩევით და ვერც ძალდატანებით ვერ გამოაცვლევინებდნენ და მოასპობინებდნენ თავის თანაშეზრდილ, თანაშეხორცებულ ენასა და ლიტერატურას, ვერ მოასპობინებდნენ იმიტომ, რომ ეს ენა თავიანთი არსებობის საფუძვლად მიაჩნდათ (41,3). თერგდალეულთა თვალსაჩინო წარმომადგენელი, იაკობ გოგებაშვილი, ერის განვითარებას პირდაპირ უკავშირებდა ქართული ენის განვითარებას და განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ეროვნული სკოლისა და ეკლესიის მჭიდრო კავშირს ერის სულიერად ამაღლების საქმეში. იგი ამბობდა, რომ ხალხის ზნეობის სათავე იყო და არის ქრისტიანული მართლმადიდებელი ეკლესია (2,249-250).

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშენი მიიჩნევდნენ, რომ ქართული სახელმწიფოს მთავარი საყრდენი და მაცოცხლებელი ძალა ეროვნული ეკლესია იყო და აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობა დროთა განმავლობაში გამოიწვევდა სარწმუნოების განელებას ხალხში და საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობდა ერის დეგრადაციას. ქვეყანაში

შექმნილი რეალური სურათიდან გამომდინარე, რწმენის დაცემისა და ქართველი ხალხის ეკლესიასთან გაუცხოების სამართლიან მიზეზად, პირველ რიგში, კათალიკოსობის ინსტიტუტის გაუქმებას, ეკლესიის ქონებრივი უპირატესობის მოსპობასა და ეროვნული ტრადიციების მოშლას ასახელებდნენ. საქართველოს ეკლესიაში ეროვნული ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების მოშლა ხალხისათვის მიუღებელი იყო, რადგანაც მის განუხრელ დაცვაში ხედავდნენ რწმენის არსს (25, XVII).

ამ დროიდან, ბრძოლის ასპარეზზე გამოსულმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ სარწმუნოების აღორძინებლად საჭირო იყო საქართველოს ეკლესიის უფლებების აღორძინება, გაიმსჭვალა ამ შეხედულებით და წრფელი გულით გამოაცხადა საქვეყნოდ თავისი აზრი (43, I). თერგდალეულთა იდეების ბრწყინვალედ გამგრძელებელთა რიგებში, რომლებიც თავდაუზოგავად იღწვოდნენ ეროვნული ეკლესიის თავისუფლების აღდგენისათვის, პირველ რიგში მოიაზრება: გაბრიელ ქიქოძის, ალექსანდრე ოქროპირიძის, კირიონ სადაგლიშვილის, ლეონიდე ოქროპირიძის, ანტონ გიორგაძის, იოსებ ჩიჯავაძის, დავით კაჭახიძის, პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილების, ფილადელფოს კიკნაძის და სხვათა სახელები.

სახელმწიფოსა და ეკლესიის, ერისა და ბერის გაერთიანებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მომავლისათვის. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ასპარეზზე გამოსულ საზოგადო მოღვაწეთა გვერდით სამღვდელოების თვალსაჩინო წარმომადგენელთა ბრძოლა და მათი ურთიერთკავშირი ღრმა შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელი იყო. საქართველოს ეკლესიის მესვეური სამღვდელოება, რომელსაც კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი პასუხისმგებლობა ერის წინაშე, ცდილობდა მშობლიური ეკლესიის როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენას, აგრეთვე იმ უპირატესობის მოპოვებას, რაც მას საუკუნეების განმავლობაში ქართული სახელმწიფოს სულიერ და ზნეობრივ მესაჭედ ხდიდა, ამიტომ მათი ძალისხმევა და ბრძოლა მთლიანად საქართველოს ეკლესიის ისტორიული საფუძვლის აღდგენა-განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. საქართველოს ეკლესიისათვის ეროვნული შინაარსის

დაბრუნება, რაც მხოლოდ ავტოკეფალიის აღდგენით იყო შესაძლებელი, საჭიროებდა ცარიზმის ბატონობის შედეგად დაკნინებული ეროვნული თვითშეგნების აღდგენა-განმტკიცებას, ქართული ენისა და ეროვნული ღვთისმსახურების აღდგენას, ეროვნული კულტურის სიძველეთა დაცვა-გადარჩენას და შესწავლას, უძველესი ქართული საეკლესიო მუსიკის აღდგენა-შენარჩუნებასა და ერისათვის სხვა სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტას. ამიტომაც იყო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ სასულიერო პირთა ბრძოლა მრავალმხრივი და უკომპრომისო, რომლებიც აშკარად თუ ფარულად, მშობლიური ერის ინტერესებიდან გამომდინარე, წინ აღუდგნენ ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას, ამიტომაც გაერთიანდა მათი ინტერესები საერო საზოგადო მოღვაწეთა ინტერესებთან, რათა ერთიანი ძალისხმევით გამკლავებოდნენ ერის სატკივარს.

საქართველოს ეროვნული ეკლესიის ისტორიული საფუძვლის აღსადგენად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო მისი ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების დაცვა-შენარჩუნებისათვის ბრძოლა. ცარიზმის ბატონობის პირობებში, როდესაც ფუნქციადაკარგული საქართველოს ეკლესია იმპერიის სახელმწიფო აპარატის დანამატად აქციეს, საფრთხე შეექმნა საუკუნეების განმავლობაში მყარად დამკვიდრებულ მამა-პაპათა სჯულს, რაზედაც ყოველთვის მტკიცედ იდგა საქართველოს ეკლესია, ქართული სახელმწიფოებრიობა და ქართული კულტურა. სწორედ ამ გარემოებით აიხსნებოდა იმდროინდელი საქართველოს ეკლესიის მესვეურთა განსაკუთრებული ზრუნვა ეროვნული სარწმუნოების ტრადიციებისა და ელფერის შენარჩუნებისათვის. მათ მოღვაწეობას წითელ ზოლად გასდევს მამა-პაპისეული სჯულის განმტკიცებისათვის ბრძოლა, რაც საუკეთესოდ აისახა მათ ჩანაწერებში, პუბლიცისტურ წერილებში და სხვადასხვა ხასიათის მიმართვებში, სადაც გაისმოდა პრინციპიალური მოწოდება ეროვნული სარწმუნოების შეურყევლობისა და დაცვის შესახებ. მებრძოლი ქართველი სამღვდელოების უმრავლესობა აქტიურად თანამშრომლობდა ახლადფეხადგმულ ქართულ პერიოდიკასთან: „დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კლდე“ და ა.შ. უმკაცრესი ცენზურის პირობებში, ისინი სხვადასხვა ფსევ-

დონიძებით აქვეყნებდნენ წერილებს ქართული ენის დაცვა-შენარჩუნების, საქართველოს ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის, უძველესი ქართული საგალობლების აღორძინება-დაცვის და ერისათვის სხვა მტკივნეულ საკითხებზე.

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარების პირობებში, განსაკუთრებული სიმძაფრით ქართული ენის შენარჩუნებისა და დაცვის მიმართულებით წარმოებდა ბრძოლა. მშობლიური ენის ქომაგად, საერო საზოგადო მოღვაწეთა გვერდით, ქართველ სამღვდელოთა საუკეთესო ნაწილიც გამოვიდა, რომელიც შეუპოვრად იბრძოდა სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების შენარჩუნება-დამკვიდრებისათვის. მან კარგად იცოდა, რომ ამ უკანასკნელის გარეშე მომავალ თაობებში ეროვნული თვითშეგნების აღზრდა-ჩამოყალიბება წარმოუდგენელი იყო. ქართველ ერში სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმის გაღრმავების საშიში ტენდენცია სწორედ ქართული ენის უგულვებელყოფიდან იღებდა სათავეს. მებრძოლი ქართველი სამღვდელოება, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით აღიქვამდა აღნიშნული პრობლემის აქტუალურობას, ყველა ღონეს ხმარობდა ქართული ენის უფლებების დასაცავად. ქართველის ერის მორალურ-ზნეობრივი სიწმინდის, სარწმუნოების განმტკიცების და სამღვდელოებასა და მრევლს შორის დაკარგული ერთიანობის აღდგენის თვალსაზრისით მეტად საყურადღებო იყო ქართველი სამღვდელოების ბრძოლა ქართული სასულიერო მწერლობის ნაშთების წარმოჩენასა და გავრცელებაში. ასეთი სახის ლიტერატურის გავრცელებას, სადაც ძველ ქართველთა მაღალი ზნეობა და სარწმუნოების სიმტკიცის ქადაგება იყო გადმოცემული, დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო არამარტო ერისკაცებისათვის, არამედ სასულიერო წოდებისთვისაც (49,3).

საქართველოს ეროვნული ეკლესიის წინაშე წამოჭრილ პრობლემატიკაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა ეგზარქოსების მმართველობის პერიოდში უძველესი ქართული კულტურის კერებიდან გაზნეული ქონების თავმოყრისა და დაცვის საქმეს, რისთვისაც ქართველი სამღვდელოების მიერ, 1889 წლის 24 იანვარს, დაარსებულ იქნა ქართული საეკლესიო ისტორიული მუზ-

ქემი. მისმა წევრებმა მოიძიეს და გადაარჩინეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთ გაბნეული ისტორიული მასალებისა და სიგელ-გუჯრების მნიშვნელოვანი ნაწილი, ხელი მიჰყვეს მათ მეცნიერულ კვლევას, რომლის შესწავლასა და ახლებურად გააზრებაში ისინი უდიდეს პოტენციალს ხედავდნენ ქართველი ერის შემდგომი კულტურული აღმავლობისათვის. ქართული საეკლესიო ისტორიული მუზეუმის შექმნამ უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურის სიძველეთა დაცვა-შენარჩუნების საქმეში.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საგალობლების აღდგენა-დაცვის მიმართულებით გაწეულ ძალისხმევას ქართველი სამღვდელოების მხრიდან. საქართველოს ეკლესიებში რუსული ღვთისმსახურების დამკვიდრებასთან დაკავშირებით, ქართული საგალობლები იშვიათად თუ გაისმოდა ტაძრებში. 1864 წლამდე მისი შესწავლა ოფიციალურად იკრძალებოდა სასულიერო სასწავლებლებში. მხოლოდ ეგზარქოსი ევსევის (ილინსკი) (1858-1877) დროს, გრიგოლ ორბელიანის, დიმიტრი ყიფიანის, იაკინთე ალექსი-მესხიშვილის მეცადინეობით თბილისის სასულიერო სემინარიაში დაიწყო ქართული საეკლესიო გალობის შესწავლა, რომლის მასწავლებლად მიწვეულ იქნა ცნობილი მგალობელი, ეროვნული გალობის საგანძურის საუკეთესო მცოდნე, მღვდელი გრიგოლ კარბელაშვილი. შემდეგში ეს დიდი ეროვნული საქმე გააგრძელეს მისმა ვაჟებმა, რომლებმაც უდიდესი ამაგი დასდეს ქართლ-კახური საგალობლების შენარჩუნებასა და დაცვას.

ავტოკეფალისტები ძლიერ ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბდნენ და ცდილობდნენ ეკლესიის თვითმოწესეობის აღიარებისათვის ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლასთან დაეკავშირებინათ. ისინი არასოდეს შეგუებიან ქართული სახელმწიფოს სუვერენული უფლებების დაკარგვას და აქტიურად იბრძოდნენ საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში (9,111). სამღვდელოების ჩაბმა ქვეყანაში ფართოდ გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მისი ხალხთან დაახლოების საწინდარი უნდა გამხდარიყო.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ქართველი სამღვდელოების მხარდაჭერა და თანადგომა უპასუხოდ არ დარჩენილა ქართველი საზოგადოებრიობის მხრიდან. XX საუკუნის დასაწყისიდანვე, ქართული პრესის ფურცლებზე აქტიურად შუქდებოდა სამღვდელოების წვლილი საერთო სახალხო მოძრაობის საქმეში: „... ქართველი სამღვდელოება შეიძლება ვთქვათ, საერთოდ რევოლუციურ გზას დაადგა და ბრძოლა გამოუცხადა არათუ თვითმპყრობელურ ბიუროკრატიას, არამედ მართვა-გამგეობის საქმეებშიც უკიდურესი ცვლილება მოითხოვა ... ამიტომ სამღვდელოებაც სახალხო მოძრაობის საერთო კალაპოტში დგება და ისიც დემოკრატიული ბრძოლის გზას ადგება..." (51,1-3) – აღნიშნავდა გაზეთი „ივერია".

საქართველოს ეკლესიის საკითხებთან მიმართებაში განსხვავებული დამოკიდებულებების მიუხედავად, ფართო საზოგადოებრივი აზრი საბოლოო ჯამში თანაუგრძნობდა ავტოკეფალისტების მკაფიო მოთხოვნას, უწყოდნენ რა, რომ ცარიზმის მოხელეები, ეგრეთ წოდებული ანაფორიანი ჯაშუშები, წარმოადგენდნენ ქართველი ერის სულიერი და კულტურული განვითარების შემაფერხებელ ძალას, ავტოკეფალიის განხორციელებით კი რუსეთის სინოდს დაეკარგებოდა აღნიშნული ძალაუფლება: „... ავტოკეფალია ნიშნავს სარწმუნოების სფერაში ეროვნული დევნისა და შევიწროვების მოსპობას, ხალხთან სამღვდელოების დაახლოვებასა და ეკლესიაში ანუ სარწმუნოებრივ ორგანიზაციაში ხალხის გავლენის გაძლიერებას. და ყველა ეს ისეთი მხარეებია, რომ მათ გამომწვევ ცვლილებას უნდა თანაუგრძნობდეს ყოველი დემოკრატი..." (50,3) – განმარტავდა გაზეთი „ივერია" და საერთო დემოკრატიული მოძრაობის ფერხულში სამღვდელოების მიერ ავტოკეფალიისათვის გამოცხადებულ ბრძოლას ეროვნული თავისუფლების მოპოვების უმნიშვნელოვანეს პირობად მიიაზრებდა.

ქართველმა სამღვდელოებამ განსაკუთრებული ძალისხმევით ბრძოლა რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის (1905-1907) პერიოდში გააჩაღა, როდესაც მთელს იმპერიაში მასიური ხასიათის სოციალური გამოსვლები და აჯანყებები დაიწყო. იმპერიის განაპირა მხარეებში კი სოციალურ გამოსვლებს

თან ერთვოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ასეთ მღელვარე პერიოდში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და საქართველოს სუვერენული უფლებების აღდგენისათვის ბრძოლაში. ამ უკანასკნელის მოპოვებას კი, თავის მხრივ, ხელი უნდა შეეწყო საქართველოს ეკლესიის უფლებების აღდგენისათვის.

რუსეთის იმპერიის სასულიერო ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ ავტოკეფალისტების თანამშრომლობას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერისა და მისი ეკლესიის მთლიანობის აღდგენისათვის. ამიტომ ის მთელი ძალით სდევნიდა მებრძოლ სასულიერო პირებს, მათ, ვინც აშკარად გამოდიოდა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ როგორც სიტყვით, ისევე საქმით. ჯერ კიდევ 1902 წელს, რუსეთის წმინდა სინოდის მიერ გამოცემულ ცირკულარით **„О мерах предупреждения смут, производимых злоумышленниками в простом народе"**, ეპარქიის ხელმძღვანელებს დაევალათ გამოეძახებინათ იმ რაიონების „ბლაღოჩინები",რომლებშიც მოსალოდნელი იყო მშრომელთა გამოსვლები. ცირკულარი ასევე ავალებდა სამრევლოს მღვდლებს თვალყური ედევნებინათ და ემხილებინათ ის პირები, რომლებიც არსებული მმართველობის წინააღმდეგ იბრძოდნენ და ცდილობდნენ ხალხის აჯანყებას (17,34). აღნიშნული ცირკულარი ნათლად ცხადყოფს, რომ სასულიერო პირებს არათუ ეკრძალებოდათ მასიური ხასიათის გამოსვლებში მონაწილეობა, არამედ თვალყური უნდა ედევნებინათ და ემხილებინათ კიდეც აჯანყების ხელმძღვანელი პირები. მაგრამ, რევოლუციური აღმავლობის კვალდაკვალ, სასულიერო პირთა აჯანყებებში მონაწილეობამ მასიური ხასიათი მიიღო, მით უფრო, რომ მღვდლებს მასებზე ზემოქმედების საუკეთესო საშუალება გააჩნდათ ქადაგების სახით. სწორედ ამის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული წმინდა სინოდის სპეციალური განკარგულება (1907 წ), რისი ძალითაც, რუსეთის ყველა სასულიერო კონსისტორიას დაევალა თვალყური ედევნებინა სამღვდელოებისათვის და თუ რაიმე

მთავრობის საწინააღმდეგოს შეამჩნევდა, შენიშნული მღვდელი დაუყოვნებლივ გადააყენებინა სამსახურიდან. ამ განკარგულების მიზეზად ის გარემოება მოჰყავდა, რომ ზოგიერთმა მღვდელმა ეკლესიაში სამღვდელოებისადმი მინიჭებული სიტყვის უფლებით ისარგებლა და სარევოლუციო აგიტაციას ეწეოდა (75,3). გაზეთი „ივერია“ 1906 წელს, მებრძოლი ქართველი სამღვდელოების მიმართ წარმოებული რეპრესიების შესახებ იუწყებოდა: „...გენერალ-გუბერნატორებმა იწყეს მღვდლების ყრის კაცებივით დატყვევება და შორეულ ადგილებში გადასახლება. ეგზარქოსებმა შარშან მთელი კრებული სამღვდელო პირთა კაზაკებს გაამათრახებინა, სინოდმა მუქარის „უქაზებს“ მოუხშირა და ქართველ ეპისკოპოსებს უდაბნოში დატყვევებასაც უქადდა. სინოდს ესაჭიროება, განსაკუთრებით ჩვენისთანა „განაპირა ადგილას“, მისგან დამოკიდებული ეკლესია და ანაფორიანი ჩინოვნიკები და ამიტომ სასტიკ რეპრესიებს ხმარობს ქართველი სამღვდელოების წინააღმდეგ...“ (51,1-3).

როგორც ცნობილია, 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში აზვირთებულმა მოძრაობამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის თაობაზე წარუმატებლად ჩაიარა. რუსეთის იმპერიის უწმინდესი სინოდის სხდომებმა, სადაც აღნიშნული საკითხი იმპერატორ ნიკოლოზ II მითითებით იქნა განხილული, უარყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა იმ მოტივით, რომ ვითომდა იგი წარმოადგენდა არა საეკლესიო, არამედ პოლიტიკურ საკითხს (9,129).

1905-1907 წლების რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, როდესაც მთელს იმპერიაში შავი რეაქციის ხანა მძვინვარებდა, ავტოკეფალისტების მოღვაწეობა არ შეწყვეტილა და იგი ბრძოლის ახალ ფაზაში შევიდა. ისინი კვლავ ძლიერ ოპოზიციურ ძალად რჩებოდნენ და მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მთავრობის რეპრესიულ ღონისძიებებს (9,233). „იმპერიის შავრაზმელი რეაქციონერი მოღვაწეები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ ქართული ეკლესიის და ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ უფლებათა დამცველების გულიდან ამოეგლიჯათ მათ მიერ დაწყებული საქმის უანგარო სიყვარული. ბრმა ფიზიკური ძალა სტანჯავდა საქართველოს ეკ-

ლესიის საუკეთესო მოსამსახურეებს, მაგრამ ღრმა ოპტიმიზმით განმსჭვალულებს მტკიცედ სჯეროდათ, რომ შავბნელი ძალები სარწმუნოებას ვერ დაამარცხებდნენ" (43.1) – იუწყებოდა ქართველი ერის ინტერესებისათვის მებრძოლი გაზეთი „დროება“ 1909 წლისათვის.

იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების მითითებით, უწმინდესი სინოდის მიერ განხორციელებული რეპრესიების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ საქართველოს ეკლესიის თავისუფლებისათვის მებრძოლი თვალსაჩინო მოღვაწეები: ეპისკოპოსი კირიონი, ეპისკოპოსი დავითი, არქიმანდრიტი ამბროსი და სხვანი. მებრძოლი სამღვდელოების წარმომადგენლები, რომელთაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა, სამღვდელოების საეპარქიო ყრილობებზე აქტიურად სვამდნენ საკითხს გადასახლებაში მყოფი ავტოკეფალისტების განთავისუფლების შესახებ, ადგენდნენ თხოვნებსა და მიმართვებს საქართველოს ეგზარქოსისა და კავკასიის მეფისნაცვლის სახელზე, გროვდებოდა ხელმოწერები გასაგზავნ პეტიციებზე.

1916 წლიდან, ქართველი სამღვდელოების ბრძოლა ავტოკეფალიის აღდგენისათვის კიდევ უფრო მეტად გააქტიურდა, რასაც ხელი შეუწყო იმპერიაში შექმნილმა რთულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ. ეს უკანასკნელი გამოწვეული იყო პირველ მსოფლიო ომში რუსეთის მარცხით, სადაც მან დიდი მატერიალური და მორალური ზარალი განიცადა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, მოვლენების შემდგომმა განვითარებამ, ქართველი სამღვდელოება დაარწმუნა, რომ იმპერიის ხელისუფლების სათავეში მოსული რუსეთის ახალი დროებითი მთავრობა საქართველოს ეკლესიის მიმართ ძალაში ტოვებდა უწმინდესი სინოდის კომპეტენციას, ამიტომ ავტოკეფალისტებმა სრული დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს და 1917 წლის 12 მარტს, მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა გამოაცხადეს. ამის შემდეგაც ქართველი სამღვდელოება აქტიურად განაგრძობდა ბრძოლას ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის დაკანონებისა და უფლებების განმტკიცებისათვის.

ამრიგად, ეროვნული ეკლესიის ისტორიულ-კულტურული

ფუნქციის აღდგენის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართველი სამღვდელოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს, რომლებმაც მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა სისხლხორცეულად დაუკავშირეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და მკაცრი რეპრესიების მიუხედავად, მტკიცედ დადგნენ საერთო ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე. მათ თავიანთი მოღვაწეობით უდიდესი წვლილი შეიტანეს საქართველოს ეროვნული ეკლესიის ისტორიული საფუძვლის აღდგენა-განმტკიცების საქმეში, რაც ავტოკეფალიის აღდგენის გარდა, თავის თავში ქართველი ერისათვის ისეთი სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტას გულისხმობდა, როგორიცაა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-განმტკიცება, ქართული ენის დაცვა-შენარჩუნება, ეროვნული კულტურის სიძველეთა თავმოყრა და შესწავლა, ძველი ქართული მწერლობის ნაშთების წარმოჩენა, ქართული სასულიერო მუსიკის აღორძინება-დაცვა და სხვა.

# თავი III

## ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი)

## ბიოგრაფია

საქართველოს ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის აღდგენისათვის მებრძოლთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ცნობილ სასულიერო პირსა და საზოგადო მოღვაწეს, ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელს (ვასილ კარბელაშვილი), რომელმაც თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ღრმა კვალი დატოვა არა მარტო საქართველოს ეკლესიის ისტორიის მატიანეში, არამედ, საზოგადოდ იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. იგი დაიბადა 1858 წლის 1 იანვარს, გორის მაზრის სოფელ ქვემო ჭალაში (საამილახვროში), ცნობილი მგალობლისა და სასულიერო პირის, გრიგოლ პეტრეს ძე კარბელაშვილის ოჯახში. კარბელაშვილთა გვარის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს უძველესი ქართლ-კახური გალობა-სიმღერის დაცვა და მისი უზადოდ მოტანა დღევანდელობამდე. თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში, ხმალაძე-კარბელაშვილების სრული მგალობლების მეშვეობით, თაობიდან თაობას გადაეცემოდა ქართული მუსიკალური კულტურის უმდიდრესი საგანძური. გრიგოლს, მისი მამის, პეტრე კარბელაშვილის მეცადინეობით, შიო-მღვიმის მონასტერში (1820-1824 წლებში) მიუღია სასულიერო განათლება, სადაც ზედმიწევნით კარგად დაუუფლებია გალობა-კითხვის ხელოვნებას. 1840 წლამდე, იგი მამასთან ერთად, სტეფანე რუსთველის მგალობლების გუნდს ხელმძღვანელობდა. 1844 წლის დეკემბრისთვის, საქართველოს ეგზარქოსს ისიდორეს (ნიკოლსკი) (1844-1858) უკურთხებია მღვდლად. 1849 წლიდან მამა გრიგოლი გორის მაზრის სოფელ ქვემო ჭალაში მსახურობდა, სადაც ოჯახთან ერთად ცხოვრობდა (140)

ვასილთან ერთად, გრიგოლ კარბელაშვილის ოჯახში კიდევ ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი აღიზარდა: ფილიმონი, სიდონია, ანდრია, პოლიევქტოსი და პეტრე. მამა გრიგოლმა და



გრიგოლ პეტრეს ძე
კარბელაშვილი

მისმა მეუღლე ანნამ კარგად შეასწავლეს შვილებს მშობლიური ენა, წერა-კითხვა და უძველესი ქართლ-კახური სიმღერა-გალობა. სასწავლებელში შესვლამდე, ექვსი წლის ასაკში, ძმებმა ზეპირად იცოდნენ წირვის წესი რვა ხმათა მიხედვით. „...შემდეგ ამისა, ექვსი წლიდან, კერიასთან დამაწყებინა „დავითნის" კითხვა დედაჩემმა და მთელი კანონი დამასწავლა, სხვა კი შევისწავლე მე ჩემი უფროსი დის სიდონიას ხელმძღვანელობით..." – იგონებს ვასილი (105, 276). სწორედ ამგვარი საოჯახო აღზრდის შედეგი იყო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული ძმები კარბელაშვილების უდიდესი სიყვარული ღვთისა და მოყვასისადმი, მათი ღრმა ეროვნული თვითშეგნება და პატრიოტიზმი. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ვასილის უფროსი ძმის – ფილიმონის კეთილისმყოფელი გავლენა. ფილიმონი, რომელსაც „ნიმუშს" ეძახდნენ კარგი გალობის, ქადაგებისა და მოძღვრობისათვის, ცნობილი ყოფილა მთელს ქართლ-კახეთში. საოჯახო განათლებასთან ერთად, მას სემინარიაც ჰქონდა დამთავრებული და გარდა იმისა, რომ დაკავებული იყო უმცროსი და-ძმების აღზრდით, სკოლა ჰქონდა გახსნილი სახლში და გლეხის ბავშვებს წერა-კითხვას, ანგარიშებს, ლოცვებსა და სამშობლოს ისტორიას ასწავლიდა. ფილიმონი შესანიშნავი მქადაგებელი ყოფილა. ნიკო მესხიშვილის საშუალებით იგი ილია ჭავჭავაძეს კარგად გაუცვნია. ილიას ძალიან მოწონებია ნიჭიერი, ჭეშმარიტად ქართული აზროვნების, საქართველოს წარ-

სულისა და მისი ეკლესიის თავისუფლების მოტრფიალე ფილიმონი. ვასილ კარბელაშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ ილიამ თავის უკვდავ ნაწარმოებში „გლახის ნაამბობი" მოძღვრის სახეში ფილიმონის სახე გამოხატა (110, 77-79).

საოჯახო განათლების მიღების შემდეგ, ვასილი გორის სასულიერო სასწავლებელში აგრძელებს სწავლას – „...როზგისათვის წკეპლებს ნევნვე გვაზიდინებდნენ ლიახვის ჭალიდან და დღეში ორჯერ და სამჯერ ვიწკეპლებოდით ხოლმე..." ვკითხულობთ მის მოგონებებში (105,276). იგი ძმებთან ერთად სოფლის ყოველდღიურ სამუშაოსაც ასრულებდა. ძმების ცხოვრება ისეთივე სადა და უბრალო იყო, როგორც ყოველი გლეხისა. მშობლებმა ისინი სოფლის ყოველგვარ სამუშაოს შეაჩვიეს, მაგრამ, შრომასთან ერთად, სწავლა მათთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

კარბელაშვილების ოჯახში შექმნილი საუკეთესო გუნდი ხშირად ატკბობდა ტაძარში მორწმუნე ერს. როცა ძმები გალობდნენ, მათ მოსასმენად სხვადასხვა სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ. მგალობელი ძმების პირველი დებიუტი 1864 წელს შედგა, როდესაც ვასილი ექვსი წლისა იყო. საზეიმოდ შეკრილ საზოგადოებაში, 1 მაისს, ცხენილოს ციხის ახლოს, სამი ძმა: ანდრია, პოლიევქტოსი და ვასილი გამოვიდნენ ხალხური სიმღერების შესრულებით: „ურმული"; „ვინცა კაცია"; „დილინი"; „გვიბრძანე"; „ზამთარი"; „თამარ მეფე"; „შავლეგო"; „ესო მესო" და სხვა, სადაც მათ დიდი მოწონება დაიმსახურეს (111).

1867 წელს, ვასილი ძმებთან ერთად მშობლებმა თბილისში ჩამოიყვანეს სასწავლებლად. ძმებმა ამხანაგების საშუალებით თბილისის სასულიერო სემინარიიდან დაიწყეს ქართლ-კახური სიმღერა-გალობის გავრცელება. სემინარიაში სწავლის პერიოდში, კერძოდ 1879 წლის 30 აგვისტოს, ვასილმა თხოვნით მიმართა სასწავლებლის გამგეობას, რათა ნება დაერთოთ მისთვის თბილისის მუსიკალურ სკოლაში შესასვლელად (89). მას სიყმაწვილის წლებიდანვე კარგად ესმოდა, რომ მუსიკალური განათლების მიღება სამომავლოდ უძველესი ქართლ-კახური სიმღერა-გალობის უკეთესად შესწავლასა და გავრცელებაში დაეხმარებოდა, რათა ეს

უძვირფასესი საგანძური არ დაჰკარგვოდა ქართველ ხალხს.

ვასილ კარბელაშვილმა სემინარია 1881 წლის 10 ივნისს დაამთავრა და იმავე წლის 21 ივნისს, მაშინდელი ეგზარქოსის იოანიკეს (რუდნევი) (1877-1882) მიერ დანიშნულ იქნა თბილისის ეპარქიალურ ქალთა სასწავლებლის ეკონომოსად, ხოლო იმავე წლის 16 სექტემბერს – იგივე სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლად, სადაც 1882 წლის 15 ივლისამდე მუშაობდა (93). 1882 წლის 23 ივლისს ვასილ კარბელაშვილი მოსკოვში გაემგზავრა, სადაც 1883 წლის 7 მაისამდე, კონსერვატორიაში, პროფესორ კოშკინთან ეუფლებოდა სამუსიკო ხელოვნებას (93).

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ვასილ კარბელაშვილი ნავთლუღის წმიდა ბარბარეს ეკლესიაში გააგზავნეს, სადაც სულ მალე დიაკვნად იქნა ხელდასხმული ყოვლადუსამღვდელოესი გორის ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) მიერ, ხოლო 1883 წლის 16 ოქტომბერს, ეგზარქოს პავლეს (ლებედევი) (1882-1887) მიერ მღვდლად იკურთხა. (მღვდლის მოწმობა №5011) (93). ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელსაც სამომავლოდ ვასილ კარბელაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა უნდა წარემართა, ერთი შეხედვით, მისი ოჯახური ტრადიციებიდან გამომდინარე, თითქოს ლოგიკური იყო, მაგრამ მას ვასილის პიროვნებაში ღრმად გადგმული ფესვებიც ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმის მმართველობის ანტიეროვნული პოლიტიკის ფონზე უკიდურესად იყო შელახული სასულიერო პირთა ავტორიტეტი, ვასილ კარბელაშვილმა თავისი მოღვაწეობის გზად სწორედ სასულიერო ცხოვრება აირჩია. მას ღრმად სწამდა, რომ სამშობლო ქვეყნის სამსახური ანაფორით უფრო სასარგებლო და ნაყოფიერი იქნებოდა, რადგანაც საჭირო იყო ქართველი ერი დაბრუნებოდა ეკლესიის წიაღს და რწმენაში განმტკიცებულიყო. თავის მოგონებებში ვასილ კარბელაშვილი აღნიშნავდა, რომ მღვდლად იმ ეგზარქოსმა აკურთხა, რომელმაც საქართველო და მისი ხალხი დაწყევლა და იმსხვერპლა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ღირსეული მამულიშვილი დიმიტრი ყიფიანი, რომ სწორედ პავლე ეგზარქოსი აღმოჩნდა მისი პირველი მდევნელი, რომელსაც ძალიან უნდოდა, რომ მისთვის ანაფორა

გაუხადა, არა იმიტომ, რომ იგი ურწმუნო და უღირსი მღვდელი იყო, არამედ იმისათვის, რომ სიმართლესა და სარწმუნოების ძიება-შესრულებას ემსახურებოდა (105,276). მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ „მღვდელობა დიდი საშუალება იყო მაშინ მისთვის, ვინც წრფელი გულით ემსახურებოდა აღებულ საქმეს და მწყსიდა კიდეც პირმეტყეველ ცხოვართა სინდისის ქუეშე წინაშე დაუბადებელი ბუნებისა, რომელ არს ღმერთი“ (94).

ვასილ კარბელაშვილს სხვადასხვა დროს, მუშაობა უწევდა საქართველოს საეგზარქოსოს სამრევლო ეკლესიებში, სადაც იგი მოძღვრის მაღალ მოვალეობას ფართო საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეობას უთავსებდა. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა სასწავლო-საგანმანათლებლო ქსელში, სადაც იგი საღვთო სჯულის, ქართული ენის და ქართული გალობის მასწავლებლად მუშაობდა. გარდა ამისა, მის მიერვე იქნა დაარსებული რამოდენიმე სამრევლო სკოლა, სადაც ფართო მქადაგებლობას ეწეოდა ქართული ეროვნული სულისკვეთების ასამაღლებლად, რაზედაც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ვასილ კარბელაშვილის შრომითი ბიოგრაფიის ქრონოლოგიური სურათი ასეთია:

1885-1887 წლებში იგი ნუხის წმიდა სამების ტაძრის მღვდელია;

1888-1903 წლებში თბილისის მიხაილოვის[2] საავადმყოფოსთან არსებულ ეკლესიაში მსახურობს;

1903 წელს, როგორც რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისათვის საშიში პიროვნება, ოჯახთან ერთად შემახაში (დღევანდელი აზერბაიჯანი) გადაასახლეს;

1904 წლისათვის, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით, კვლავ სამშობლოში დააბრუნეს;

1904-1905 წლებში გორის ტაძრის მღვდელმსახურია;

1906-1916 წლებში თბილისის წმიდა სამების ეკლესიაში მსახურობს;

1916 წლისათვის იგი კვლავ წმიდა ბარბარეს ეკლესიაში გა-

2 წმ. მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის თბილისის საავადმყოფო.

დაჰყავთ;

1919 წელს დეკანოზის ხარისხს ანიჭებენ;

1921-1922 წლებში თელავის ტაძრის წინამძღვარია;

1922-1925 წლებში თბილისის კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიის დეკანოზია;

1925 წელს ბერად აღკვეცეს და სტეფანედ სახელდებული ბოდბელ ეპისკოპოსად აკურთხეს;

1928 წლიდან ალავერდელ მღვდელმთავრად დაადგინეს; ალავერდის ეპარქიის გაუქმების შემდეგ, 1929 წლისათვის, თბილისის წმიდა გიორგის კარის ეკლესიის წინამძღვრად გადმოჰყავთ, სადაც 1934 წლამდე მსახურობს.

ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მეუღლე, მარიამ თეოფანეს ასული ნიჟარაძე, ცნობილი სასულიერო პირისა და ავტოკეფალისტის, იოსებ ნიჟარაძის და გახლდათ. საგულისხმოა, რომ მარიამი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დიდი საყრდენი იყო, რომელმაც უდრტვინველად ზიდა მეუღლეობის მძიმე ტვირთი და სამშობლოს საქმეებზე გადაგებული ვასილის გვერდით იდგა მთელი ცხოვრება. მათ ექვსი შვილი აღზარდეს: ელიზბარი, თამარი, შალვა, ნინო, ელისავეტა და ბიძინა (ბარძიმი). მარიამი 1917 წელს გარდაიცვალა.

ვასილ კარბელაშვილის შრომითი ბიოგრაფიის გაცნობისას, არ შეიძლება თვალში არ მოგვხვდეს რუსეთის იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების მიერ მის სახელზე, სხვადასხვა დროს გაცემული ჯილდოები და მადლობები. ასე მაგალითად, 1887 წლის 7 სექტემბერს, საქართველოს ეგზარქოსის მიერ იგი დაჯილდოვდა გულითადი და კეთილსინდისიერი მუშაობისათვის (თბილისის მიხაილოვის საავადმყოფოს ეკლესიაში მუშაობის პერიოდში) (93); 1891 წლის 31 ოქტომბერს, ამავე საავადმყოფოში მუშაობისას, დაჯილდოვებულ იქნა იისფერი სკუფიით „ქოლერის პერიოდში გაწეული ნაყოფიერი სამსახურისათვის", ხოლო 1897 წლის 8 მაისს, უწმიდესი სინოდის მიერ დაჯილდოვდა კუნკულით (93). საგულისხმოა ასევე 1913 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს ეგზარქოსის მიერ ვასილ კარბელაშვილის სახელზე გაცემული მოწმობა-უფლება, ატაროს რომანოვების

მეფობის 300 წლისთავისათვის სამახსოვროდ დაწესებული ბრინჯაოს მედალი (მოწმობა №4878), მისი სამების ეკლესიაში მოღვაწეობის პერიოდში (101). ნიშანდობლივია, რომ სასულიერო ხელისუფლების მაღალი იერარქები, რომლებიც განუხრელად ემსახურებოდნენ თვითმპყრობელური მიზნების განხორციელებას, დაინტერესებულნი იყვნენ ჯილდოებისა და წახალისებების გაცემით, რაც ერთგვარ პოლიტიკას წარმოადგენადა ქართველ სამღვდელოებასთან საერთო ენის გამოსანახავად. ვასილ კარბელაშვილი, თავისი შრომითი და კულტურული მოღვაწეობით, რა თქმა უნდა, თვითმპყრობელობის ინტერესებს არ გამოხატავდა, პირიქით, იგი ყოველთვის ამ ინტერესების წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლთა რიგებში იყო. თუ როგორ ახერხებდა ასეთ რთულ ვითარებაში სწორი პოზიციის დაკავებას, ამის მიზეზი მის პიროვნულ ღირსებებში უნდა ვეძებოთ. უპირველეს ყოვლისა, მას ღრმად სწამდა, რომ ჭეშმარიტი ღვთისმსახური, რომელიც ღვთის მცნებებს არ ღალატობს, არ ღალატობს სამშობლოს სამსახურსაც.



ვასილ კარბელაშვილი მეუღლესთან - მარიამ თეოფანეს ასულ ნიჟარაძესთან ერთად

ასეთი სულისკვეთებით იყო განმსჭვალული ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) ხანგრძლივი ცხოვრების გზა (†1936), რომელსაც რადიკალურად განსხვავებულ ეპოქებში მოუხდა მოღვაწეობა, მაგრამ მისი მიზანი და მისწრაფება ყოველთვის უცვლელი იყო და იგი საქართველოს ეროვნული ეკლესიის ისტორიული საფუძვლის აღდგენა-განმტკიცებას ემსახურებოდა.



მისი მოღვაწეობა პირობითად ოთხ პერიოდად შეიძლება დაიყოს:

1. ცარიზმის ეპოქა (1874 წლიდან 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციამდე);
2. რუსეთის დროებითი მთავრობის მმართველობის პერიოდი, როდესაც ამიერკავკასიაში შეიქმნა განსაკუთრებული კომიტეტი („ოზაკომი“) (1917 წლის თებერვლიდან 1918 წლის მაისამდე);
3. დემოკრატიული საქართველოს მმართველობის პერიოდი (1918-1921 წლები);
4. საბჭოთა პერიოდი (1921-1936წწ.)

იგი 1936 წლის 8 აპრილს გარდაიცვალა, დაკრძალულია ნავთლუღში, წმიდა ბარბარეს ეკლესიის გალავანში.

# IV თავი

# ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მოღვაწეობა ცარიზმის მმართველობის პერიოდში (1874-1917წწ)

## §1 ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მოღვაწეობის ადრეული პერიოდი

ვასილ კარბელაშვილმა აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდიდანვე დაიწყო (დაახლოებით 1874 წ.), როდესაც ჯერ კიდევ 16 წლის ჭაბუკი აქტიურად თანამშრომლობდა ახლადფეხადგმულ ქართულ პერიოდულ გამოცემებთან. მისი მოღვაწეობის ადრეული ეტაპის განსახილველად საჭიროა ამ პერიოდის ეპოქალური ადწერილობის გაშუქება, თუ რა პირობებში უხდებოდათ ბრძოლა ეროვნულ ძალებს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, 1880-იანი წლების დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II მოკლულ იქნა და მის ნაცვლად ტახტზე ალექსანდრე III ავიდა, რეაქციულმა ძალებმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ყველა მათ, ვინც ახალი იმპერატორისა და მისი მთავრობის პოლიტიკის მოწინააღმდეგე იყო. მთელი იმპერიის მასშტაბით ფართოდ იყო გაშლილი რეპრესიული ღონისძიებები. დაიწყო არარუსი ხალხების განსაკუთრებული დევნა-შევიწროვება, რადგანაც აქ რევოლუციურ მოძრაობასთან ერთად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საშიშროებაც არსებობდა. ასეთ ცხელ რეგიონად კავკასიაში საქართველო მოიაზრებოდა, სადაც ამ პერიოდისათვის აქტიურად ხდებოდა ეროვნული თავისუფლების გარშემო ძალების კონსოლიდაცია. იმპერიულმა ძალებმა კი, რომელთა მიზანსაც შეადგენდა არარუსი ხალხების ასიმილაცია, მთელი რიგი ახალი ღონისძიებების განხორციელებას მიჰყვეს ხელი. პირველ რიგში, მათ მიერ გაუქმებულ იქნა ადრე არსებული

მეფისნაცვლის თანამდებობა და მის ნაცვლად შემოიღეს მთავარმმართებლის თანმდებობა, ამ უკანასკნელმა საბოლოოდ მოუსპო კავკასიის რეგიონს ის მცირედი ავტონომიური უფლებები, რაც კი გააჩნდა მხარის ეროვნული, კულტურული და ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით. გაძლიერებული იყო პოლიციისა და პოლიტიკური ძიების აპარატების მუშაობა. ამასთანავე შემოღებულ იქნა სასტიკი ცენზურა, რომელსაც დავალებლი ჰქონდა ყოველგვარი ინტიიმპერიული აზრის აღმოფხვრა პრესასა და ლიტერატურში. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკის დავალებული ჰქონდა რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება საერო განათლების დარგში, ხოლო ანალოგიური ღონისძიებები ეკლესიის სფეროში საქართველოს მაშინდელ ეგზარქოსს პაველს (ლებედევი) უნდა განეხორციელებინა. ეს უკანასკნელი ცნობილი იყო, როგორც შავრაზმელი არქიეპისკოპოსი. ასეთი ვითარების ფონზე, როდესაც რეაქციული ძალები აშკარა შეტევაზე იყვნენ გადასული, საფრთხეში იყო ჩავარდნილი ქართველი ხალხის, როგორც ასეთის არსებობა (35,337). მიუხედავად მოზღვავებული რეაქციისა, საქართველოში ეროვნული ძალების გაერთიანებისა და ბრძოლის აქტიური პროცესი მიმდინარეობდა. მასში ფართოდ იყო ჩაბმული ქართველი სამღვდელოება, რომელიც მშობლიური ეკლესიის თავისუფლების მოთხოვნით გამოვიდა.

საქართველოს ეკლესიის თავისუფლებისათვის, მისი ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის პერიოდში, საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარს, პროფესორ ქ. პავლიაშვილს სასულიერო კრებული პირობითად სამ ჯგუფად ჰყავს დაყოფილი:

1-ლი ჯგუფი, რომელშიც ცარიზმის სამსახურში მყოფი სამღვდელოება მოიაზრებოდა;

მე-2 ჯგუფი, სამღვდელოების ახალგაზრდა თაობას წარმოადგენდა, რომელთა რუსული ორიენტაციის სწავლა-განათლება ხელს არ უწყოდა მათ ეროვნული მისწრაფებებისაკენ;

მე-3 ჯგუფი, საქართველოს სასულიერო და საერო განათლებამიღებული ფენა, რომელიც ეროვნულ ფესვებს მოუწყვეტლივ უშუალოდ განიცდიდა მშობლიური ეკლესიის და ხალხის დევნა-

შეიწროვებას (10,21-22).

სწორედ ამ უკანასკნელ, მე-3 ჯგუფს მიეკუთვნება ვასილ კარბელაშვილი ძმებთან ერთად, რომლებმაც სემინარიის ასაკიდანვე თავდაუზოგავი ბრძოლა დაიწყეს ცარიზმის არსებული რეჟიმის წინააღმდეგ და თავიანთი წვლილი შეიტანეს მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა-განმტკიცების საქმეში.

ვასილ კარბელაშვილის მოღვაწეობის ადრეულ წლებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის თანამშრომლობას გაზეთ „დროება"-ში, რომლის მთავარი რედაქტორი და სულისჩამდგმელი იყო ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სერგი მესხი. გრძნობდა რა უდიდეს მოვალეობას სამშობლოს წინაშე, ვასილ კარბელაშვილი, ძმებთან ერთად, უხვად აწვდიდა ცნობებს გაზეთ „დროების" რედაქციას, უმთავრესად სოფლის ცხოვრებიდან. აქვეყნებდა წერილებს ქართული სიმღერა-გალობის შესახებ, აშუქებდა სხვადასხვა მტკივნეულ პრობლემებს, რომლებიც მრავლად ხვდებოდა სემინარიაში სწავლის პერიოდში. გაზეთ „დროება"-ში მისი აქტიური მოღვაწეობის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ 1877 წელს, სერგი მესხის დავალებით, მთელი კვირით აწარმოებდა გაზეთის გამოცემას (112,2). გარდა „დროებისა", ვასილ კარბელაშვილი სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა გაზეთებში: „ივერია", „ცნობის ფურცელი", „საქართველო", ჟურნალი „კლდე" და სხვა (111). იგი „ვინმე ხუცესის", „ბერი ბერდიას", „ძველი სემინარიელის" ფსევდონიმებით აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის, ქართული ეროვნული საგალობლების აღორძინება-დაცვის, ქართული ენის სიწმინდის შენარჩუნებასა და სხვა მტკივნეულ საკითხებზე. მის პუბლიკაციებში გამოსჭვიოდა მშობლიური ეკლესიის აღორძინებისა და თავისუფლების მოპოვების სანუკვარი ოცნება (111; 112).

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, იმ პერიოდიდან, როდესაც ვასილ კარბელაშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში წამყვან მიმართულებას თერგდალეულთა ბრწყინვალე პლეადა წარმოადგენდა, რომელთა ლიდერები ილ. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ.

ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი და სხვ. საჭიროდ მიიჩნევდნენ ქართველი საზოგადოებრიობის ყველა ფენისა და კლასის, მათ შორის სამღვდელოების გაერთიანებას საქართველოს უკეთესი მომავლისათვის. ვასილ კარბელაშვილი რომ თანაუგრძნობდა თერგდალეულთა იდეალებს და აქტიურად მიჰყვებოდა „ახალი სიოს" კვალს, ეს ნათლად ჩანს მისი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე. ქართულ ეროვნულ პერიოდიკასთან თანამშრომლობის გარდა, იგი ჩაბმული იყო 1879 წელს შექმნილ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" საქმიანობაშიც (96). გარდა ამისა, ვასილ კარბელაშვილი მონაწილეობას ღებულობდა თერგდალეულთა მეტად მნიშვნელოვან წამოწყებაში, რაც ხალხის ზნე-ჩვეულებების, ხალხური პოეზიის, თქმულება-გადმოცემების, ზღაპრებისა და სხვა ხასიათის ეროვნული მასალების შეგროვება-თავმოყრაში გამოიხატებოდა. ასეთი ხასიათის მასალები მას ჩაბარებული აქვს სახელმწიფო გამომცემლობის გამგეობისათვის (111). აღნიშნულ წამოწყებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ისტორიისა და აწმყოს რეალისტური შეცნობის თვალსაზრისით, რათა უკეთესად ჩასწვდომოდნენ და შეესწავლათ ერის ფსიქიკური წყობა (7,182).

ვასილ კარბელაშვილი მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. 1874 წელს მას უთარგმნია საბავშვო მოთხრობა „წურბელა", რომელიც 1875 წელს ანთიმოზ ჯუღელის მიერ გამოცემულ „საბავშვო კრებულში" დაიბეჭდა (111). საბავშვო ლიტერატურის დაბეჭდვა და გავრცელება მეტად დადებით მოვლენას წარმოადგენდა იმდროინდელ ქართულ სინამდვილეში. ასეთი სახის ლიტერატურაში, მოზარდი თაობის გულსა და სულში ჩასაწვდომი ენით იყო გადმოცემული საქართველოს დუხჭირი აწმყო და მისი ისტორიის გმირული ეპიზოდები. არსებითად ეს იყო ქვეყნის მდგომარეობით გამოწვეული პროტესტი (7,248). მოგვიანებით, კერძოდ 1902-1905 წლებში, ვასილ კარბელაშვილმა „შატბერდის კრებულიდან" გადმოწერა 260 თაბახი ისტორიული მასალა და გადაუთარგმნა პროფესორ ჰარნაკს[3] (112,2).

3 პროფ. ადოლფ ჰარნაკი (1851-1930) – გერმანელი თეოლოგი, ეკლესიის ისტორიის მკვლევარი.

საგულისხმოა, რომ ვასილ კარბელაშვილი 1877-1881 წლებში აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოში ახლადჩამოყალიბებულ თეატრალურ დასთან, მის თვალსაჩინო მოღვაწეებთან: ვანო ცაგარელთან, ვასო აბაშიძესთან, ნასო საფაროვასთან, კოტე მესხთან, ვალერიან გუნიასთან და სხვებთან. მონაწილეობას ღებულობდა საქველმოქმედო კონცერტებში. 1881 წელს, ქართულ სცენაზე პირველად დაიდგა დავით ერისთავის პიესა „სამშობლო", სადაც მომღერალთა გუნდს ვასილ კარბელაშვილი ხელმძღვანელობდა (111). ცნობილია, თუ როგორი რეაგირება მოჰყვა რუსი რეაქციონერი მოღვაწეების მხრიდან აღნიშნული პიესის დადგმას ქართულ სცენაზე, სადაც გამოჩენილი ქართველი ხელოვნების მოღვაწეთა საშუალებით ნათლად გამოიხატა ქართველი ერის მისწრაფებანი – ბრძოლა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ და ქართველი საზოგადოებრიობის მოწოდება ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად.

ამრიგად, ვასილ კარბელაშვილი თავისი მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში ფართოდ იყო ჩაბმული იმ დროისათვის აღმავლობის გზაზე დამდგარ ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ მოძრაობაში. იგი სემინარიაში სწავლის პერიოდიდანვე თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ გამოცემებთან და სხვადასხვა ფსევდონიმებით აქვეყნებდა წერილებს ერისათვის მტკივნეულ საკითხებზე; განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი თანამშრომლობა გაზეთ „დროება"-ში; გარდა ამისა, ვასილ კარბელაშვილი ფართოდ იყო ჩაბმული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მუშაობაში; მონაწილეობას ღებულობდა ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებების, ხალხური პოეზიის, თქმულება-გადმოცემების და სხვა ხასიათის მასალების შეგროვება-თავმოყრაში; თანამშრომლობდა ქართულ თეატრალურ დასთან, ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას და ა.შ.

## §2 ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიის ისტორიული საფუძვლის აღდგენისათვის

### ა) ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება-განმტკიცების საკითხები და სარწმუნოებრივი ინდეფერენტიზმისადმი დამოკიდებულება ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) შემოქმედებაში

რუსეთის იმპერიის რეაქციული საეკლესიო პოლიტიკის გატარებამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თავისი დაღი დაასვა ქართველი ერის რელიგიურ გრძნობებს, რის შედეგადაც თითქმის სრულიად დაიკარგა ის ცოცხალი სარწმუნოებრივი განცდა, რომლის უწყვეტი ჯაჭვიც საუკუნეთა სიღრმიდან მოდიოდა და ადუღაბებდა ქართველი ერის თვითმყოფადობასა და უმდიდრეს კულტურას. საქართველოს ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის მებრძოლი ქართველი სამღვდელოებისათვის, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით განიცდიდა აღნიშნული მდგომარეობის სიმძიმეს, ცხადზე ცხადი გახდა, რომ საჭირო იყო თავდაუზოგავი ბრძოლა ქართული სულის გასაღვიძებლად.

ვასილ კარბელაშვილის მღვდლად კურთხევის შემდეგ (1883 წ), მისი მოღვაწეობის ასპარეზი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, რადგანაც საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა მეტად რთული და მრავალმხრივი პრობლემების გადაწყვეტას მოითხოვდა. საქართველოს ეკლესიისათვის ეროვნული შინაარსის დაბრუნება უპირველეს ყოვლისა მამა-პაპათა სჯულის აღდგენით იყო შესაძლებელი. საჭირო და აუცილებელი გახდა დაკნინებული ეროვნული თვითშეგნების აღდგენა-განმტკიცება და მისი ჩვეულ ისტორიულ კალაპოტში ჩაყენება. ცარიზმის პოლიტიკის პირობებში ეროვნული თვითშეგნების დაკნინება მრავალი მიზეზით იყო განპირობებული, რისთვისაც საჭირო გახდა ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად ბრძოლა, როგორც ეკლესიის წიაღში, ასევე სასწავლო-საგანმანათ-

ლებლო ქსელში, სადაც მომავალი თაობის აღზრდა-ჩამოყალიბება ხდებოდა.

ვასილ კარბელაშვილის პუბლიცისტურ წერილებში, ჩანაწერებში და სხვადასხვა ხასიათის მიმართვებში ხშირად გაისმოდა პრინციპალური მოწოდება ეროვნული სარწმუნოების შეურყევლობისა და დაცვის შესახებ. მამა-პაპათა სჯულის აღდგენა-შენარჩუნების აქტუალურობის ხაზგასასმელად მას საინტერესო ანალიზი აქვს გაკეთებული საქართველოს ისტორიული განვითარების ფონზე, სადაც მინიშნებული აქვს ეროვნული ეკლესიის უპირატესი როლი, როგორც ქართული სახელმწიფოს მაცოცხლებელი ძალისა. „...სულიერად მდიდარი ერი, შემკული ეროვნულის პატიოსნებით, მაღალის ზნეობით და ქველურის მკლავით, სამკაულია კაცობრიობისათვის..." (121) – აღნიშნავდა იგი და ასეთი ღირსებების მქონედ მოიაზრებდა ქართველ ერს მსოფლიო კულტურულ სივრცეში. ქართველი ერის ღრმა ქრისტიანული ბუნების დამადასტურებლად ვასილ კარბელაშვილი განიხილავდა ქართველთა წარმართობისდროინდელ ტრადიციებს და ზნე-ჩვეულებებს, როგორებიცაა: მამულისა და მოყვასის სიყვარული; მაღალი ზნეობა; სიმამაცე; ლმობიერება მტრისადმი; დედაკაცის პატივისცემა და ა.შ., სადაც მიუთითებდა, რომ ქრისტიანული სარწმუნოების მიღების დროსაც და შემდგეშიც ქართველებს ამ ღირსებებისათვის არ უღალატნიათ, არამედ პირიქით, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს, შეამკეს რა ისინი ქრისტიანული მოძღვრების მარადიული ღირებულებებით. ქართველთა წარმართობისდროინდელი მაღალზნეობრივი ტრადიციები რომ გარკვეულწილად მზადება იყო ქრისტიანული სარწმუნოების მისაღებად, ვასილ კარბელაშვილი იმ ფაქტით ხსნიდა, რომ ქრისტიანობა საქართველოში უსისხლოდ იქნა დამყარებული (121).

ვასილ კარბელაშვილი აღნიშნავდა, რომ წმიდა ანდრია პირველწოდებულის შემოსვლამდე ქართველები უკვე გაცნობილნი ყოფილან ქრისტეს სწავლებას. პალესტინაში ქართველთა ხშირი მისვლა-მოსვლის გამო ქრისტეს მოძღვრების მიმდევარნი მრავლად მოიპოვებოდა იმდროინდელ საქართველოში. ზოგიერთი მათ-

განი ღირსიც კი გამხდარა, რომ ზეციური მოძღვრისაგან ლოცვა-კურთხევა მიეღო. ასეთ პიროვნებად, ვასილ კარბელაშვილი ბაგრატ ქართველს მოიხსენიებს, რომელიც ჭოროხის ხეობიდან იყო და შემდეგში პეტრე მოციქულისაგან ტაერიმანიის ეპისკოპოსად იქნა დადგინებული (118).

წმიდა მოციქულთა ქადაგებისა და IV საუკუნეში წმიდა ნინოს შემოსვლის შემდეგ, ქართველი ერი სისხლხორცეულად დაუკავშირდა ქრისტიანობას, რომელიც მის მტრებს ხმლითა და ჯვრით ეომებოდა. სჯული და მამული იყო ქართველი ერის შემაერთებელი და განმაძლიერებელი სახსარი, ამიტომაც გაუძლო საუკუნეების ქარ-ცეცხლს, თავისი ელფერი შეინარჩუნა და არ გაითქვიფა სხვა ერებთან (121) – მიანიშნებდა იგი და საზოგადოებას იმ ისტორიულად აღიარებულ ჭეშმარიტებას შეახსენებდა, რომ ქართველობა, როგორც ეროვნული ძალა და ძლიერება შემოგვინახა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ. ამით იგი უარყოფდა იმდროისათვის მყარად დამკვიდრებულ აზრს იმის შესახებ, რომ თითქოს ქრისტიანობამ დასცა და მიწასთან გაასწორა მთელი ქართველობა (121). „სინამდვილეში, თუ სავალალო მოვლენებს ვერ ავცდით, ესეც ჩვენი დაუდევრობითა და საქმის ვითარების შეუგნებლობით ხდება“, - აღნიშნავდა ვასილ კარბელაშვილი და ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მართალია რუსული მმართველობის წესების შემოღებამ სარწმუნოების საქმეში ბევრი უბედურება მოუტანა ივერიის ეკლესიას, რაც რა თქმა უნდა, უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა რწმენის დაცემა-დაქვეითებისა, მაგრამ, არანაკლები მიზეზი ამისა უნდა გვეძებნა ჩვენში, ქართველობაში, რომელსაც უფრო მეტი სიმტკიცე და გამჭრიახობა უნდა გამოეჩინა და არ გაჰყოლოდა პირად ინტერესებსა და სიამოვნებას (121) „...როდესაც ერი დაეცემის სულიერ-ზნეობრივულად, მაშინ იგი გადაგვარების გზას დაადგების და მიზეზებს აქა-იქ ეძებს, ავიწყდება ის, რომ იგი თავად მიზეზია ამ დაქვეითებისა“ - მიუთითებდა იგი და ქართველობის განმტკიცებისა და მისი მაღალი ზნეობის შენარჩუნებას სასულიერო წოდებასა და თავადაზნაურობას აკისრებდა, რომლებიც ოდითგანვე მზად იყვნენ სისხლი დაეთხიათ სჯულისა და მამულისათვის (121).

ცარიზმის ანტიეროვნული პოლიტიკის ფონზე, გარეშე შემმუსრავი ძალის დამარცხებას ვასილ კარბელაშვილი ერის წიაღში გამომძებნილი ძალებით ლამობდა და აღნიშნავდა, რომ რომელიმე ბარბაროსის პოლიტიკურ ბატონობაზე უფრო საშიში ერის სულიერ-ზნეობრივი მონობა იყო. ყოველივე ამის მიზეზი კი ქართველ ერს თავის თავში უნდა დაენახა, კარგად გამოეკვლია თხუთმეტი საუკუნის შემდეგაც უშწიკვლოდ მოტანილი ქრისტეს სჯული და ისე ეწამლა ერის სატკივარისათვის – „...ვის შეუძლია აღმიკრძალოს მამა-პაპათა სჯული, თუ კი მე მაგრად ვიდგები და ფეხს არ მოვიცვლი? აი, აქ არის ბაბილონის გოდოლი, რომ აღარც ჩვენი ვიცით და აღარც სხვისი...“ (118) – ამბობდა იგი და ქართველობას შეახსენებდა, რომ „იმ ერებში, სადაც ეროვნული იდეა არ იყო შესისხლხორცებული და სარწმუნოების შეგნებითი ქონა უკუგდებული და დასამარებული იყო, განსაცდელიც ადვილად მოიწევოდა“ (110,87).

მამა-პაპისეული სჯულის შერყევის მიზეზების კვლევისას, ვასილ კარბელაშვილი საკითხის განხილვას იწყებდა იმ ჭეშმარიტებით, რომ რელიგიური და ეროვნული თვითშეგნების აღზრდა ოდითგანვე ტრადიციულ ქართულ ოჯახზე იდგა. სწორედ ოჯახიდან იწყებოდა ცოცხალი სარწმუნოებრივი განცდა თითოეული ქართველისა, რომელიც სისხლ-ხორცეულად იყო დაკავშირებული მამულის სიყვარულთან და მისთვის თავდადებასთან. ამიტომ, დედათა აღზრდის საკითხი მას მიაჩნდა, როგორც ქვაკუთხედი მამა-პაპისეული სჯულის აღდგენის საქმეში. ვასილ კარბელაშვილის ღრმა რწმენით, უპირველეს ყოვლისა უნდა გამაგრებულიყო ქართული ოჯახი, ბურჯი ეროვნებისა, სადაც ოდითგანვე ქართლის დედა როგორც სამშობლოს საკურთხეველს, ისე ემსახურებოდა ოჯახს და სჯულისა და მამულის სიყვარულში ზრდიდა შვილებს. თავის მემუარებში „საქართველოს ეკლესია და მისი ბედი“, იგი მიუთითებდა ქართველი დედების როლის შესახებ ჭეშმარიტი ქრისტიანების აღზრდის საქმეში და აღნიშნავდა, რომ სწორედ მათი გავლენა იყო მოწამეთა და თავდადებულ მამულიშვილთა უთვალავი რიცხვი რომ არსებობდა საქართველოში, რომელთაც სჯულისა და მამული-

სათვის სიკვდილი სიცოცხლედ მიაჩნდათ „...თუ რომელიმე ერი დაიქადნებდა კაცობრიობის წინაშე, რომ ქრისტიანობაზე ამაგი ჰქონდა, პირველ რიგში ქართველს ერს უნდა მოეწონებინა თავი, რადგანაც არც ერთ ერს არ ჰქონდა შენახული ქრისტეს სჯული ისე წმინდად, როგორც ქართველებს" (110,8-14).

ვასილ კარბელაშვილი მიიჩნევდა, რომ ქართველი დედების გადაგვარების საქმეში ტენდენცია ათას რვაასი წლიდან იღებდა სათავეს, როდესაც თბილისის სიონის ტაძარში იმპერატორს შეჰფიცეს და საიდანაც დაიწყო მამა-პაპისეული სჯულის დევნა და მომავალ მამულიშვილთა და დედათა გადაგვარება „...აი აქედან იწყება ის ხანა, როდესაც ქართველი ერის გენია შეიბღალა, გაიქირდვა და დაეცა, შემოიტანეს და გაამეფეს სილაღე სარწმუნოებაში, ოჯახურ ცხოვრებაში, აღზრდა-დამოკიდებულებაში და დღემდე, ამ დაქნებულ გზაზედ მიექანებით დაღუპვისაკენ..." (100,68)-აღნიშნავდა იგი. ქართველი დედების გადაგვარებას მოჰყვა სჯულის გადაგვარება, განელდა კერა და განელდა სჯულიც, დაივიწყეს ურთიერთსიყვარული – დაივიწყეს ღმერთი (118). ამიტომ, ქალი, რომელიც ქართველთა მიერ იყო პატივცემული, ოჯახს უნდა დაბრუნებოდა. ქართველი ერის შემობრუნება მამა-პაპათა სჯულზე სწორედ ამით უნდა დაწყებულიყო, რაც ერის დღეგრძელობის საწინდარი გახდებოდა. მომავალ დედებს საუკეთესო სკოლა უნდა გაევლოთ როგორც სასწავლებელში, ისე მონასტერში, სადაც მათი აღზრდა ეროვნული სულისკვეთებით წარიმართებოდა. როგორც სასულიერო პირი, ვასილ კარბელაშვილი მომავალი დედების აღზრდაში უპირატესობას მონასტრულ ცხოვრებას ანიჭებდა. ამგვარად აღზრდილი დედები გაამართლებდნენ იმ საპატიო მისიას, რასაც ოდითგანვე ქართველი ქალი თავის თავზე იღებდა ერის კეთილდღეობისათვის (118).

ვასილ კარბელაშვილის ასეთი მკაფიო მოთხოვნა მომავალ ქართველ დედათა აღზრდის შესახებ, გამოძახილი იყო ცარიზმის იმ მიზანმიმართული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, რასაც იმპერიის მოხელე-ჩინოვნიკები შეგნებულად აწარმოებდნენ მომავალი თაობის ეროვნული ცნობიერების დაკნინების მიმართულებით. ეს უკანასკნელი, პირველ რიგში, გამოიხატებოდა სასწავლებლებ-

ში ქართული ენის უგულებელყოფითა და ზოგადად, ეროვნული სულისკვეთების აღმოფხვრით. ამიტომ იგი დაუფარავად გმობდა რუსული აღზრდა-განათლების დამკვიდრებას ყველანაირი სახის სასწავლებელში.

მოხსენებაში „საღმრთო შჯულის პროგრამის შესახებ თბილისის სათავადაზნაურო დედათა სასწავლებლისათვის“, ქალთა რეალური სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებით, ვასილ კარბელაშვილი აღნიშნავდა, რომ სასწავლებლის მიზანი და დანიშნულება ღვთისა და ერის წინაშე, ღირსეულ დედათა აღზრდა იყო, რომლებიც ყველანაირი სიკეთით უნდა ყოფილიყვნენ შემკულნი (105). იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა სასწავლო პროცესის ქართულ ენაზე წარმართვის აუცილებლობაზე და მიუთითებდა, რომ აღსაზრდელებისათვის საჭირო იყო არა მარტო სასწავლო დისციპლინების, არამედ ლოცვების ქართულ ენაზე შესწავლაც. რუსეთის იმპერიის სასწავლებლებიდან აღსაზრდელს სკოლიდან ოჯახში შეჰქონდა ის, რასაც ჩვეული არ იყო ტრადიციული ქართული ოჯახი. სკოლასა და ოჯახს შორის ჰარმონიული კავშირის დასამყარებლად, ოჯახი პატივისცემით უნდა მოპყრობოდა სახარებას – თავის სჯულს (105). ქართველი დედების დანიშნულებას ეხებოდა ვასილ კარბელაშვილის არა ერთი პუბლიცისტური წერილი, სადაც ხაზგასმული იყო ქალის საღმრთო მოვალეობა სამშობლოს წინაშე „...შჯული-რწმენაა პირველი ენერგია ერის წარმატებაში და დედა-ბურჯია მის წარმატებაში, თორემ გარეცხილი გულის პატრონი ქალი არასოდეს არ იქნება ოჯახის მომწესრიგებელი და სულ მუდამ გარეთ იცქირის. მიეცით ქალს ის, რაც ჰქმნის ქალს მეფად და დედად ოჯახისა და შვილებისა!..“ – აღნიშნავდა იგი ბავშვთა აღზრდის შესახებ თავის წერილში 1916 წლის 24 თებერვალს, სათაურით „ესეც მინახავს და შემხვედრია...“ (126). ქართველი დედების ტრადიციულმა აღზრდამ ოჯახებსა და მონასტრებში, რომელიც თვითმპყრობელობამ ძირფესვიანად შეცვალა, გიმნაზია-ინსტიტუტებში გადაინაცვლა, სადაც ყოველივე ეროვნული დაგმობილი იყო, ამიტომ, იქ აღზრდილი დიდებული კნეინა და „გენერალშა“ რუსულ წირვა-ლოცვას ამჯობინებდა ქართულს, და არად

უღირდა არც ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალია და არც სამშობლოს თავისუფლება. ვასილ კარბელაშვილი ასეთი აზროვნების ქართველებს შეახსენებდა: „...დავარწმუნებ იმ ჩვენ ბრწყინვალე კნეინა თავადიანებს თავადებით, რომ გულში ყველას ეზიზღება თავის სჯულისა და მამულის მგმობნი" (113).

ვასილ კარბელაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა საღმრთო სჯულისა და ქართული ენის მასწავლებლად სასულიერო და საერო სკოლებში. მისი მოღვაწეობა სასწავლო-საგანმანათლებლო ქსელში ეროვნულ პრინციპებზე იყო დაფუძნებული, სადაც იგი ქართული ენის შესწავლის მკვიდრად დანერგვისათვის იბრძოდა.

სასულიერო სასწავლებლებში გატარებულმა ანტიეროვნულმა რეფორმებმა, მომავალ სასულიერო კრებულში ეროვნული თვითშეგნება საგრძნობლად დააქვეითა. ასეთ სასწავლებლებში აღზრდილი მოძღვრები, რომლებსაც სახარების განმარტება არ შეეძლოთ მშობლიურ ენაზე, სულიერ საზრდოს ვერ აწვდიდნენ ერს. ეკლესიას აღარ ჰყავდა მაღალი ზნეობითა და ცოდნით აღჭურვილი კადრი (80,1-3). ამით იყო განპირობებული ვასილ კარბელაშვილის ბრძოლა სასულიერო სასწავლებლებში გამეფებული რეჟიმის წინააღმდეგ. მკაცრი რეაქციის მიუხედავად, მისი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო საღმრთო შჯულის ქართულ ენაზე სწავლების საკითხი. „...ქართული სახარებაც კი არ არის შეწყნარებული, არამც თუ საღმრთო ენა!...სულისა და გულის სიღრმეშიც კი შეაქეთ ცვლილება, უნდათ, რომ მოუსპონ ქართული სახარების გაგება, გალობის მოსმენა, ლოცვა და ვედრების საშუალება მშობლიურ ენაზედ და მიაღწიეს კიდეც..." (126) – დანანებით აღნიშნავდა იგი და იმ სავალალო შედეგებზე მიუთითებდა, რაც იმდროინდელი ქართული საეკლესიო ცხოვრების სინამდვილეში იყო გამეფებული: „...სასულიერო სასწავლებელში 6-8 წელიწადი რომ სწავლობდეს და <<მამაო ჩვენო>> ქართულად ვერ წაიკითხოს, ეს არის კანონიერება? აი, ბატონო! მოგვეცით ისეთი მღვდლები, რომ გულშემატკივარნი იყვნენ ხალხისა, მათ ხალხის ესმოდეთ და ხალხს მათი და მაშინ რაღა იქნება საჭირო. ეხლა როგორც იზრდება მომავალი სამღვდელოება ყველამ იცის, ისინი საქართველოში კი არ გამოდგებიან, რუსეთში

იქნებიან გამოსადეგნი" (110,72-73).

მომავალი სამღვდელო კრებულის აღზრდაში არსებული ნაკლოვანებების მხილებით ვასილ კარბელაშვილი ცდილობდა საზოგადოებისათვის დაენახვებინა იმ დროისათვის უკვე ტენდენციად ქცეული სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმის ნამდვილი მიზეზი, რის შედეგადაც მოძღვრებს აღარ ჰქონდათ „ისეთი მამაპაპური ნდობა მრევლისა, როგორც წინათ, ან კი როგორღა უნდა ჰქონოდათ, როცა ზოგიერთ მღვდელს თავისი წმინდა მოვალეობა ხელობად ჰქონდა გადაქცეული" (110,14). ვასილ კარბელაშვილს ღრმად სწამდა, რომ ცარიზმის მომძლავრებული ანტიეროვნული პოლიტიკის პირობებში, როცა არსებული რეალობის ობიექტური გაშუქება ერთი შეხედვით მხოლოდ „მტბორეს ამღვრევას" ჰგავდა, სამომავლოდ კეთილ ნაყოფს გამოიღებდა. უპირველეს ყოვლისა, პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა, ეკლესიისაგან განზე განმდგარი ქართველი საზოგადოებისათვის დამაკავშირებელი რგოლი გახდებოდა სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმის აღმოსაფხვრელად, მეორეს მხრივ, იგი თვალს აუხელდა რუსული სულისკვეთებით აღზრდილ ქართველი ეროვნების სასულიერო პირებს და ჩინოვნიკებს, რომელთათვისაც ყოველივე ქართული და ეროვნული მივიწყებულ აჩრდილსა ჰგავდა და მათი საქმიანობა მხოლოდ ჩინისა და წარმატების ძიებაში ვლინდებოდა (110,65).

ვასილ კარბელაშვილი დაუფარავად ამხელდა და ებრძოდა რუსი ჩინოვნიკების მიერ გატარებულ მიზანმიმართულ ანტიეროვნულ პოლიტიკურ კურსს, რომლებიც ერის უდიდეს განძს, ქართულ ენას, ძაღლის ენად მოიხსენიებდნენ და ღვთისმსახურებისა და სასწავლებლებიდან მის სრულიად განდევნას ლამობდნენ, რათა რაც შეიძლება სწრაფად მომხდარიყო ქართული ეროვნული თვითშეგნების დაკნინება-გაქრობა და ქართველთა ასიმილაცია იმპერიის მრავალეროვან მოსახლეობაში. მას აშკარა დაპირისპირება ჰქონდა რექტორ-პედაგოგებთან, რომლებიც შეურაცხყოფდნენ ქართულ ენას, ეროვნულ ღვთისმსახურებას და ა. შ. აქვე უნდა აღინიშნოს მისი გახმაურებული კონფლიქტი სასულიერო სემინარიის რეაქციონერ მასწავლებელ ნედელსკისთან. ამ უკანასკნელმა, საუბრის

დროს ნათლად გამოამჟღავნა რუსი მოხელეების ზიზღით აღსავსე განწყობა ქართველების მიმართ და მეტად შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენია ქართველი სამღვდელოება. აღშფოთებულმა ვასილ კარბელაშვილმა, მომხდარი ინციდენტის შესახებ სემინარიის რექტორს წერილობით აცნობა (90). საქმე სასამართლომდეც კი მივიდა. 1899 წლის 28 სექტემბერს, გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იუწყებოდა, რომ სასამართლოში მეტად საინტერესო საქმე უნდა გარჩეულიყო, სადაც მამა ვასილ კარბელაშვილი უჩიოდა სემინარიის მასწავლებელ ჩუდელსკის სიტყვით შეურაცხყოფის მიყენებისათვის (48,1).

ვასილ კარბელაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წიგნიერების ფართოდ გავრცელებას ქართველი ერის კეთილდღეობისათვის. მაგრამ წინააღმდეგი იყო იმ გარემოებისა, რომ ქართულ ეროვნულ სკოლას თავს ახვევდნენ სრულიად განსხვავებულ, ერისათვის მიუღებელ ფასეულობებს, რაც უცხო იყო ქართული ტრადიციებისათვის. იგი ამხელდა რუსული თვითმპყრობელობის მიერ გამოზრდილ ქართველ ჩინოვნიკებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ რუსული აღზრდა-განათლების დამკვიდრებას საქართველოში (126). ვასილ კარბელაშვილი იმ ქართველ ახალგაზრდებზეც ამახვილებდა ყურადღებას, რომლებიც საქართველოს გარეთ სწავლობდნენ. იგი განმარტავდა, რომ ამ ახალგაზრდების სწავლა-განათლების შედეგი უპირველეს ყოვლისა, იმ კრიტერიუმებით უნდა შეფასებულიყო, თუ რას შემოიტანდნენ ისინი „საერო მშობლიურ სალაროში“, რის ქვეშაც გულისხმობდა ქართულ ეროვნულ პატიოსნებას, ზნეობას, სიყვარულსა და სიტყვის გაუტეხლობას (126).

ვასილ კარბელაშვილი იკვლევდა და აანალიზებდა იმ უმთავრეს მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვიეს ქართველი სტუდენტების „უკიდურესი გულქვაობა“ და „კოსმოპოლიტიზმი“. იაკობ გოგებაშვილის მიერ, 1909 წელს, ალმანახ „ძალაში“ გამოქვეყნებული წერილის „უკიდურესი გულქვაობა – ვუძღვნი ქართველ სტუდენტებს“ პასუხად, ვასილ კარბელაშვილს ვრცელი მოხსენება გაუკეთებია, სადაც ნათლად ჩანს მისი შეხედულებები და დამოკიდებულება მოზარდი თაობის ეროვნული თვითშეგნების აღზრდა-ჩამოყალიბე-

ბის შესახებ (128). იგი ეთანხმებოდა ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ თვალსაზრისს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, რომ ქართველი მოსწავლენი, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ეროვნულ მოძღვარსა და მასწავლებლის და სრულიად დაშორებულნი ქართულ სახარებას, ვერ განიცდიდნენ მის ზნეობრივ ზეგავლენას, რადგან, ყოველგვარი მაღალი გრძნობის აღზრდა შესაძლებელი იყო მხოლოდ დედა ენის საშუალებით. და, რადგან ასეთი პროცესი გამქრქალებული იყო ყოველგვარ სასწავლებელში და ამ პროცესის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ყველა ქართველი მოსწავლე. (3,187-188).

ვასილ კარბელაშვილი, როგორც სასულიერო პირი, მთელი სიგრძე-სიგანით ხედავდა აღნიშნული პრობლემის გამომწვევ მიზეზებს. მას არ აკმაყოფილებდა მხოლოდ საერო მიდგომა და ანალიზი ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის კვლევისას, რაც საკმაოდ გარკვევით და ნათლად ჰქონდა დასაბუთებული ქართველი ერის მოჭირნახულე პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, და ეცდებოდა მისი სისავსე სულიერი მოძღვრის პოზიციებიდან გაემყარებინა. იგი ქართველ საზოგადო მოღვაწეთა უპირველეს მოვალეობად ეროვნული თვითშეგნების დაკნინების ნამდვილი მიზეზების დროულად გამომჟღავნებას, გამოკვლევას და ხალხის გამოფხიზლებას მიიჩნევდა. იმ რეალობიდან გამომდინარე, რომ სემინარიებსა და გიმნაზია-პანსიონებიდან გამოსული სამღვდელო პირები, რომლებიც ეროვნულ აღზრდას სრულიად მოკლებულნი იყვნენ და ვერ ასრულებდნენ მაღალ მოვალეობას ერისა და ბერის წინაშე, ვასილ კარბელაშვილი იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ "უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ამ სავალალო შედეგის გამომწვევი მიზეზის გამოსწორება და მისი ეროვნულ კალაპოტში ჩაყენება - „...აი, ეს მიკვირს, რომ ილიამაც და მისდა მიმდევარ შკოლამ ვერ შეიგნეს სარწმუნოების მაღალი ჰაზრი და რუსებისაგან გათახსირებულ სამღვდელოებას ქვა-გუნდს აზელდნენ, იმის მაგივრად, რომ გვერდში ამოსდგომოდნენ სამღვდელოებას, იმათის დახმარებით დაახლოებიყვნენ გლეხობას, შორს დაუდგნენ და თვით იგინივე დასცინოდნენ სამღვდელოებას და აიძულებდნენ ხალხსაც!"

(128). მისი ზემოაღნიშნული სიტყვები ქართველი სამღვდელოების მხრიდან მოწოდებად გაისმოდა, რათა გაერთიანებული ძალებით გამკლავებოდნენ ეროვნული ეკლესიის მოზღვავებულ პრობლემებს და შეეჩერებინათ ეროვნული თვითშეგნების გარდაუვალი კვდომის პროცესი. ამ მოწოდებაში, იგი არა მარტო საზოგადო მოღვაწეთა, არამედ მთელი ერის დარაზმვას გულისხმობდა. მას მოყვანილი აქვს კირიონ საძაგლიშვილის ტანჯვით აღსავსე მოღვაწეობის მაგალითი, რომელსაც ქართველი საზოგადოების უმრავლესობა და განსაკუთრებით „ქართველი ერის დიპლომი სტუდენტ-ინტელიგენცია" სამარცხვინო დუმილით ადევნებდა თვალყურს და არ თანაუგრძნობდა სიტყვითა და საქმით. დღევანდელი გადასახედიდან კი, როცა საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ კირიონ კათალიკოსი წმინდანად შერაცხა, წინასწარმეტყველებასავით გაისმის ვასილ კარბელაშვილის მიერ მის მიმართ წარმოთქმული სიტყვები – „...ის რომ ნერონის დროს ყოფილიყო, ეკლესია წმინდანად შერაცხდა" (128). წერილის დასასრულს, ვასილ კარბელაშვილი აღნიშნავდა, რომ სრულიად არ უკვირდა განათლებულ სტუდენტთა გულგრილობა, რომელთაც ასე ჰკიცხავდა ი. გოგებაშვილი და ამჯობინებდა იმ გლეხებს, თავიდან რომ ჰქონდათ აშორებული ბიუროკრატიული სკოლის გავლენა და ქართული მწიგნობრობისა და ლიტერატურის დახმარებით საკმარისი განათლება ჰქონდათ მოპოვებული. „...რა მიგიციათ და რასა ჰსთხოვთ?", კითხვას სვამდა იგი საზოგადოების წინაშე და დაასკვნიდა: „სტუდენტები რომ პატარაობიდანვე შეჩვეულნი ყოფილიყვნენ სახარების, ანუ დაბადების კითხვას და მაღალი ზნეობის ქრისტეს მოძღვრებას, რაღა თქმა უნდა არ იკადრებდნენ და ის ინსტიქტები აღმოფხვრილი იქნებოდა მათში! ან რომ ჰქონიყოთ იმათ აღზრდა ეროვნული, ეროვნულად აღზრდილი დედ-მამისაგან, რაღა თქმა უნდა ეს უბედურება არ დაატყდებოდათ თავზედ" (128). ამიტომ, მისი განმარტებით, ქართული ეროვნული თვითშეგნების აღზრდის ქვაკუთხედი მამა-პაპათა შჯულის აღდგენით უნდა დადებულიყო, რისთვისაც მომავალი თაობა სახარებასა და ქრისტეს მოძღვრების მაღალ ზნეობას მშობლიურ ენაზე დაეწაფებოდნენ და როგორც ძველად, ქართველნი თავიანთი

ცხოვრებით აღასრულებდნენ ქრისტეს სწავლებას, ისე უნდა გაგრძელებულიყო მათი სულიერი ცხოვრების ჯაჭვი.

საგულისხმოა, რომ ვ. კარბელაშვილი, ოპტიმისტურად იყო განწყობილი საქართველოს მომავლისადმი და ხსნას ისევ სტუდენტ-ახალგაზრდობაში ხედავდა, მათზე სასოებდა, როგორც „ქართველთა ერის მჭრელ გონებრიულ ხმალზე" და სწამდა, რომ საქართველოს, ფენიქსის მსგავსად, სწრაფად შეეძლო განახლება და ჭკუის სწავლება (128).

ამრიგად, საქართველოს ეროვნული ეკლესიის ისტორიული საფუძვლის აღდგენისათვის ბრძოლაში ვასილ კარბელაშვილი უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებდა მამა-პაპისეული სჯულის აღდგენასა და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება-განმტკიცების საკითხებს და მიიჩნევდა, რომ სწორედ ამ გზით უნდა მომხდარიყო ქართველი ერის შემობრუნება ტრადიციული ეროვნული ღირებულებებისაკენ. მისი მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიაში და სასწავლო-საგანმანათლებლო ქსელში მტკიცე ეროვნულ პრინციპებზე იყო დამყარებული. მკაცრი რეაქციის მიუხედავად, იგი აშკარა წინააღმდეგობას უწევდა რუსი ჩინოვნიკების მიერ გატარებულ ანტიქართულ პოლიტიკას და ხელს უწყობდა მომავალი თაობის ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება-განმტკიცების პროცესს. იგი იბრძოდა სასწავლებლებში ქართული ენის დამკვიდრებისათვის, რათა აღსაზრდელს საღმრთო სჯული მშობლიურ ენაზე შეეთვისებინა; მისი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო მომავალ ქართველ დედათა აღზრდა და მათში ეროვნული სულისკვეთების ჩამოყალიბება. მისი ღრმა რწმენით, ქართული ეროვნული თვითშეგნების აღზრდა-ჩამოყალიბებაში, სამღვდელოების გარდა, თავისი წვლილი უნდა შეეტანა ქართველი საზოგადოების ყველა ფენას. უმთავრესი საკითხი კი, სადაც ქართული ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება-განმტკიცების ქვაკუთხედი უნდა დადებულიყო, მამა-პაპათა სჯულის აღდგენა იყო, რათა მომავალ თაობაში ქრისტეს მარადიულ მცნებებზე დაფუძნებული ცოცხალი სარწმუნოება აღზრდილიყო.

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული მებრძოლი სამღვდელოების წინაშე გადასაწყვეტი საკითხების ფართო წრეში გან-

საკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმის აღმოფხვრა, რაც თავის თავში გულისხმობდა: სამღვდელოების დაკარგული ავტორიტეტის აღდგენას, მრევლისა და მოძღვრის დაახლოებას, მოძღვრება-ქადაგების გაძლიერებას და სხვა საგულისხმო პრობლემების მოგვარებას.

უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო სამღვდელოების სწორი ეროვნული ორიენტაციის ჩამოყალიბება, რაც საკმაოდ სახეშეცვლილი და შინაარსდაკარგული იყო ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის ზეგავლენით, სხვა შემთხვევაში იგი ვერ მოახერხებდა ერის სულიერ-ზნეობრივი სადავეების ხელში აღებას. ვასილ კარბელაშვილს კარგად ესმოდა, რომ პირველ რიგში საჭირო იყო ქართველ სამღვდელოებას თავიდან აეცილებინა „სალათას ძილი", რა მდგომარეობაშიც იგი რეალურად იმყოფებოდა ჩინთა და წარმატებათა მაძიებლობის გამო და შეახსენებდა მათ: „...დროა იგრძნოს ჩვენმა სამღვდელოებამ, რომ გარდა იმ მოვალეობისა და ფიცისა, რომელიც მას მიუღია და აწევს, უფრორე მომატებული ულელი და მოვალეობა წინაშე ღვთისა და ქვეყნისა ადგავს მას კისერზედ და უნდა მისცეს პასუხი იმ მამა-პაპიეული სჯულის შერყევისათვის, რასაც ვხედავთ ეხლა მათ ენება-სურვილთა გამო" (110,65). მას თავის მოვალეობად მიაჩნდა განგაშის ზარები შემოეკრა და თავისივე წოდების მხილებისა და კრიტიკის საშუალებით საზოგადოებისათვის დაენახვებინა, რომ თუ სამღვდელოება ერის „მარილის" თვისებას დაჰკარგავდა, მაშინ გარდაუვალი იქნებოდა ერის დაცემა და გახრწნა „...რაღა თქმა უნდა, რომ დიდი საფრთხის წინაშე დგას ქართველი ერი თავისი და სამღვდელოების წინასწარი შეუმზადებლობით ახალი ცხოვრებისათვის",-აღნიშნავდა იგი ერთ-ერთ თავის წერილში,- „მაგრამ ვაი ,რომ სამღვდელოებაშივე თავი იჩინა ურწმუნოებამ, ანგარებამ და დიდებისმოყვარეობამ, სჯულის კანონების გადალახვამ და ერმა რაღა უნდა ჰქნას? აი, სადა გვაქვს თავში საცემი საქმე. სიყვარული მოუძლურდა, ერი ეცემა და იხრწნება, როდესაც მას სჯული ეკარგება, რომლის გავლენით იყო აღზრდილი!"(105,192).

მიმოიხილავდა რა იმ ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზებს,

რამაც ასეთ საგანგაშო მდგომარეობამდე მიიყვანა ქართველთა ცხოვრება, პირველ რიგში, იგი ხაზს უსვამდა ცარიზმის თვითმპყრობელობის მიერ თავს მოხვეული სარწმუნოებრივი პოლიტიკის განხორციელების შედეგებს და აღნიშნავდა, რომ სწორედ ეკონომიკური რეფორმების გატარებამ და საქართველოს ეკლესიის ქონებრივმა გაღატაკებამ შეუწყო ხელი იმ გარემოებას, რომ სამღვდელოება ლუკმა-პურის ძებნა-გამორჩენაში იყო გაბმული და ხალხის თვალში ერის მძარცველად, მყვლეფავად და მატყუარად მოიაზრებოდა „...კოდის პურის აკრეფა, კალოებზე სიარული და ა.შ, ეს ხომ ტანჯვა არის და არც რომელიმე ქრისტიანებში არ არის ასე, როგორც საქართველოში... მარტო სიბრაზე დაიბადა მრევლსა და მღვდელს შორის და სწორედ ამ გულში ჩახვეულმა სიბრაზემ იჩინა თავი..." (110,8-14). იგი მიუთითებდა, რომ ქართველებს ისე არაფერი გადაარჯულებდა, როგორც შეუსაბამო მოპყრობა და მამა-პაპათა სჯულის შელახვა (110,72-73).

ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, სასულიერო წოდებაში მრავალი მანკიერი თვისება იყო ფესვგადგმული. მოძღვრები ხშირ შემთხვევაში არ ერიდებოდნენ ურთიერთგაკილვას, დაცინვას, გართობას, სიგარეტის წევას, სასმელის მიღებას, მარხვის გატეხვას, სახალხოდაც კი, კვირა და უქმე დღეებში უწირველობას და ა.შ. ისინი ისე უყურებდნენ მრევლს, როგორც მეწველ ცხვარს, და არა ისე, რომ წარწყმედული ცხოვარისათვის მას უნდა ეგო პასუხი ღვთის წინაშე (110,72-73). მღვდელთა ცუდი განწყობილების გამო, ბევრგან მრევლი გზიდან იბნეოდა და ჩამოშორდა ეკლესიის წიაღს. მრევლის ეკლესიისაგან ჩამოშორებას განაპირობებდა ის გარემოებაც, რომ საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლება ხელს უწყობდა რუსული ეკლესიებისა და რუსი სამღვდელოების რიცხვის გაზრდას ქართული ეკლესიების და ქართველი მოძღვრების შემცირების ხარჯზე. განსაკუთრებით ეს ტენდენცია თბილისში შეინიშნებოდა, ამიტომ მორწმუნე ერისათვის მითუმეტეს მიუღებელი იყო არაქართველი მოძღვრის დამოკიდებულება სარწმუნოებრივ და ეროვნულ საკითხებთან მიმართებაში. აი, რას წერდა ვასილ კარბელაშვილი საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლებას ერთ-ერთ

მიმართვაში ქათველი სამღვდელოების მდგომარეობის შესახებ: „... ნახეთ როგორ იზრდება რუსული ეკლესიებისა და მღვდლების რიცხვი თბილისში. ქართულ სამრევლოებში კი შტატები მცირდება და ეკლესიები იხურება. რუსი ეროვნების მღვდლებს სხვა ეპარქიებიდან იწვევენ და ამკვიდრებენ საქართველოში, ადგილობრივ კადრებზე კი ყურადღებას არ ამახვილებენ ... დროა ამ სიტუაციას სათანადო ყურადღება მიექცეს და მდგომარეობა არსებითად გამოსწორდეს“ (120,4).

ვასილ კარბელაშვილი მიიჩნევდა, რომ საქართველოს ეკლესიის წინაშე დაგროვილი პრობლემატური საკითხების გადასაწყვეტად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო მათი გამომწვევი მიზეზების გამორკვევა, საკითხის სწორად დაყენება, შემდგომ ამისა, იმ გზებისა და საშუალებების მოძებნა, რაც გამოასწორებდა აღნიშნული მდგომარეობის სიმძიმეს. ასეთი დამოკიდებულება კარგად ჩანს ჟურნალ „მწყემსში“ 1902 წელს გამოქვეყნებულ მ. ტარასი ივანიცკის „საკითხების“ კრიტიკაში, სადაც მის მიერ მკვეთრადაა ხაზგასმული ის გარემოება, რომ რუსი ჩინოვნიკები შეგნებულად აქარწყლებდნენ საქართველოს ეკლესიის სინამდვილეში შექმნილი პრობლემების ნამდვილ მიზეზებს და ისეთ საკითხებს მიიჩნევდნენ უმთავრესად, რომლებიც არც იყო საჭირო და ისეთ საკითხებს ჩქმალავდნენ, რაც პირველ რიგში უნდა გადაწყვეტილიყო (110,72-73). მიმოიხილავდა რა მამა ტარასი ივანიცკის სტატიას, სადაც ეს უკანასკნელი მიიჩნევდა, რომ სახალხო დღესასწაულები და ეკლესიებთან ლხინი უნდა აკრძალულიყო, კერპული ჩვეულებები მოსპობილიყო, დეკანოზები დაეჭირათ და ა.შ., ვასილ კარბელაშვილი აღნიშნავდა, რომ საქართველოს ეკლესიაში დაგროვილ ამ მანკიერ გამოვლინებებს დრო თვითონ მოსპობდა იმ შემთხვევაში, თუ მისი გამომწვევი მიზეზები გამოსწორდებოდა და მამა-შვილური, მწყემსმპატრონობითი დამოკიდებულება აღდგებოდა მრევლსა და მოძღვარს შორის. დღეობებისა და სხვა ჩვეულებების აკრძალვას მოჰყვებოდა ის, რომ ხალხი აღარ ივლიდა ეკლესიაში. მ. ტარასი ივანიცკის მოსაზრებების საპირისპიროდ, რომელიც აღნიშნავდა, რომ მრევლში სარწმუნოების განსამტკიცებლად მისიონერული

საქმიანობის გაძლიერება იყო საჭირო, ვასილ კარბელაშვილი პირიქით, სამღვდელოების მუშაობის გაუმჯობესებაზე ამახვილებდა ყურადღებას და ამბობდა: „...უწყალო და მეუფყო მუცლისა (живота) ჩემისაო“ რომ ამბობდეს მღვდელი და ხალხი უსწორებდეს ეს რა წესია? აი სწორედ ასეთ მღვდლებს უნდათ მისიონერები და არა ხალხსა...“ (110,72-73) ამიტომაც სამღვდელოებას მეტაითად უნდა მოეკიდა ხელი თავისი საქმიანობისათვის და ჩინისა და წარმატების გულისათვის არ დაეგმო საკუთარი სული და მოყვასი (110,72-73).

ვასილ კარბელაშვილი აკრიტიკებდა იმ ახალგაზრდა „ბლაღოჩინებსა” და მღვდლებს, რომლებიც ეკლესიაში რუსული მმართველობის წესების აღმასრულებელნი იყვნენ. ასეთ პირობებში, ცხადია, რომ ეროვნული ეკლესიის ტრადიციები და ადათები მოშლილი იქნებოდა და ივერიის ეკლესიას დაკარგული ექნებოდა თავისი ნამდვილი სახე. „...სხვისი ხელში შეცქერის გამო ბევრი რამ საუკეთესო დავკარგეთ და ვერ შევინარჩუნეთ, რაც იყო ჩვენი დღეგრძელობის თავმდები” (110,65) –დანანებით აღნიშნავდა იგი და ეროვნული ეკლესიის ჩვეულებებისა და ადათების მივიწყებას მიუტევებელ ცოდვათ მიიჩნევდა. ქართული ადათებისა და ჩვეულებების გახსენებას ვასილ კარბელაშვილი დიდ ადგილს უთმობდა თავის პუბლიცისტურ წერილებში, სადაც აღნიშნავდა, რომ ამგვარი ტრადიციების აღდგენა მეტად საჭირო და აუცილებელი იყო. იგი ყურადღებას ამახვილებდა „აღაპის” მნიშვნელობაზე და განმარტავდა რომ ნამდვილი დედა-აზრი აღაპისა იყო ჭირისა და უბედურების დროს მოყვასის დახმარება (116). სასულიერო პირთა მატერიალური უსახსრობის პირობებში ვასილ კარბელაშვილი მხარს უჭერდა „საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოების” შექმნას. ასეთი საზოგადოება მართლაც შეიქმნა 1893 წელს, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეკანოზი პეტრე (კონჩუაშვილი), წევრებად: მღვდლები კ. ცინცაძე, გამდლიშვილი, თოთიბაძე და მიხაილოვსკი. საქმეებისა და ხელნაწერების განსახილველად აირჩიეს არქიმანდრიტი ლეონიდე, მღვდლები ვ. კარბელაშვილი და მ. ტყემალაძე (68,2-3). აღნიშნული საზოგადოების მატერიალური

სახსრების წყაროს თითოეული წევრის შესატანი თანხები შეადგენდა. საქმეების კეთილად წარმართვა კი აუცილებლად შეეწყოდა ღვთისმსახურს უბედურების შემთხვევაში.

სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმის გაღრმავების საშიში ტენდენცია მეტად ნოყიერ ნიადაგს ჰქმნიდა მწვალებლობის გავრცელების თვალსაზრისით, ამიტომ ვასილ კარბელაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა სამღვდელოების მუშაობაზე ამ მიმართულებით. ეროვნული ეკლესიის საძირკვლის გასამაგრებლად შენება თავიდან უნდა დაწყებულიყო, რისთვისაც იგი საჭიროდ მიიჩნევდა:

1. ფონდის შექმნას ისეთი წიგნების დასაბეჭდად, რომელიც სჯულის გამორკვევას შეეხებოდა;
2. ჟამის – წირვის, მწუხრისა და ცისკრის ლოცვების დაბეჭდვასა და მორწმუნეთათვის დარიგებას, როგორც ეს ჰქონდათ ზოგიერთ ქრისტიანებს;
3. საეკლესიო წესებისა და საიდუმლოებების მტკიცე ნიადაგზე შესრულებას;
4. რუსების მიერ შემოტანილი და დაბეჭდილი წიგნების გადასინჯვას;
5. საქართველოს ეკლესიისათვის ტიპიკონისა და სჯულის კანონის დაბეჭდვას;
6. ძველი საგალობლებისა და ოხითანის (საქართველოს წმინდანთა ხსენებანი) აღდგენას;
7. შეგნებითი წირვა-ლოცვის შესრულებას კარგი კითხვა-გალობით და ა.შ. (110,86-87).

ვასილ კარბელაშვილი მღვდლების უმაღლეს მოვალეობად მოძღვრება-ქადაგების გაძლიერებას მიიჩნევდა. „ხალხის დამწყსვა ცხოვრება-მაგალითებით” აუცილებელი იყო თვით მოძღვართათვისაც, რომლებიც მრევლში ნდობისა და სიყვარულის მოპოვებას საჭიროებდნენ. ყოველივე ამისთვის საფუძვლის ჩაყრა კი სასულიერო სასწავლებლებში უნდა მომხდარიყო, სადაც მომავალი ქართველი სამღვდელო პირები სწავლობდნენ. მათი განათლება ეროვნულ ნიადაგზე მოძღვრისა და მრევლის დაახლოების

საწინდარი გახდებოდა.

ერთგვარი შემაჯამებელი ღონისძიებების მომცველია მის მიერ ჩამოყალიბებული „მოსაზრებანი საშუალებათა, რომლის განხორციელებით უნდა მოხდეს ქართველთა ერის დაბრუნება ეკლესიისადმი" (118), სადაც მინიშნებული აქვს შემდეგი აუცილებელი პრობლემების გადაწყვეტა:

1. მომავალ ქართველ დედათა აღზრდა-განათლება ეროვნულ ტრადიციებზე;
2. ძველ ნაშთთა დაცვა-შენახვა, მოვლა და პატრონობა, რაც მთელი ერის საზრუნავად უნდა ქცეულიყო;
3. სამრევლო საქმეების მოწყობა კეთილწესიერებით, იმისათვის, რომ იბერიის ეკლესიის თითოეულ წევრს ეპოვა სულიერი ნავთსაყუდელი;
4. თითოეული ქართველი, წოდების განურჩევლად, უნდა დახმარებოდა მრევლს თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე;
5. ყოველ სამრევლოში აუცილებლად უნდა გაერთიანებულიყო თავადაზნაურობა, რადგან იგი ყოველთვის თავდადების მაგალითს წარმოადგენდა სჯულისა და მამულის დასაცავად;
6. უნდა დაწესებულიყო სამზრუნველოები და ობოლთა თავშესაფრები;
7. დაწესებულიყო სამრევლო კრებები და მათი უფლება-მოვალეობა გავრცელებულიყო სამრევლოზე;
8. აღმოეჩინათ დახმარება ეკლესიებისა და სასწავლებლებისათვის;
9. დიდი ყურადღება უნდა მიქცეოდა საეკლესიო-სამღვდელო მსახურების შესრულებას, ისე, როგორც ქართული წესი მოითხოვდა;
10. აღეზარდათ სტიპენდიანტები იმ აზრით, რომ უცილობლად ღირსეულ მღვდლებად ემსახურათ ეკლესიისა და სამშობლოსათვის.

ამრიგად, საქართველოს ეროვნული ეკლესიის ისტორიული

საფუძვლის აღდგენა-განმტკიცების საქმეში ვასილ კარბელაშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმის აღმოფხვრასა და ქართველი ერის ეკლესიის წიაღში დაბრუნებას. მისი ღრმა რწმენით, სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმის აღმოფხვრა უპირველეს ყოვლისა სასულიერო წოდების განწმენდა-განახლების გზით უნდა მომხდარიყო, რომელთა ავტორიტეტი ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით მეტად შელახული იყო. ვასილ კარბელაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სასულიერო სასწავლებლებში ეროვნული სულისკვეთების გაღვივებას და მომავალ სამღვდელო პირთა სწორი ეროვნული ორიენტაციის ჩამოყალიბებას. საქართველოს ეკლესიაში არსებული რეალობის ობიექტური გაშუქებით იგი ცდილობდა საზოგადოებისათვის დაენახვებინა სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმის ნამდვილი მიზეზები. სასულიერო წოდების მხილებისა და კრიტიკის საშუალებით კი ლამობდა მათ გამოფხიზლებასა და ეროვნული ეკლესიის სამსახურში ჩაყენებას.

## ბ) ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) ბრძოლა ქართული ეროვნული კულტურის სიძველეთა დაცვა-გადარჩენისათვის

საქართველოს ეროვნული ეკლესიის ისტორიული საფუძვლის აღდგენისათვის ბრძოლაში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა ეროვნული კულტურის სიძველეთა შესწავლასა და დაცვა-გადარჩენას, რომელმაც არნახული ზეწოლა განიცადა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარების პირობებში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული კულტურის კერებიდან გაბნეული ქონების თავმოყრისა და დაცვის მიზნით, 1889 წლის 24 იანვარს, თბილისში, სიონის ტაძართან ქართველი სამღვდელოების მიერ დაარსებულ იქნა ქართული საეკლესიო ისტორიული მუზეუმი, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ყოვლადსამღვდელო ლეონიდე (ოქროპირ-

იძე), ხოლო მუზეუმის კომიტეტის წევრებს შორის აქტიურად ფიგურირებდა ვასილ კარბელაშვილის სახელი. მან უდიდესი ამაგი დასდო რუსი ეგზარქოსების მიერ გაძარცვული მონასტრებიდან გაზნეული ქართული კულტურის უძველესი ნიმუშების თავმოყრისა და დაცვის საქმეს. ამასთანავე იყო ამ მუზეუმთან სპეციალურად შექმნილი მეცნიერთა კომიტეტის წევრი. კომიტეტი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ გადაცემულ ძველი ხელნაწერების მეცნიერულ კვლევას აწარმოებდა. გამოკვლეული მასალების ნაწილს ვასილ კარბელაშვილი პერიოდულად პრესაში აქვეყნებდა. ამ მხრივ, საყურადღებოა მის მიერ მოძიებული და შესწავლილი ისტორიული მასალა უძველესი ქართული საგალობლების შესახებ (62,2; 42,1; 55,3), ასევე საისტორიო მასალა, რომელიც წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლის ზუსტი თარიღის დადგენას ეხება (57,3).

საგულისხმოა, რომ ვასილ კარბელაშვილმა გამოიკვლია და შეისწავლა „მიქაელ მოდრეკილის X საუკუნის ტყავზე ხელნაწერი“ – უძველესი ქართული საეკლესიო გალობის პერგამენტი. ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, მან გასაღები მოუძებნა უძველესი მუსიკალური დამწერლობის ნევმური[4] სისტემის გახსნას; შეიმუშავა მეთოდი ნევმური დამწერლობის შესასწავლად და გაუზიარა იგი ამ დარგში მომუშავე დაინტერესებულ პირებს. მის პირად არქივში დაცულია მეტად საინტერესო დოკუმენტი, წერილი პარიზის სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტისადმი (132). როგორც წერილიდან ჩანს, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, ზემოაღნიშნული პერგამენტი პარიზის აკადემიის წიგნთსაცავისათვის გადაუცია. წერილთან ერთად, ვასილ კარბელაშვილს ამ პერგამენტის მისეული გამოკვლევა გაუგზავნია, როგორც პროლოგი ნევმებზე მუშაობის უდიდესი საქმისა. წერილში იგი იმედს გამოსთქვამდა, რომ მეცნიერთა ჯგუფი, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ უძველესი მუსიკალური დამწერლობის შესწავლით, გაეცნობოდნენ და გაიზიარებდნენ მის გამოცდილებას.

4 „მნემოს“ - ბერძნულად მეხსიერებას ნიშნავს. შუა საუკუნეებში, ქართული მუსიკალური დამწერლობის მნემონური წესი არსებობდა, რაც გულისხმობდა საგალობელთა მელოდიების დამახსოვრებას სპეციალური ნიშნების საშუალებით.

ნაშრომში მას მოყვანილი აქვს რვა ხმათა ნიმუშები, რომლებიც მიღებული იყო ყველა საქრისტიანო ეკლესიების მიერ. აღნიშნული პერგამენტის შესწავლამ უდიდესი როლი შეასრულა ქართული საეკლესიო გალობის ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე გადატანის საქმეში.

ვასილ კარბელაშვილს ეკუთვნის აგრეთვე ისტორიული ხასიათის გამოკვლევა „მეფე ერეკლეს მიერ მორიგი ჯარის შემოღების შესახებ". ორივე ნაშრომი დაბეჭდილი აქვს „Всесь Кавказъ"-ში (36,24-29,53-55). აღნიშნული კი იმის დასტურია, რომ ვასილ კარბელაშვილს საისტორიო მეცნიერების კვლევაშიც მოუსინჯავს კალამი.

საეკლესიო მუზეუმის დაარსებიდან ათი წლის შემდეგ, 1898 წელს, აქ უძველესი ხელნაწერების რიცხვმა 366-სს მიაღწია, ისტორიული სიგელ-გუჯრების რაოდენობამ კი 938-ს გადააჭარბა. გარდა ამისა, მუზეუმში იყო საეკლესიო ინვენტარიც: 183 სამღვდელო და საეკლესიო შესამოსელი, 116 წმიდა ჭურჭელი, ჯვრები და ა.შ. (53,12). 1911 წელს, მუზეუმის წიგნებისა და ქონების შემოწმება-აღწერა ჩატარდა. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის წევრებად აირჩიეს: არქიმანდრიტი პიროსი (ოქროპირიძე), მღვდელი ვასილ კარბელაშვილი და ვასილ ბარნოვი (98). ქართული საეკლესიო ისტორიული მუზეუმის შექმნამ უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურის სიძველეთა დაცვა-შენარჩუნების საქმეში.

საყურადღებოა ვასილ კარბელაშვილის მოღვაწეობა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ნაშთების წარმოჩენასა და გავრცელებაში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ერის მორალურ-ზნეობრივი სიწმინდის, სარწმუნოების განმტკიცებისა და სამღვდელოებასა და მრევლს შორის დაკარგული ერთიანობის აღდგენის თვალსაზრისით. მას ეკუთვნის ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისეთი საუკეთესო ნიმუშების დაბეჭდვა და დღის სინათლეზე გამოტანა, როგორებიცაა: „გვირგვინი — ლვთივ შუენიერნი თხრობანი სულისა და ფრიად მარგებელნი" და „სამოთხის ყვავილი – 300 კიდობანი".

ამ მოვლენას იმდროინდელი ქართველი საზოგადოება ფარ-

თოდ გამოეხმაურა. გაზეთი „ივერია“ სიხარულით შეხვდა „გვირგვინის“ გამოცემას და აღნიშნავდა, რომ წიგნი ძველ ქართველთა მაღალი ზნეობისა და სარწმუნოების სიმტკიცის მქადაგებელი იყო, ამიტომ, დიდ სარგებელს მოუტანდა არა მარტო ერის კაცებს, არამედ სასულიერო წოდებასაც (49,13). აქვე ხაზგასმული იყო ის გარემოება, რომ ვასილ კარბელაშვილს წიგნის ენა არ ჰქონდა შეცვლილი, ე. ი. „ღვთივშუენიერნი თხრობანი“ გადმოცემული იყო ძველი სალიტერატურო ენით, რაც საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა თანამედროვე სალიტერატურო ენის გასამდიდრებლად.

ჟურნალი „კვალიც“ დიდი კმაყოფილებით შეხვდა „გვირგვინის“ გამოცემას და მადლობა გადაუხადა გამომცემელს „მშვენიერის სულის ამმაღლებელი და სათნოების მომპოვებელი თხზულების გამოცემისათვის“. რედაქცია მეტად სასარგებლოდ მიიჩნევდა ამგვარი ჟანრის ლიტერატურის გამოცემას, რადგან, იმ დროისათვის, სამწყსო გზააბნეული იყო და სამღვდელოებას მასზე არანაირი გავლენა აღარ ჰქონდა (28,16).

ცნობილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს ეკლესიის ისტორიის მემატიანე მ. ჯანაშვილი, დიდად იწონებდა ამგვარი ლიტერატურის გამოცემას, რომელიც მრავლად უნდა გავრცელებულიყო „მდაბიო ერში“ (53,3-4). იგი აღნიშნავდა, რომ ეს წიგნები დიდი სარგებლობის მომტანი იყო არა მარტო სამრევლო სკოლებისათვის, არამედ მღვდელ-დიაკვანთათვის და თვით ეპისკოპოსთათვისაც (64,3-4).

ვასილ კარბელაშვილის რედაქტორობით დაიბეჭდა ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი ძეგლი „საკითხავი სწავლისა ცხოველისაჲ კუართისა საუფლოისა და კათოლიკე ეკლესიისა“, შედგენილი ნიკოლოზ I (1149-1160) ქართლის კათალიკოზ-პატრიარქის მიერ (16). მის გამოცემას ფინანსურად შეეწია ცნობილი ქართველი მეცნიერის, პლატონ იოსელიანის ქალიშვილი – ანნა ნიკოლოზის ასული. საგულისხმოა, რომ წიგნი დაიბეჭდა 1908 წელს, იმ დროს, როცა მთელს იმპერიაში რეაქციის ხანა მძვინვარებდა. წიგნის გამოცემის მნიშვნელობისა და დანიშნულების შესახებ ვასილ კარბელაშვილი ვრცლად განმარტავს მის წინასიტყვაობაში:

„...თუ გინდათ ჩვენ მასწავლებელთა ქართული ენის აღორძინება, განვრცობაჲ და მისი უმწვერვალესადმი მიღწევა, ვურჩევ ძმურად და მამა-შვილურად – შეისწავლონ ძველი ჩუენი მწერლობა, შეისწავლონ ის ლექსნი (სახელწოდებანი), რომელნიც ზედმიწევნით გამოჰხატავენ საგნის ვინაობას, რაობასა და მოქმედება-თვისებასა. დრო არის შეიგნოთ ის ჭეშმარიტება, რომ ჩვენში ერის შეერთება უსჯულოდ და უსამშობლოდ ძნელია. ჩვენში თუ ერი დარჩა და შეინარჩუნა ელფერი ამ 1814 წლამდის, სარწმუნოების მეოხებითაა! ... ღმერთმა ინებოს, რომ ამ წიგნის წაკითხვით ბევრმა შეიგნოს სიდიადე თჳსის ეკლესიისა, ერისა და მამულისა, რომ მის (ქართველობის) შეგნებას, რომელსაც უნდა მოჰყვეს გაერთიანებული სიძლიერე მამ-პაპურის სარწმუნოებისა, მოეტანოს კეთილი ნაყოფი, ეცნას თჳსი თავი და თჳს შორის მოყვასი თჳსი.“ (16,II-IV).

ვასილ კარბელაშვილი იღვწოდა ძველი ქართული არქიტექტურული ძეგლების შესწავლისა და მოვლა-პატრონობის მიმართულებითაც. ეგზარქოსების მმართველობის პირობებში, ეს საკითხი მეტად აქტუალური იყო, რადგან, იმ დროისათვის, მრავალი ქართული ეკლესია-მონასტერი გაიძარცვა და განადგურდა. ვასილ კარბელაშვილმა, რომელიც დრო და დრო მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აღწერა და შეისწავლა ქართული არქიტექტურული ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით ის ძეგლები, რომლებიც იმ დროის თვალსაჩინო ისტორიკოსებისა და გეოგრაფების მიერ შედგენილ ნუსხებში არ იყო შეტანილი. ამ მხრივ, მას საინტერესო გამოკვლევები აქვს ჩატარებული სამცხე-ჯავახეთში, რომელიც 1895 წ. გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე სათაურით: „ჩუენნი ისტორიულნი ნაშთნი და მათი სვე“ (81; 82; 83; 84; 85) ხუთი წერილი, სადაც მოთხრობილი აქვს უძველესი ქართული ისტორიული ნაშთების შესახებ, ზუსტად და დეტალურად ასახავს ამა თუ იმ ძეგლის ადგილმდებარეობასა და სახელწოდებას, ასევე მოცემული აქვს ეპიგრაფიკულ ძეგლთა ანალიზი.

ვასილ კარბელაშვილი შეშფოთებული იყო იმ გარემოებით, რომ ქართულ ისტორიულ ძეგლებს აქტიურად ანადგურებდნენ „...

იმისათვის,რომ შეუბღალავად გადაეცეს მომავალ თაობას,ამას ყველაფერს მოვლა სჭირდება. რაღა უნდა ჩავაბაროთ,თუ ეს ნაშთებიც გაქრებიან ჩვენის საკუთარის დაუდევრობისა გამო? ჩვენ ვიქნებით ღირსნი შთამომავალთაგან კრულვისა და წყევისა" – (81,2) აღნიშნავდა იგი და ქართველ საზოგადოებას პირუთვნელი მუშაობისაკენ მოუწოდებდა,რათა არ მოსპობილიყო წარსული დიდების ნაშთები. იგი მთელი არსებით განიცდიდა სამცხე-საათაბაგოს გასაჭირს და მოსალოდნელ საშიშროებას, რომ საქართველოს ეს ძირძველი კუთხე დროთა განმავლობაში შეიძლება დაკარგულიყო. ამიტომ იგი ქართველ მამულიშვილებს მიმართავდა დაეარსებინათ მგზავრთა ძმობა-საზოგადოება, რომელიც გაახშირებდა მისვლა-მოსვლას ამ კუთხეში. უპირველეს ყოვლისა, ხშირი მოგზაურობა დაამკვიდრებდა აზრს იმის შესახებ, რომ სამცხე-საათაბაგო, თავისი ძველი ქრისტიანული ნაშთებით საქართველოს დიდების ერთი დედა-ბოძი იყო. წერილში იგი გამოსთქვამდა მოსაზრებას, რომ აღნიშნულ მგზავრთა ძმობა-საზოგადოებისაგან შედგენილიყო სპეციალური ჯგუფები ხუთი ან ათი კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის იქნებოდნენ ისტორიკოსები, არქეოლოგები, წარწერათა კარგი ამომკითხველები, მხატვრები, მოქანდაკეები და ფოტოგრაფიის მცოდნენი, იმისათვის, რომ თითოეული ისტორიული ნაშთი აღწერილიყო და ყოველმხრივ დასურათებულიყო. რაც შეეხებოდა მოგზაურობის ხარჯებს, თითოეულ წევრს შეეძლო თავისი დანაზოგის ხარჯზე განეხორციელებინა ეს საშური საქმე, სამაგიეროდ, სიცოცხლით აღსავსე დაბრუნდებოდა შინ (81,3). ვასილ კარბელაშვილი ასეთი მოგზაურობის საჭიროებას მიიჩნევდა საქართველოს ყველა კუთხეში.

წერილებიდან ჩანს, რომ ვასილ კარბელაშვილი საუკეთესოდ იცნობდა როგორც ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ გეოგრაფიას, ასევე დავით ბაქრაძისა და ცნობილი ქართველოლოგის, მარი ბროსეს ნაშრომებს. იგი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საჭირო იყო ამ ნაშრომების შევსება და სრულყოფა, რაც გამორჩენილი არქიტექტურული ძეგლების დაწვრილებითი აღწერისა და შესწავლის ხარჯზე უნდა მომხდარიყო. მას აღაშფოთებდა ის ფაქტები, რომ არსებული ძეგლების ნაწილი, დროთა განმავლობაში

სომხების საკუთრებაში გადადიოდა „... როგორი სამარცხვინო არ უნდა იყოს თითოეული ქართველისათვის, რომ ეს ნაშთები ან გამოტოვებულია იმ წყაროებიდან, რაც ხელში გვაქვს და რაც წყაროებიდან ვიცით, ისინიც გადადიან სხვის ხელში ჩვენი ზარმაცობით!... ცალ-ცალკე მოღვაწეობა შეუძლებელია და საჭიროა ძმური მუშაობა!" (82,3)- აღნიშნავდა იგი.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად იგი მიმართავდა კეთილდამწყსველებს, რათა თავიანთი მღვდლებისათვის დაევალებინათ „საბლაღოჩინოში" შემავალი თვითოეული ნაშთის დაწვრილებითი აღწერა და ეკლესიის უწყებათა წიგნში შეტანა, რაც გააიოლებდა საქმის წარმართვას. მას კარგად ესმოდა, რომ ერისათვის ესოდენ საჭირო პრობლემის მოგვარება მარტო ენთუზიაზმზე დაყრდნობით სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა. იცოდა, რომ საქმის წარსამართავად დიდი ცოდნა და პროფესიონალიზმი იყო საჭირო, ამიტომაც, თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევდა ქართველი საზოგადოების გამოფხიზლებასა და სპეციალისტების გაერთიანება-შეკავშირებას. არქიტექტურული სიძველეების შესწავლასა და დაცვას, იგი ზემოაღნიშნულ მოგზაურთა ძმობა-საზოგადოების პრეროგატივად მიიჩნევდა (83,3).

1899 წლის 19 მაისს, მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების სხდომაზე, აღმოსავლეთის სიძველეთა შესწავლისათვის გაწეული შრომებისათვის, ვასილ კარბელაშვილი არჩეულ იქნა საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად (92). აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში დადებითი როლი ითამაშა ცნობილი ქართველი მეცნიერის ალ. ხახანაშვილის მიერ, ამავე საზოგადოების 1899 წლის 13 იანვრის სხდომაზე გაკეთებულმა მოხსენებამ, რომელიც ასახავდა ისტორიკოს მოსე ჯანაშვილისა და მღვდელ ვასილ კარბელაშვილის მოღვაწეობას და წინადადება შეუტანია, რომ ორივე მოღვაწე საზოგადოების წევრ-კორესპონდენტებად აერჩიათ (47,1).

ქართული ეროვნული კულტურის სიძველეთა დაცვა-შენარჩუნებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართული საეკლესიო მუსიკის აღდგენასა და დაცვას. ქართველ საზოგადო მოღვაწეთა აბსოლუტური უმრავლესობა იმედოვნებდა, რომ

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტის დროს მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ის გარემოება, რომ საქართველოს ეკლესიას ჰქონდა საკუთარი თავისებური რელიგიური მუსიკალური კულტურა (34,2).

ვასილ კარბელაშვილი, როგორც ქართლ-კახური საგალობლების მცოდნე ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენელი, თავდაუზოგავად იბრძოდა ქართული საგალობლების გადასარჩენად, რომელსაც ცარიზმის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ გაქრობის რეალური საფრთხე შეუქმნა. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, XIX საუკუნის 80-იან წლებში დაარსებულ იქნა ქართული გალობის აღმდგენი კომიტეტი, რომელსაც ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) ხელმძღვანელობდა. 1884 წლის 1 ოქტომბერს, იმპერატორის რუსული მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების დირექტორ ბატონ იპოლიტოვ-ივანოვსა და ეპისკოპოს ალექსანდრეს შორის ხელშეკრულება დაიდო, რის თანახმადაც, ეპისკოპოსი ალექსანდრე ვალდებულებას იღებდა ბ-ნი იპოლიტოვ-ივანოვისათვის ქართული საგალობლების ნოტებზე გადასატანად მის განკარგულებაში მიეცინა მღვდლები ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილები, ასევე გრიგოლ მღებრიშვილი (მღებრიშვილი) და მოლოდინოვი (მოლოდინაშვილი) (138). ქართული გალობის ნოტებზე გადატანა ურთულეს პირობებში მიმდინარეობდა. გარდა იმისა, რომ ცარიზმის პერიოდში მკაცრად იზღუდებოდა ეროვნული კულტურის დარგების აღორძინების მიმართულებით გაწეული ყოველგვარი საქმიანობა, არსებობდა პროფესიონალური დეფიციტიც ამ საქმის სრულყოფილი წარმართვისათვის. საქმე იმაში იყო, რომ ქართული გალობის კილო მოითხოვდა ისეთ ნოტებს, რომლებსაც ზუსტად უნდა აესახა მისი ხმა, დიაფსალმა (კილოთა ცვალებადობა), კაკანი, ჩაკაკანება, კრიმანჭული და ა. შ. (59,1-2). ამასთან, ეროვნული საგალობლების ზუსტი აღდგენა-შევსება მოითხოვდა გალობის მცოდნე პირთა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მიმოსვლას, სადაც ისინი მოისმენდნენ და ჩაიწერდნენ საერო კილო-ხმებს. ამის შემდეგ, ჩაწერილი გალობების დახვეწა და ნაკლოვანებების შევსება უნდა მომხდარიყო.

ვასილ კარბელაშვილმა უდიდესი ამაგი დასდო ქართლ-კახური საგალობლების ნოტებზე გადატანის მამულიშვილურ საქმეს და წლების განმავლობაში, ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, 1896 წლისათვის, საგალობლების პირველი ნაწილი „მწუხრი" გამოსცა, მეორე ნაწილი – „ცისკარი" კი 1898 წლისათვის დაიბეჭდა.

გაზეთი „ცნობის ფურცელი", 1897 წლის 16 ივნისს, ამ მოვლენასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ ქართლ-კახური გალობა, რომელიც ერთვნულ საუნჯეს წარმოადგენდა, ქართველობაში „კარბელაანთ" კილოდ იყო ცნობილი. საქართველოს ეკლესიის ეს უდიდესი განძი, ძველად მონასტრებში ინახებოდა, მაგრამ, როდესაც მონასტრული ცხოვრება დაეცა და შემცირდა გუნდი ბერებისა, ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა ქართული გალობაც. იგი შემორჩენილი იყო კარბელაშვილების გვარში. ამ გვარის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ვასილ კარბელაშვილმა, დიდი ამაგი დასდო ქართველობას და ქართლ-კახური გალობა ნოტებზე გადაიღო, რითაც ხელმისაწვდომი გახადა იგი ყველა ქართველისათვის. გაზეთი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ასეთი წიგნის ბეჭდვა ქართულ ენაზე, უდიდეს მსხვერპლს წარმოადგენდა გამომცემლისათვის, რადგან განსაზღვრული რიცხვი თუ გაიყიდებოდა წიგნებისა, დანარჩენი ხარჯი კი გამომცემელს ვალად უნდა დასწოლოდა. ამიტომ, გაზეთის რედაქცია ქართველ საზოგადოებას მოუწოდებდა, თანაგრძნობით მოკიდებოდა ვასილ კარბელაშვილის უანგარო ღვაწლს და ხელი შეეწყო ამ გამოცემის გავრცელებაში (54,1-2).

1898 წელს, გაზეთი „ცნობის ფურცელი" ასევე გამოეხმაურა ქართლ-კახური გალობის მეორე ნაწილის გამოცემასაც, სადაც აღნიშნული იყო, რომ საგალობლების ნოტებზე გადაღება, რომელიც იმ დროისათვის სრულიად ახალ მოვლენას წარმოადგენდა, მეტად ძნელ და გაჭირვებულ პირობებში კეთდებოდა – ცხადია, რომ ასეთი წიგნების გამომცემელი ყველაზე ნაკლებად მოელოდა მატერიალურ ჯილდოს. მისი წამქეზებელი მხოლოდ საზოგადოებრივი სამსახური იყო, ამიტომაც, ასეთი ღვაწლი ყოველთვის მსხვერპლი იყო სამშობლოო ეკლესიის ტრაპეზზე შეწირული, რომელსაც თუ თანამედროვენი არა, მომავალი თაობა მაინც დააფასებდა ჯერ-

ოვნად (58,2).

ნაშრომის წინასიტყვაობაში თავად ვასილ კარბელაშვილი აღნიშნავდა, რომ წიგნის გამოსაცემად დიდი შრომა და განსაცდელი გადაიტანა. „...ეს მუდამ ასე ყოფილა ამ რუდუნებისა და ტანჯვის ქვეყანაში და უნდა იყოს კიდეც. ღმერთმან უწყის ის შრომა და ტანჯვა, რაიცა მსხვერპლად მოუძღვის ამ საქმეს, რომლისთვისაც შემიწირავს თავი თვისი. თუ აქამომდე ოთხ-ძმათაღა ჰქონდათ, ეხლა თვითოეულს, ვისაც კი ესმის ნოტი, ისე შეისწავლის და იტყვის, როგორც კარბელოვი რომელიმე. ეს დიდი ნუგეშია ჩემთვის..." (122) - აღნიშნავდა იგი და საზოგადოებას შეახსენებდა, რომ „ქართული გალობა არის დიადოვანი ძლიერება სულიერი და სულიერი ძლიერებისა გამომხატველი არსება" (122).

ვასილ კარბელაშვილი მთელი არსებით გრძნობდა ქართული საეკლესიო გალობის სიდიადეს. „...გალობა ისე მდიდარია", - აღნიშნავდა იგი, - „განსაკუთრებით ქართული, რომ იმის შესამუშავებლად არამც თუ ძმანი კარბელაშვილები და ქორიძე-დუმბაძენი, არამედ რიცხვი ასჯერ მათზე მომეტებულნი რომ იყვნენ და აღჭურვილნიც უფრორე მომეტებულის ცოდნითა და გამოცდილებით მუსიკალურით, ისინიც ვერ აღმოავსებენ სიმდიდრეს ქართულის გალობისას" (55,3). მისი მოღვაწეობა ქართულ მუსიკალურ კულტურაში ერთადერთ ურყევ პრინციპს ემყარებოდა – ხელოვნების ეს უმნიშვნელოვანესი დარგი მხოლოდ ეროვნულ ნიადაგზე უნდა დაფუძნებულიყო და განვითარებულიყო.

ვასილ კარბელაშვილის თანამშრომლობა ქართულ პერიოდიკასთან, განსაკუთრებით გაზეთებთან „დროება" და „ივერია", უმთავრესად ქართული გალობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გაშუქებასთან იყო დაკავშირებული. ცარიზმის არსებული რეჟიმის მიუხედავად, იგი გაბედულად აღნიშნავდა ეროვნული სიმღერა-გალობის განვითარების სფეროში შექმნილ სავალალო მდგომარეობას და ეძებდა გზებს მის გადასარჩენად. პარალელურად, ვასილ კარბელაშვილი ფართო მუშაობას ეწეოდა გაბნეული საისტორიო მასალების მოსაძიებლად, რომელიც ქართული გალობის მომდინარეობასა და თავისებურებებს შეეხებოდა. მათ მოძიება-ანალიზს

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული გალობის აღდგენა-შე-ნარჩუნებისათვის. რადგან ის ბავშვობიდან ეროვნული გალობის ტრადიციებს იყო ნაზიარები, ადვილად ანსხვავებდა ძველ, ნამდვილ კილოს ახლად შემოტანილისაგან, ამიტომ უდიდესი სიფრთხილ-ითა და ყურადღებით აკვირდებოდა თვითოეულ ბგერასა და ინ-ტონაციას.

საყურადღებოა ვასილ კარბელაშვილის მოღვაწეობა სასულ-იერო სასწავლებლებსა და საეკლესიო-სამრევლო სკოლებში, სა-დაც გალობის შესწავლის საქმეს უძღვებოდა. უამრავი სიძნელისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, იგი თავდაუზოგავად იღვწოდა ქართული გალობის შესწავლის დასამკვიდრებლად, რისთვისაც შედგენილი ჰქონდა სპეციალური პროგრამები და წესდებები. ასე მაგალითად, 1895 წელს, მან შეადგინა და თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობას გადასცა პროგრამა ქართული გალობის შესასწავლად. პატაკში, რომელიც მან სემინარიის გამგეობას იმავე წლის 30 სექტემბერს წარუდგინა, აღნიშნავდა, რომ პროგრამაში სასწავლო მასალები დალაგებული ჰქონდა გალობის ათვისების სიმარტივის მიხედვით, თანმიმდევრობით და მათი მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით. იგი იმედს გამოსთქვამდა, რომ აღნიშნული პროგრამის შესრულება უზრუნველყოფდა გალობის საქმის შეს-წავლის ჭეშმარიტ გზაზე დაყენებას (91,2).

ვასილ კარბელაშვილის მიერ შედგენილ პროგრამებსა და წესდებებს შორის საყურადღებოა 1913 წელს შედგენილი ქართ-ველ მომღერალ-მგალობელთა საზოგადოება „სანთურის“ წესდება (107,68), რომელიც მიზნად ისახავდა ქართველთა შორის გალობისა და სიმღერის გავრცელება-აღორძინებას, ადგილობრივი სიმღერე-ბისა და გალობის კილოების შეკრება-შესწავლას. საზოგადოება „სანთურს“ უნდა დაეცვა ქართული სიმღერა-გალობის სიწმინდე და მხოლოდ მასზე დაყრდნობით უნდა მომხდარიყო ევროპული მუსიკის დამუშავება და აღორძინება ჩვენში.

ქართველ მომღერალ-მგალობელთა საზოგადოება „სანთურს“ თავის გარშემო უნდა შემოეკრიბა მუდმივად გაწყობილი ქოროები და შეძლებისდაგვარად ემოღვაწა მათთან, გაემართა მუსიკალური

შეკრებები (კონცერტები), მოეწყო მომღერალთათვის უფასო საყოველთაო კურსები, ლექციები, სამკითხველოები, სადაც მსურველები ქართული მუსიკის შესწავლასთან ერთად, გაეცნობოდნენ ევროპულ მუსიკასაც. საზოგადოება „სანთურს" უნდა გაეგზავნა წევრები დაბა-სოფლებში სიმღერა-გალობის ჩასაწერად, ფონოგრაფის დახმარებით. დასახული საქმის გასაძლიერებლად საზოგადოებას უნდა წაეხალისებინა წევრები ფულადი დახმარებით, ქების ფურცლებით. საზოგადოებაში 18 წლის მოღვაწეობისათვის წევრს ენიშნებოდა თვიური პენსია. საზოგადოებას უნდა მოეწყო ნოტებისა და მუსიკალური წიგნების მაღაზიები, საწყობები, ბიბლიოთეკები და გამოფენები, ჰქონოდა ბეჭდვითი ორგანო, დაებეჭდა საგალობლების კრებულები, თხზულებები და მსოფლიო სამუსიკო ამბები.

საზოგადოება „სანთურის" უპირველეს მიზანს შეადგენდა ეროვნული სიმღერა-გალობის გაცნობა და ათვისება. მასში გაწევრიანება შეეძლო ყველა მსურველს 18 წლის ასაკიდან, წოდებისა და სქესის განურჩევლად, რომელთაც უნდა ჰქონოდათ მუსიკალური მონაცემები. საზოგადოების წევრები იყოფოდა: ნამდვილ, საპატიო და თანამოშურნე წევრებად. ნამდვილ წევრად ითვლებოდა ყველა ის, რომელიც გაწევრიანებისთანავე საზოგადოებაში შეიტანდა ერთი წლის საწევრო გადასახადს (წლიური გადასახადი შეადგენდა ერთ მანეთს). საპატიო წევრად ითვლებოდა ის, რომელსაც მშობლიურ მუსიკალურ დარგში შრომა და ღვაწლი ჰქონდა გაწეული, ან ის პირი, რომელიც ერთბაშად შეიტანდა გადასახადს არანაკლებ 25 მანეთის ოდენობით. თანამოშურნე წევრად ითვლებოდა ყველა ის პირი, რომელიც ხელს შეუწყობდა საზოგადოებას დასახული მიზნის განხორციელებაში.

საზოგადოება „სანთურს" განაგებდა გამგეობა ხუთი კაცის შემადგენლობით, რომელიც ორი წლის ვადით უნდა არჩეულიყო საზოგადოების კრებაზე ფარული კენჭისყრით. გამგეობა ირჩევდა თავმჯდომარეს, ამხანაგებს და მეუნჯეს. საზოგადოება წარმოადგენდა იურიდიულ პირს, რომლის შემოსავალი შესდგებოდა: საწევრო შენატანის, შემოწირულობების, კონცერტების და საღამოების შემოსავლისაგან (107,68).

ქართული საეკლესიო გალობის შესწავლა იმდროისათვის ყველაზე მოხერხებული საეკლესიო-სამრევლო სკოლებში იყო. ამიტომაც, ვასილ კარბელაშვილი განსაკუთრებული შემართებით სწორედ ასეთ სასწავლებლებში მოღვაწეობდა. ჯერ კიდევ 1890 წელს, იგი თბილისის ავლაბრის წმ. მარინეს სამრევლო სკოლაში დიაკვნებს ასწავლიდა გალობას. გაზეთი „ივერია“ ამის შესახებ იუწყებოდა, რომ „მისი მონდომება და საქმისადმი სიყვარული მისაბაძი იყო“ (40,1-2). ასეთივე შემართებითა და სიყვარულით უძღვებოდა იგი გალობის შესწავლის საქმეს სამრევლო სკოლის მასწავლებლებისათვის, სადაც პარალელურად განმარტავდა ქართული საეკლესიო გალობის ზოგიერთ რთულ ნიუანსს. გაზეთი „ივერია“ მის შესახებ აღნიშნავდა: „...საზოგადოთ მამა კარბელაშვილის გამოკვლევანი საეკკლესიო გალობის შესახებ ფრიად საინტერესოა, მასწავლებლებიც ასე თუ ისე ხალისით ისმენენ მამა ვასილის გაკვეთილებს გალობათაგან...“ (56,2). გაზეთი აქვე საგანგებოდ მიანიშნებდა, რომ „თუ ჩვენი ერი ელირსება ოდესმე ჩვენი დიდებული საეკლესიო გალობის აღდგენას და ხშირად მოსმენას – ეს ჩვენს დროში შესაძლებელია სამრევლო სკოლების შემწეობით“ (56,2).

სასწავლო-საგანმანათლებლო ქსელში ქართული საეკლესიო გალობის შესწავლის მიმართულებით მოღვაწეობა ვასილ კარბელაშვილს უკიდურესი რეაქციის წლებშიც კი არ შეუწყვეტია. მისი დაჟინებული მოთხოვნის შედეგად, გალობის შესწავლა მაინც მიმდინარეობდა, როგორც თბილისის სასულიერო სემინარიაში, ასევე თბილისის ეპარქიალურ ქალთა სასწავლებელში. სემინარიის ძველ შენობაში მას ორი ოთახი გამოუყვეს მეცადინეობების ჩასატარებლად (97,1).

თბილისის ეპარქიალურ ქალთა სასწავლებელში მუშაობის პერიოდში მას უსიამოვნებები ჰქონდა სასწავლებლის ჩინოვნიკ-პედაგოგთან, მღვდელ რაზუმოვსკისთან. ეს უკანასკნელი ვასილ კარბელაშვილს ბრალს სდებდა სასწავლო პროცესის არადამაკმაყოფილებლად წარმართვაში. ამის პასუხად, 1911 წლის 30 სექტემბერს, მას განცხადებით მიუმართავს სასწავლებლის საბჭოსადმი (99,2), სადაც აღნიშნავდა მღვდელ რაზუმოვსკის მიერ წამოყენებულ

ბრალდებათა არამართებულობას. მართლაც, 1908 წლის 12 იანვრიდან, როდესაც ის აღნიშნულ სასწავლებელში პედაგოგად დაინიშნა ეგზარქოს ნიკონის (სოფიისკი) (1906-1908) მიერ, იგი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა გალობის შესწავლის მაღალ დონეზე ასაყვანად, რის დადასტურებასაც წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მუშაობის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ, გუნდი უკვე გალობდა საგალობლებს აღსაზრდელი რეგენტის ხელმძღვანელობით. სასწავლებლის ხინოვნიკ-პედაგოგთან უსიამოვნების მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ რუსი მოხელეებისათვის ქართული გალობის შესწავლა მიუღებელი გახლდათ.

ვასილ კარბელაშვილი გულისყურით ადევნებდა თვალს ქართული საეკლესიო გალობის შესწავლის საქმეს და იბრძოდა მისი დაცვის მიმართულებითაც. იგი არ მოერიდა ცნობილი მუსიკოსის, ზაქარია ფალიაშვილის კრიტიკასაც. ეს უკანასკნელი, ქართველი საზოგადოების მიერ გალობა-სიმღერის ერთადერთ მცოდნედ და მოღვაწედ იყო აღიარებული, რომელიც ქალთა და ვაჟთა გიმნაზიაში ასწავლიდა გუნდს. ვასილ კარბელაშვილის პირად არქივში დაცულია დოკუმენტი სათაურით - „ღია წერილი ზ. ფალიაშვილს", რომელიც 1914 წლის 15 ოქტომბრით არის დათარიღებული. საინტერესოა მის წერილში გამოთქმული მოსაზრებები ქართული გალობის დაცვის შესახებ, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა: „...მე იმათი გარდაქმნა-გადამახინჯება მიმაჩნია დიდ შეუნდობელ ცოდვათა და არ შემიძლიან საქვეყნოდ არ გკითხოთ – რად ჰნებულობთ, სჩადით მაგ საქმეს?... თქვენ აქამომდე არ იშლით მაგ საქმესა, თუ არ ინებებთ გამორკვევას ამ საკითხისას, არავითარი ზნეობრიულად უფლება არა გაქვთ ეგრე უწყალოდ ჰქელოთ და სჯიჯგნოთ ქართლ-კახური გალობა. გარდა ამისა, ხელი უნდა აიღოთ ქართული გალობის სწავლებაზედ, რომლის ცოდნა და სწავლა, როგორც დავრწმუნდი, ძალიან გკლებიათ... დავშთები მარადის ერთგული ქართული გალობის მოჭირნახულე მღ. ვასილ გრიგოლის ძე კარბელაშვილი" (114,1). წერილის ბოლოს მას მინაწერი აქვს გაკეთებული, სადაც აღნიშნულია, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო იგი არ გამოქვეყნებულა.

ამრიგად, ვასილ კარბელაშვილს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ეროვნული კულტურის სიძველეთა დაცვა-გადარჩენისა და შესწავლის საქმეში. მან უდიდესი ამაგი დასდო ეგზარქოსების მიერ გაძარცვული მონასტრებიდან გაზნეული ქართული კულტურის უძველესი ნიმუშების თავმოყრასა და დაცვას. იგი აქტიურად იბრძოდა ქართული საეკლესიო მუზეუმის დაარსებისა და შემდეგში მისი მუშაობის მიმართულებით; იყო ამ მუზეუმთან შექმნილი მეცნიერთა კომიტეტის წევრი, რომლის მიერ მოძიებულ და გამოკვლეულ იქნა არა ერთი ისტორიული საბუთი და სიგელ-გუჯარი; ვასილ კარბელაშვილი იღწვოდა ძველი ქართული არქიტექტურული ნაშთების შესწავლისა და მოვლა-პატრონობის მიმართულებით; იგი მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რომლის მიერ აღწერილ და შესწავლილ იქნა ქართული არქიტექტურული ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი სამცხე-ჯავახეთში, განსაკუთრებით ის ძეგლები, რომლებიც არ იყვნენ შეტანილნი იმ დროის თვალსაჩინო ისტორიკოსებისა და გეოგრაფების მიერ შედგენილ ნუსხებში; საქართველოს ამ უძველესი კუთხის ძეგლების დაცვა და მოვლა-პატრონობა მით უფრო იყო ყურადსაღები, რომ არაქართველი მოსახლეობის, კერძოდ სომხების მიერ მათი მითვისება ხდებოდა. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ პრობლემას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა; ძეგლთა დაცვისა და შესწავლის მიზნით, ვასილ კარბელაშვილმა ქართველ მამულიშვილებს მოუწოდა შეექმნათ „მგზავრთა ძმობა-საზოგადოება", სადაც უნდა გაერთიანებულიყვნენ ამ საქმის მცოდნე პროფესიონალები; მას ეკუთვნის ქართული სასულიერო მწერლობის უძველესი ნიმუშების დაბეჭდვა და დღის სინათლეზე გამოტანა. ვასილ კარბელაშვილის ამ მიმართულებით მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ერის მორალურ-ზნეობრივი სიწმინდისა და სარწმუნოების განმტკიცების საქმეში.

უაღრესად მნიშვნელოვანია მისი დამსახურება ქართული საეკლესიო გალობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის, რომელმაც დაუღალავი შრომისა და თავგანწირვის შედეგად ქართლ-კახური საგალობლები ნოტებზე გადაიტანა და დღის სინათლეზე გამ-

ოიტანა. იგი შეუპოვრად იბრძოდა ეროვნული გალობის სიწმინდის დასაცავად. მისი მოღვაწეობა ზოგადად მუსიკალური კულტურის დარგში,მტკიცე პრინციპს ემყარებოდა – ქართული ეროვნული სიმღერა-გალობა მხოლოდ ეროვნულ ნიადაგზე უნდა განვითარებულიყო. ამ პრინციპისათვის მას ცხოვრების ბოლომდე არ უღალატნია. საყურადღებოა მისი მოღვაწეობა გალობის შესწავლის მიმართულებითაც სასწავლო-საგანმანათლებლო ქსელში, რისთვისაც მას შედგენილი ჰქონდა სპეციალური პროგრამები.

## §3 ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მონაწილეობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში (1905-1917 წწ)

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოში დაწყებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ,რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის უცილობელ გადაწყვეტასაც გულისხმობდა,1905-1907 წლების რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში უფრო მკაფიო ხასიათი მიიღო. ისარგებლეს რა იმპერიაში მიმდინარე მღელვარე პროცესებით,მებრძოლი ქართველი საზოგადოებრიობის წამომადგენლებმა ხმამაღლა გამოაცხადეს თავიანთი მოთხოვნა ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულის აღდგენისა და ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების შესახებ. ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის ზეგავლენით საქართველოში აღარ არსებობდა ერთიანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულები, თვით ტერმინი „საქართველო“ კი ხმარებიდან იყო ამოღებული და მისი ეკლესია მხოლოდ „საქართველოს საეგზარქოსოს“ სახელწოდებაში ფიგურირებდა (21,47). ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დღის წესრიგში, უპირველეს ყოვლისა, დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ რუსეთის იმპერიის უმაღლეს ხელისუფლებას

საქართველო ეცნო იმპერიის ნაწილად[5], რომელშიც გაერთიანდებოდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის, სოხუმისა და ზაქათალის ოლქები, რაც განხილული იქნა კიდეც 1905 წლის 1 აპრილის თბილისის თავად-აზნაურთა კრებაზე (30,18). აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მეტად მნიშვნელოვანი იყო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თვალსაზრისითაც, რადგან საეკლესიო სამართლის კანონების გათვალისწინებით, საჭირო იყო თავისთავადი ეკლესიის მომცველი ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა (30,18). ამ გარემოებითაც აიხსნებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ურთიერთკავშირი. ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში განსაკუთრებული აქტიურობით სწორედ ქართველი სამღვდელოება გამოირჩეოდა, რომელსაც თავიდანვე ჰქონდა განსაზღვრული სამოქმედო პროგრამა და ბრძოლის ტაქტიკა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას თავის მხრივ ხელი უნდა შეეწყო არა მარტო რუსული საეკლესიო პოლიტიკის ზეგავლენისაგან განთავისუფლებისათვის, არამედ, იგი წინ გადადგმული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაშიც.

მებრძოლი ქართველი სამღვდელოება აშკარად დაუპირისპირდა თვითმპყრობელობისა და საეგზარქოსოს პოლიტიკას და თავისი მოღვაწეობით ხელს უშლიდა მათ მიერ დასახული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას. სამღვდელოებას ესმოდა, რომ სწორედ ამ დროისათვის ესაჭიროებოდა მათ ურთიერთმხარში დგომა და ერთიანი მოქმედება (9,112-113).

რუსეთის იმპერიის საერო და სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენლებს კარგად ჰქონდათ გააზრებული ქართველი სამღვდელოების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაში მონაწილეობის მნიშვნელობა და აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს ავტოკეფალისტებს. ცხადია, რომ ასეთ პირობებში ვასილ კარბელაშვილის პიროვნება შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, მით უმეტეს, რომ მისი მოღვაწეობა სასწავლო-საგანმანათლებლო ქსელში მუდ-

5 ამ შემთხვევაში იგულისხმება საქართველო – ავტონომიური უფლებით რუსეთის იმპერიაში (ი. ჭავჭავაძის თეორია)

მივ წინააღმდეგობებთან იყო დაკავშირებული. გარდა ამისა, ვასილ კარბელაშვილს, როგორც მოძღვარს, ხალხის მასებთან ურთიერთობის საუკეთესო ბერკეტები გააჩნდა ქადაგებისა და სხვა ურთიერთობების სახით. საყურადღებოა, რომ მიუხედავად სამღვდელოების შელახული ავტორიტეტისა, ისინი მაინც დიდ საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენდნენ და მარჯვედაც იყენებდნენ ამ საშუალებას ხალხთან დაახლოვებისა და მათთან საერთო ენის გამონახვის თვალსაზრისით (22,45).

1905-1907 წწ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მღელვარე პროცესებში და უფრო ადრეც, ქართველმა სამღვდელოებამ ეროვნული ინტერესები სოციალურზე მაღლა დააყენა (21,48), მაგრამ თავისი ბრძოლის შემადგენელ ნაწილად აქცია აგრეთვე საქართველოში აზვირთებული სოციალური გამოსვლების მიმართ მისი თანადგომაც. თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ გამოსული ხალხის ფართო მასები, მთელი იმპერიის მასშტაბით, მოითხოვდნენ რა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ეკლესიას სახელმწიფოს ნაწილად მოიაზრებდნენ და ისე ებრძოდნენ მას, როგორც სახელმწიფოს. ამიტომ საჭირო გახდა ქართველი სამღვდელოების ხალხის მასებთან დაახლოვება და მათთან საერთო ენის გამონახვა. ეროვნული ეკლესიის მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ ავტოკეფალიის მოთხოვნა მარტო სამღვდელოების საქმე არ იყო, ეკლესიას ხალხი შეადგენდა და ინტელიგენციის დახმარებით სწორედ მას უნდა „გამოედო თავი", წინააღმდეგ შემთხვევაში მარტო სამღვდელოების ბრძოლა უნაყოფო იქნებოდა (46,3).

საქართველოს ეკლესიაში რუსული იმპერიული საეკლესიო პოლიტიკის განხორციელების ასწლოვანმა პრაქტიკამ ხალხსა და სამღვდელოებას შორის უზარმაზარი უფსკრული გააჩინა, რომლის ამოვსებაც ქართველ სამღვდელოებას ეკისრებოდა და რამაც უფრო მრავალწახნაგოვანი გახადა ამ უკანასკნელის ბრძოლა ეროვნული ეკლესიის თავისუფლების მოსაპოვებლად. ხშირ შემთხვევაში სასულიერო პირებს უწევდათ არამარტო ქადაგებებისა და აგიტაციის გაწევა ხალხში, არამედ უშუალოდ მონაწილეობდნენ კიდეც ფართო გამოსვლებსა და დემონსტრაციებში.

ვასილ კარბელაშვილს ამგვარი მოღვაწეობის ფართო ასპარეზი თბილისის მიხაილოვის საავადმყოფოში მუშაობის პერიოდში მიეცა (1888-1903), სადაც იგი სამღვდელო მოვალეობის შესრულების გარდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. სწორედ აქედან დაიწყო ვასილ კარბელაშვილის ჩაბმა საერთო-სახალხო დემოკრატიულ მოძრაობაში, რაც საბაბი გახდა კიდეც მისი გადასახლებისა იმპერიის შიდა გუბერნიაში, შემახაში (დღევანდელი აზერბაიჯანი), ოჯახთან ერთად. გადასახლებას წინ უძღოდა 1903 წლის 2 იანვარს ვასილ კარბელაშვილის მონაწილეობა მენშევიკი მასწავლებლის, მოსე მეგრელიძის დაკრძალვაში, რასაც ქალაქში დიდი არეულობა გამოუწვევია. საქმის გამოძიებისას, 1903 წლის 5 იანვარს, კავკასიის მთავარმმართებლის მოადგილე სამოქალაქო ნაწილში გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე მთავარმმართებელს ასეთი შინაარსის დეპეშას წერდა: „1903 წლის 2 იანვარს, თბილისში მომხდარი არეულობა გამოწვეული იყო მიხაილოვის საავადმყოფოში გარდაცვლილი გურული მასწავლებლის მოსე მეგრელიძის დაკრძალვით. ეს უკანასკნელი გურიაში აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. მისი ქვრივის თხოვნით, 1902 წლის 31 დეკემბერს გაიცა განკარგულება მოსე მეგრელიძის სამშობლოში გადასვენების თაობაზე. 2 იანვარს, დილით, თბილისის ქუჩებში გავრცელებულ იქნა რუსულ და ქართულ ენებზე დაბეჭდილი ფურცლები პროკლამაციების სახით, რასაც ხელს აწერდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რუსული ფრთა. გადასვენების ცერემონიალს მიხაილოვის საავადმყოფოს მოძღვარი ვასილ კარბელაშვილი ხელმძღვანელობდა. ხუთასკაციანი პროცესია საავადმყოფოდან სადგურამდე მიაცილებდა გარდაცვლილის ცხედარს, რამაც აშკარა დემონსტრაციის სახე მიიღო“ (135,1). დეპეშაში გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე ხაზგასმით მიუთითებდა ვასილ კარბელაშვილის აქტიურობას, რაც საქმის გამოძიებისას განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა. მით უმეტეს, რომ ამ მოვლენებამდე უფრო ადრე, მის შესახებ გენერალ-ლეიტენანტ ფრეზეს თბილისის გუბერნატორისაგან მიღებული ჰქონდა საიდუმლო დაზვერვის მასალები (135,22). აი, რას ვკითხულობთ საიდუმლო მიწერილობაში, სადაც ვასილ კარ-

ბელაშვილთან ერთად მოხსენიებულია მისი ძმა, ანჩისხატის მთავარი პოლიევქტოს კარბელაშვილი: „...თბილისში მოღვაწე ორივე მღვდელი, ვასილ და პოლიევქტოს კარბელოვები, რომელთაგან პირველი წმიდა მიხეილის სააავადმყოფოსთან არსებულ ეკლესიაში მსახურობს, ხოლო მეორე – ანჩისხატის ეკლესიაში, ცნობილნი არიან, როგორც აშკარა რუსოფობები და საქართველოში რუსული პოლიტიკის განხორციელების დაუძინებელი მტრები...“ (135,22). მიწერილობაში ხაზგასმულია ვასილ კარბელაშვილის აშკარა დაპირისპირებული ქმედებანი რუსი მოხელეების მიმართ, მათ შორის თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელ ნედელსკისთან კონფლიქტი. გარდა ამისა, წერილში მითითებულია ვასილისა და პოლიევქტოსის თანამშრომლობა ბუქარესტში გამომავალ ჟურნალ „Православный Востокъ“-ში. აღნიშნულ ჟურნალში, რომელიც აშკარა ანტიიმპერიული სულისკვეთებით გამოირჩეოდა, მხილებული იყო რუსი ეგზარქოსებისა და ჩინოვნიკების იმპერიული ზრახვები არარუსი ეროვნებების მიმართ. ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილები ხელს უწყობდნენ ჟურნალის არალეგალურ გავრცელებას საქართველოში. საიდუმლო მიწერილობაში ხაზგასმულია აგრეთვე ეპისკოპოსი კირიონის საქმიანობის შესახებ, რომელიც ძმებ კარბელაშვილებთან ერთად დახასიათებულია როგორც ხელისუფლებისათვის საშიში პიროვნება. მინიშნებულია ეპ. კირიონის, პოლიევქტოსისა და ვასილის ერთობლივი იატაკქვეშა მოღვაწეობის შესახებ, რომ სწორედ მათი ზეგავლენით ხდებოდა ხალხის მასების გამოსვლები და აჯანყებები ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგალითად მოყვანილია რკინიგზელი მუშების მუქარით აღსავსე წერილი საქართველოს ეგზარქოსის სახელზე, სადაც აღნიშნულია ქართული ენის უფლებების შელახვის ფაქტები (135,22).

ყოველივე ზემოაღნიშნული დაედო საფუძვლად ვასილ კარბელაშვილის სამშობლოდან გადახვეწას, რაც სერიოზულ მიზეზს წარმოადგენდა მისი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების დასადასტურებლად. მიუხედავად მისი არაერთგზის ახსნა-განმარტებისა და თხოვნისა, რუსეთის იმპერიის უმაღლესმა ხელისუფლებამ და საქართველოს ეგზარქოსმა ალექსი I (ოპოცკი) (1902-1905) ვას-

ილ კარბელაშვილი დამნაშავედ სცნო (135,17-25). იგი პოლიციის აგენტის საშუალებით, განჯის გუბერნიის საზღვრამდე ადმინისტრაციული წესით გააცილეს. აღნიშნული ფაქტის შესახებ იუწყებოდა როგორც საქართველოს საეგზარქოსოს პერიოდული გამოცემა „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მახარებელი" (37,4), ასევე მის შესახებ დაფიქსირებულია საქმის გამოძიების საიდუმლო მასალებშიც (135,26). დოკუმენტებში ნაჩვენებია ეგზარქოსის დამადასტურებელი ცნობა ვასილ კარბელაშვილის თბილისიდან შემახაში რეალურად გადაადგილების შესახებ 1903 წლის 17 თებერვალს, სადაც მას მკაცრი საგანგებო ზედამხედველობა დაუწესდა ბაქოს გუბერნატორის განკარგულებით (135,37). ამ წლიდან, ვასილ კარბელაშვილს თითქოს ხელი აიღებინეს აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, მაგრამ როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, იგი გადასახლებაშიც განაგრძობდა მშობლიური ქვეყნისა და ეკლესიის სამსახურს. გარდა ამისა, ვასილ კარბელაშვილი მონაწილეობას ღებულობდა მშრომელთა გამოსვლებში შემახაში (6,196). მისთვის განსაკუთრებულად დიდ ნუგეშს წარმოადგენდა იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობის დამოძღვრა და მათში ეროვნული გრძნობების გამოღვიძება. ვასილ კარბელშვილს კავშირი არ გაუწყვეტია ქართული გაზეთების რედაქციებთან, სადაც პერიოდულად საინტერესო მასალებს აწვდიდა. საყურადღებოა მის პირად არქივში დაცული ამ პერიოდის ერთ-ერთი წერილი გაზეთ „ივერიის" რედაქციისადმი, სადაც აღნიშნული აქვს შირვანის სახანოში ქართული სოფლების არსებობის შესახებ. აქვე მოცემული აქვს მცირე გამოკვლევა, სადაც განმარტებული აქვს თუ საიდან წარმოსდგება სახელწოდება „შემახა". ქართველთა გავლენა რომ დიდი ყოფილა შირვანის სახანოში, ამას მოწმობს იქ არსებული სოფლები: გუჯივანი, სალიანი, შარადილი, მეისარი და სხვა (131).

გადასახლებაში ყოფნისას, 1903 წლის 28 ივნისს, ვასილ კარბელაშვილი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა შემახის მცხოვრებმა, ვინმე ვარგანოვმა. ამასთან დაკავშირებით ბაქოს გუბერნიის ეკლესიათა ბლაღოჩინი, ალექსანდრე იუნიცკი, საქართველოს ეგზარქოსს ალექსი I (ოპოცკი) (1902-1905) საიდუმლო ანგარიშ-მოხსენე-

ბას წერდა, სადაც ახსნილი იყო თუ როგორ ვითარებაში მოხდა აღნიშნული ინციდენტი (137). საგულისხმოა, რომ მომხდარი ფაქტის შესახებ ოფიციალურ პრესაში არაფერი გაუღერებულა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი მხოლოდ საიდუმლო მიწერილობით ფიქსირდება. იმის გათვალისწინებით, რომ იმპერიის უმაღლესი ხელისუფლება მასში სახელმწიფოსათვის საშიშ პიროვნებას ხედავდა, საფიქრებელია, რომ ვასილ კარბელაშვილის ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა იყო არა შემთხვევითობით გამოწვეული, არამედ მისი თავიდან მოშორების მიზნით განხორციელებული საგანგებო აქტი. მომხდარი ინცინდენტის შესახებ თავად ვასილ კარბელაშვილი აღნიშნავდა, რომ მისი მკვლელობის მცდელობა ცნობილი რუსი რეაქციონერი მოღვაწის იოანე ვოსტორგოვის ჯგუფის – „მთავარანგელოზის" წევრებმა განახორციელეს (111). მიყენებული ჭრილობა მეტად სერიოზული აღმოჩნდა. მართალია იგი სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ მის ჯანმრთელობაზე ძლიერი ზემოქმედება მოახდინა. შემახის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობის საფუძველზე, ვასილ კარბელაშვილი თბილისში იქნა გადმოყვანილი, რის შესახებაც 1903 წლის 3 სექტემბერს ბაქოს გუბერნატორის კანცელარია კავკასიის მთავარმმართებელს ატყობინებდა (135,43).

ვასილ კარბელაშვილის პირად საარქივო დოკუმენტებში მისი ბიოგრაფიის ეს მონაკვეთი გარკვეული ბუნდოვანებითაა მოცული, ზუსტად არ ჩანს თუ როდის მოხდა მისი სამშობლოში დაბრუნება ოჯახთან ერთად. როგორც შემდეგი პერიოდის დოკუმენტებიდან ირკვევა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით, იგი 1904 წელს უნდა დაბრუნებულიყო საქართველოში. ამის საფუძველს გვაძლევს მის შრომით ბიოგრაფიაში 1904-1905 წწ. მითითებული ცნობა, სადაც იგი გორის ტაძრის მღვდლად მოიხსენიება (15,235).

მიუხედავად რეპრესირებული მდგომარეობისა, ვასილ კარბელაშვილმა დაბრუნებისთანავე კვლავ აქტიურად განაგრძო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ის გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს 1905-1907 წლების რევოლუ-

ციის პერიოდში საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე მღელვარე პროცესებს და მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია ეკავა ავტოკეფალიის საკითხებთან მიმართებაში.

როგორც ცნობილია, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობა იყო არამარტო ქართველი საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენებსა და პარტიებს შორის, ასევე თვით ეკლესიის შიგნითაც. ისინი არაერთგვაროვნად ხედავდნენ დასახული მიზნის მიღწევის მეთოდებსა და საშუალებებს. აღნიშნულ პერიოდში ხშირად იმართებოდა სამღვდელოების თავყრილობები და კრებები, სადაც ფართო სჯა-ბაასი მიმდინარეობდა ავტოკეფალიის საკითხის გადასაწყვეტად.

1905 წლის 28-31 მაისს, თბილისში გამართულ ქართველი სამღვდელოების ყრილობაზე, რომელიც რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ სასტიკი მეთოდების გამოყენებით დაარბია, ჩამოყალიბებულ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემაჯამებელი დებულებანი:

„1. ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალური უფლებები და თავისი კათოლიკოსითურთ აღდგეს მცხეთა-ივერიის კათალიკოსატი ადრინდელ საზღვრებში (გუბერნიები: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ნაწილი შავი ზღვის გუბერნიისა – აფხაზეთი, სამურზაყანო და ზაქათალის ოლქი);

2. აღდგეს წესი, როცა ღვთისმსახურთა განთავისუფლებულ ადგილებს არჩევნების შედეგად იკავებენ;

3. კათალიკოსთან დაფუძნდეს წმიდა სინოდი (თავმჯდომარე კათალიკოსი), ხოლო ეპარქიის მღვდელმთავრებთან – საბჭოები, შედგენილი გარკვეული ვადით, არჩეული სასულიერო და საერო პირთაგან;

4. კათალიკოსთან არსებული წმიდა სინოდის ხელში მოექცეს ყველა ეკლესიის, მონასტრის, სამღვდელოების, სასწავლო-სასულიერო დაწესებულებებისა და საქველმოქმედო დაწესებულებების უმაღლესი მართვა-გამგეობა;

5. ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს სახელმწიფოსათვის გადაცემული ყველა საეკლესიო მამული“ (21,55-56).

ქართველი სამღვდელოების მოთხოვნათა ერთსულოვნების მიუხედავად,თავი იჩინა არსებითმა განსხვავებებმაც,რაც უპირველეს ყოვლისა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის განსაზღვრაში გამოიხატა. ამ უკანასკნელი საკითხის გადაწყვეტის თავისებური გზაა ნაჩვენები 1905 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, თბილისში გამართულ სრულიად საქართველოს სამღვდელოების დელეგატთა კრებაზე, რომელმაც ავტოკეფალიის პროექტი შეიმუშავა (38,11-12). პროექტში, სადაც ხაზგასმულია ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის აუცილებლობა, აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკლესიის ტერიტორიას უნდა შეადგენდეს და საქართველოს კათალიკოსის მმართველობა ვრცელდებოდეს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების, ზაქათალის, სოხუმის, ბათუმისა და ყარსის ოლქთა საზღვრებში დასახლებულ მხოლოდ ქართველი ტომის მართლმადიდებლებზე, ხოლო ამიერკავკასიაში მცხოვრებ მორწმუნე რუსებს უნდა ჰყოლოდათ საქართველოს კათოლიკოსისაგან დამოუკიდებელი, სინოდის განკარგულების ქვეშ მყოფი ეპისკოპოსი, რომელიც ბაქოში ან ვლადიკავკაზში დამკვიდრდებოდა (38,11-12).

ვასილ კარბელაშვილს, რომელიც მკვეთრად რადიკალური მოთხოვნებით გამოდიოდა, ყოველგვარი კომპრომისი და საკითხის არაკანონიკური გადაწყვეტა ავტოკეფალიის მოპოვების გზაზე მიუტევებელ შეცდომად მიაჩნდა. იგი თავისი შეხედულებებით თანაუგრძნობდა სამღვდელოების იმ ნაწილს, რომელშიც წამყვანი პოზიცია ეპისკოპოსებს: კირიონსა (საძაგლიშვილი) და ლეონიდეს (ოქროპირიძე) ეკავა და მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ისტორიულ-ტერიტორიულ საზღვრებში და არა ეროვნულ ავტოკეფალიას.

ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის განსაზღვრა ეროვნული ნიშნით „საგრძნობელ შეცდომათ" ჩათვალა და მიუთითებდა,რომ საკითხის ამგვარი წესით გადაწყვეტა,რომელიც ფილეტიზმის[6] სახელით იყო ცნობილი, შეუსაბამობაში იყო მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობასთან

6 ფილეტიზმი – მოძღვრება, რომელიც ეკლესიის სამწყსოს ეროვნების, გვარ-ტომობითი ნათესაობით საზღვრავს. მისი მიმდევრები ითვლებიან სქიზმატიკებად. ფილეტიზმი წარმოადგენს განმეორებას ვერაგული პრინციპისა – „divide a impera"

და გამოიწვევდა საქართველოს ეკლესიის მსოფლიო ეკლესიის ერთიანობასთან ჩამოშორებას. ამ არასწორი ნაბიჯით საქართველოს ეკლესია დაიმსახურებდა სქიზმატური ეკლესიის სახელს (29,7-8).

ვასილ კარბელაშვილმა, რომელიც ეპისკოპოს ლეონიდეს აზრს ბოლომდე იზიარებდა, მკვეთრად გაილაშქრა ეროვნული ავტოკეფალიის მომხრეთა წინააღმდეგ და აღნიშნავდა,რომ მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობასთან შეუსაბამობის გარდა, ეროვნული ნიშნით ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტა ხელს შეუწყობდა საქართველოს ტერიტორიის დაშლას,რომელიც ცარიზმის ანტიეროვნული პოლიტიკის წყალობით ისედაც დანაწევრებული იყო (117). როგორც ცნობილია,რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ქართული ეროვნული სხეულის დაშლის მიზნით მეტად მზაკვრული პოლიტიკა შეიმუშავა არამართლმადიდებელი ქართველების მიმართ. იგი ეცდებოდა იმ აზრის განმტკიცებას,რომ ქართველი ერი ყოველთვის მტკიცე დამცველი იყო მართლმადიდებლობისა და სხვა რელიგიის აღმსარებელ ქართველებს – მაჰმადიანებს,კათოლიკეებს და გრიგორიანელებს არ იწყნარებდა (22,22), ე.ი. მათ ქართველობაში ეჭვი ეპარებოდათ,რაც რასაკვირველია სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. საქართველოს ეკლესიის ისტორიის მთელ სიგრძეზე,ქართველი მართლმადიდებელი სამღვდელოება მიიჩნევდა,რომ ამა თუ იმ აღმსარებლობის აღიარება ადამიანის პირადი ნების თავისუფლების გამოვლინება იყო. ვასილ კარბელაშვილს ღრმად სწამდა,რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ისტორიულ-ტერიტორიალურ საზღვრებში შესაძლებელს გახდიდა ეროვნული ეკლესიის უმთავრესი ისტორიული მისიის აღსრულებას, რაც საქართველოს გამთლიანება-გაერთიანებაში გამოიხატებოდა. იგი აღნიშნავდა, რომ ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, კვლავ ეროვნული ეკლესია უნდა გამოსულიყო საქართველოს პოლიტიკური გამაერთიანებლის როლში (117). მიუხედავად ამგვარი მსოფლმხედველობისა, ქართველი სამღვდელოება მიიჩნევდა, რომ დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო იყო არა შეიარაღებული აჯანყება, არამედ საყოველთაო არჩევნებისა და პარლამენტარიზმის გზა. არჩევნების უფლებების მოსაპოვებლად კი პოლიტიკური გაფიცვის გზას

ისახავდა (77,1-3). მებრძოლი სამღვდელოება, რომლისთვისაც უწმიდესი სინოდი ყოველგვარ ზნეობრივ ავტორიტეტს მოკლებულ, ბიუროკრატიის სამარცხვინო აპარატს წარმოადგენდა, თვლიდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საფუძველი მხოლოდ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს „დუმის“ მიერ გამოცხადებული სინდისის თავისუფლება უნდა გამხდარიყო. სამღვდელოებას გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ სწორედ სახელმწიფო სათათბირო დაიფარავდა საქართველოს ეკლესიას უწმიდესი სინოდის „აპეკუნობისაგან“ (76,10). ამიტომაც იყო, რომ 1906 წლის 6-18 ივნისს გამართულ ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა ყრილობამ დღის წესრიგში უპირატესად მიიჩნია მიმართვა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსადმი. ყრილობა, რომელსაც ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი უნდა განეხილა, მით უფრო საჭიროდ თვლიდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსადმი მიმართვის გაგზავნას, რამდენადაც უწმიდესი სინოდის წევრები და მისი ჯაშუშები პროვოკაციულ აზრს ავრცელებდნენ იმის შესახებ, რომ საქართველოში ავტოკეფალიის აღსადგენად აზვირთებული მოძრაობა თითქოს ორი ეპისკოპოსისა და სამღვდელოების მცირე ჯგუფის საქმე იყო (76,10).

ვასილ კარბელაშვილი, როგორც ამ ყრილობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, 1906 წლის 30 მაისის თბილისის საქალაქო ეკლესიათა VII საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოების შეკრებაზე ერთსულოვნად იქნა არჩეული დელეგატად (136,28). დეპუტატთა ყრილობის ოქმის მასალები, რომელსაც თან ერთვის 40 კაცისაგან შედგენილი დეპუტატთა სია, გადაეცა საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის საიდუმლო საქმეთა განყოფილებას. ყრილობის დეპუტატებს: დიმიტრი ხახუტოვის, მიხეილ მძინაროვის, გიორგი კარიბოვის, იროდიონ ოქროპირიძის, პეტრე კაპანაძის, იოსებ ნიჟარაძის, ეპიფანე სხირტლაძის, ქრისტეფორე ციცქიშვილის და სხვათა შორის, 21-ე ნომრით დასახელებულია თბილისის წმიდა სამების ეკლესიის მოძღვარი ვასილ კარბელაშვილი (136,10).

დეპეშაში, რომელიც ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობამ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს გაუგზავნა, აღნიშნული

იყო, რომ ბარბაროსულად აოხრებული საქართველოს სამღვდელოება ყურს უგდებდა რა პარლამენტის მძლავრ ხმას, იმედოვნებდა, რომ რუსეთის ყველა მოქალაქის ცხოვრებაში ფაქტიურად განმტკიცდებოდა ყოველნაირი თავისუფლება, მათ შორის სინდისის თავისუფლება, რასთანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი და რითაც ეკლესია საბოლოოდ განთავისუფლდებოდა სახელმწიფოს ზეგავლენისაგან. სახელმწიფო სათათბიროს ისინი სთხოვდნენ ასევე სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმებას, რომელიც მიუღებელი იყო ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის (45,9-10).

ყრილობაზე განხილულ მრავალ საკითხთა შორის, საყურადღებოა 15 ივნისის №29 დადგენილება, რისი ძალითაც, ეპისკოპოს პეტრეს (კონჭოშვილი), ეპისკოპოსებთან: ლეონიდესთან (ოქროპირიძე) და გიორგისთან (ალადაშვილი) ერთად, დაევალათ წარსდგომოდნენ კავკასიის მთავარმმართებელს, ვორონცოვ-დაშკოვს და მოეთხოვათ ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტის დაჩქარება (136,108). ეპისკოპოსები მართლაც იყვნენ მთავარმმართებელთან, მაგრამ მისგან ვერაფერი სანუგეშო მოისმინეს – „სამღვდელოება საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სულ ტყუილი იყო მთავარმმართებელთან და ობერ-პროკურორთან ხეტიალი, რომ გამარჯვების მოსაპოვებლად თვით სამღვდელოების ორგანიზაციული შეერთება იყო აუცილებელი და ჩვენს ეპისკოპოსებს ამაზე უნდა გაემახვილებინათ ყურადღება“ (77,11).

1906 წლის 6-18 ივნისის ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატთა ყრილობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი – საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და მასთან დაკავშირებული საკითხები, ყრილობის ოქმში 18 ივნისს განხილული №51 დადგენილებით ფიქსირდება, რომელიც გამიჯნული იყო სხვა საკითხებისაგან და არ იყო კრების საერთო დადგენილებებთან აკინძული. ოქმში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი ხუთი საკითხი უნდა მოხსენებოდა ახალ ეგზარქოსს მთავარეპისკოპოს ნიკონს (136,108).

ყრილობაზე მწვავე მსჯელობის საგნად იქცა ახალი ეგზარ-

ქოსის, მთავარეპისკოპოს ნიკონის ჩამოსვლა. ყოფილი ეგზარქოსის, ნიკოლოზის (ნალიმოვი) (1905-1906) საქართველოდან გაწვევის შემდეგ, ქართველ სამღვდელოებას იმედი გაუჩნდა, რომ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურ უფლებებს მალე აღიდგენდა, ამიტომ ახალი ეგზარქოსის დანიშვნა მეტად არაბუნებრივად ეჩვენათ (15,116). ცხარე კამათის შემდეგ, ყრილობამ გადაწყვიტა, რომ დეპეშა გაეგზავნათ სახელმწიფო საბჭოს წევრისათვის, ი. გ. ჭავჭავაძისათვის, და ეთხოვათ მისთვის, გაეფრთხილებინა მთავარეპისკოპოსი ნიკონი არ ჩამოსულიყო საქართველოში. ამასთანავე, დეპეშის შინაარსი ი. გ. ჭავჭავაძეს უნდა ეცნობებინა სინოდის თავმჯდომარისათვის, მიტროპოლიტ ანტონისათვის. პროტესტის გაგზავნა გადაწყდა უშუალოდ მთავარეპისკოპოს ნიკონის მიმართაც. საპროტესტო წერილი, რომელსაც ერთსულოვად შეუერთდა ვასილ კარბელაშვილის ხმაც, ახალ ეგზარქოსს აფრთხილებდა, რომ არ მიეღო იმ ეკლესიის უფროსობა, რომელიც საეკლესიო კანონმდებლობით არ ექვემდებარებოდა რუსეთის სინოდს და არ აემხედრებინა ჯერ კიდევ მართლმადიდებლად დარჩენილი ქართველი ერი (69,3-4). საქართველოს სამწყსო მისთვის უცხო იყო და ამიტომ კარგად უნდა სცოდნოდა, როგორ მოიქცეოდნენ ცხოვარნი, როდესაც მწყემსი მოდიოდა არა კარით კერძო, არამედ მალვით (69,1-4).

ყრილობაზე ბოიკოტი გამოუცხადეს ახალ ეგზარქოსს და გადაწყვიტეს, არავითარ საქმეზე მასთან არ მისულიყვნენ (32,2). უნდა აღინიშნოს, რომ ყრილობაზე ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია დაიკავა კალისტრატე ცინცაძემ. მისი აზრით, რადგან ახალი ეგზარქოსი თავისი ნებით არ ჩამოდიოდა და ის სახელმწიფოს ბრძანებასა და უწმიდესი სინოდის განკარგულებას ასრულებდა, ამიტომ, უფრო მართებული იყო საპროტესტო წერილი უწმიდესი სინოდისათვის გაეგზავნათ, ხოლო მისი ასლი მთავარეპისკოპოსი ნიკონისათვის (15,116). ყრილობამ მისი აზრი არ გაიზიარა.

მიუხედავად ქართველი სამღვდელოების დიდი წინააღმდეგობისა, ეგზარქოსი ნიკონი 1906 წლის 26 აგვისტოს მაინც ჩამოვიდა საქართველოში. გარკვეული დათმობების ფონზე, რომელიც

უწმიდესი სინოდისაგან მოდიოდა დროდადრო განკარგულებების სახით, დაფარული წინააღმდეგობა იყო ჩადებული ავტოკეფალური მოძრაობის ჩასახშობად. ეგზარქოსი ნიკონი კი, წინამორბედი ეგზარქოსების მსგავსად, ხელს უწყობდა რუსული საქმის აღსრულებას საქართველოში და ყოველნაირად ხელს უშლიდა ავტოკეფალისტების საქმიანობას.

იმპერატორ ნიკოლოზ II სპეციალურ ბრძანებას, რომლის ძალითაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა უნდა გადასცემოდა სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებას, მებრძოლი ქართველი სამღვდელოება არაერთგვაროვნად გამოეხმაურა. სამღვდელოების ერთი ჯგუფი, კალისტრატე ცინცაძის მეთაურობით, მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო ძალისხმევა, რათა რუსეთის საეკლესიო კრებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი არ განეხილა, რადგანაც, უწმიდესი სინოდის მღვდელმთავრების უარყოფითი განწყობილების ფონზე ავტოკეფალიის საკითხის დადებითი გადაწყვეტა შეუძლებელი იყო (15,119). მათი აზრით, ავტოკეფალიის საკითხის განხილვა იქამდე უნდა გადადებულიყო, სანამ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების საქმე არ გაირკვეოდა. „...იმისათვის, რომ ეკლესია განთავისუფლებული იქნას სახელმწიფო ბიუროკრატიული ტყვეობისაგან, საჭიროა რუსი და ქართველი სამღვდელოების ერთსულოვანი და მეგობრული თანამშრომლობა", - აღნიშნულია სამღვდელოების ამ ჯგუფის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში სათაურით: «რა ტაქტიკა უნდა გვქონდეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისას» (130), - „...ამასთანავე, თუ რუსული ეკლესია არ განთავისუფლდება საერო ხელისუფლებისაგან, ქართული ეკლესიის თავისუფლებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნება. გარდა ამისა, საქართველოს ეკლესიას კიდევ ერთი ამოცანა აქვს გადასაჭრელი, ესაა რუსული ეკლესიისაგან განთავისუფლება. ამ უკანასკნელის გადასაწყვეტად კი მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმება დასჭირდა არა რუსულ ეკლესიას, არამედ რუსულ სახელმწიფო ბიუროკრატიულ აპარატს, რომელსაც თავიდანვე ჰქონდა განზრახული საქართველოს გარუსება" (130).

ავტოკეფალისტების აღნიშნული ჯგუფის წევრები კალისტრატე ცინცაძის ინიციატივით, გამოსთქვამდნენ იმედს, რომ „თავისუფალი რუსეთის ეკლესია სიხარულითა და სიყვარულით გაუშვებდა ასწლიანი ტყვეობისაგან საქართველოს ეკლესიას". „უადგილო სიჩქარით საქმე შეიძლება გაფუჭდეს, საჭიროა დაფიქრებული და ხანგრძლივი მუყაითი მუშაობა დასახული მიზნის მისაღწევად". - მითითებულია ზემოაღნიშნულ დოკუმენტში.

სამღვდელოების ამ ჯგუფის ტაქტიკა, რომელიც ავტოკეფალიის სრულ აღდგენას ეტაპობრივად განიხილავდა, ითვალისწინებდა, რომ რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას თავდაპირველად უნდა გადაეწყვიტა საქართველოს საეგზარქოსოს გამოყოფა სამიტროპოლიტოს სახით, მიტროპოლიტი კი შერჩეული ყოფილიყო თვით სამწყსოს მიერ, რომელსაც კარგად ეცოდინებოდა ქართული ენა და თუნდაც არ ყოფილიყო ეროვნებით ქართველი (15,125).

ზემოაღნიშნული დოკუმენტი <<რა ტაქტიკა უნდა გვქონდეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისას>>, 1906 წლის 20 სექტემბერს, ამ ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, ანტონ თოთიბაძეს იეროთეოზ აივაზოვისთვის გადაუცია, ამ უკანასკნელს კი ვასილ კარბელაშვილისათვის მიუტანია. დოკუმენტზე, რომელიც რუსულ ენაზეა დაბეჭდილი, ვასილ კარბელაშვილს წარწერა გაუკეთებია ქართულად, სადაც ჩამოთვლილია სამღვდელოების ამ ჯგუფის წევრები: ამბროსი ხელაია, კალისტრატე ცინცაძე, ანტონ თოთიბაძე, ნიკიტა თალაკვაძე, მარკოზ ტყემალაძე, სერგო გორგაძე, ბესარიონ ჯაში, კორნელი კეკელიძე, ქრისტეფორე ციცქიშვილი და გიორგი გამრეკელი (130). ვასილ კარბელაშვილის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება სამღვდელოების ამ ჯგუფის მოსაზრებებთან დაკავშირებით კარგად ჩანს მის პირად არქივში დაცულ ერთ-ერთ ხელნაწერ-ავტოგრაფში, რომელიც ზემოგანხილული დოკუმენტის პასუხად დაუწერია (117). ხელნაწერიდან ნათელია, რომ ვასილ კარბელაშვილი სამღვდელოების იმ ჯგუფს განეკუთვნებოდა, რომელიც გადაჭრით მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადაუდებელ განხილვას. იგი აღნიშნული საკითხის განხილვის გადადებას საქმის ჭეშმარიტი არსიდან გადახვევად

მოიაზრებდა, რაც საბოლოო ჯამში ავტოკეფალიაზე უარის თქმის ტოლფასი იყო, და მიიჩნევდა, რომ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა სწორედ სამღვდელოების ამ ჯგუფის წევრებს უნდა დაკისრებოდათ, რადგანაც ისინი არ მალავდნენ თავიანთი აზრის უპირატესობას და ცდილობდნენ იგი მთელი სამღვდელოების და ხალხის ნებად გამოეცხადებინათ (117).

საერთო ეროვნული ინტერესების გაყოფა, სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა საზოგადო ქართულ საქმეს და, რაც ყველაზე დამაფიქრებელი იყო, ქართველ სამღვდელოებაში განხეთქილებას სთესდა. ასეთი გარემოება, ბუნებრივი იყო საერთო საქმეს აზარალებდა და რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკისათვის ერთობ მომგებიან გარემოებას ჰქმნიდა.

ეგზარქოს ნიკონის საქართველოში ჩამოსვლამდე, 1906 წლის 23 აგვისტოს ბრძანებულებით, ქართველი სამღვდელოების მღელვარების დასაცხრომად, რუსეთის ხელისუფლება ქართველობას ჰპირდებოდა ცვლილებების შეტანას როგორც საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობაში, ასევე სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში. სასწავლებლებში უნდა გაძლიერებულიყო ქართული ენის სწავლება და სღვთისმეტყველო საგნების (საღმრთო ისტორიის, კატეხიზმოსა და საეკლესიო ტიპიკონის) ქართულ ენაზე სწავლება, ყურადღება უნდა მიქცეოდა ქართული გალობის შესწავლის საქმეს (86,3).

ზემოაღნიშნული ბრძანებულების გამოძახილი იყო ვასილ კარბელაშვილის თხოვნა უწმიდესი სინოდის ობერპროკურორის სახელზე 1907 წლის 22 აგვისტოს, სადაც იგი ამ უკანასკნელს შეახსენებდა ჯერ კიდევ 1903 წლის 18 მაისით დათარიღებულ მის განცხადებას საღვთო შჯულის სწავლების ნებართვის შესახებ თბილისის რომელიმე სასწავლებელში (90,35).

1906 წლის 23 აგვისტოს ბრძანებულება რომ მორიგი ფანდი იყო რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ავტოკეფალისტებთან ბრძოლაში, კარგად გამოაჩინა შემდგომი პერიოდის მოვლენებმა. კერძოდ, 1907 წლის დეკემბრის თბილისის სამღვდელოების დეპუ-

ტატთა კრებაზე, რომლის უმთავრეს საკითხს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა წარმოადგენდა, უნდა განხილულიყო აგრეთვე სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში სადვთისმეტყველო საგნების ქართულ ენაზე სწავლების საკითხი. ეგზარქოსმა ნიკონმა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული კრების დადგენილებები არ დაამტკიცა (65,3).

მიუხედავად ამისა, 1907 წლის დეკემბრის ზემოაღნიშნული კრების მნიშვნელობას ხაზს უსვამდა გაზეთი „Закавказье" და აღნიშნავდა, რომ მართალია კრებაზე ავტოკეფალიის საკითხის და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა არ მოხერხდა, მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდენად, რამდენადაც „ქართველმა სამღვდელოებამ კიდევ ერთხელ მტკიცედ გამოაცხადა თავისი ნება - იხილოს თავისი ეკლესია თავისუფალი და დამოუკიდებელი და, რომ არ აპირებდა იგი დასახული მიზნიდან გადახვევას" (88,3).

1908 წლის 28 მაისს, ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან დაკავშირებით, იმდროინდელ რუსულენოვან პრესაში, განსაკუთრებით გაზეთ „Кавказ"-ში, ათასგვარი ცილისმწამებლური სტატია დაიბეჭდა ქართველი სამღვდელოებისა და საზოგადოდ ქართველი ერის მიმართ (87,3). ეგზარქოსის მკვლელობის საფუძვლად ისინი ქართველი სამღვდელოების მიერ გაგზავნილ საპროტესტო წერილს მიიჩნევდნენ, რომელიც 1906 წლის 8-16 ივნისის ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრებამ გაუგზავნა მთავარეპისკოპოს ნიკონს საქართველოში ჩამოსვლამდე. ქართველი სამღვდელოების ეს პროტესტი და ეგზარქოსის მკვლელობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ქართველ და რუს ხალხებს შორის ნაციონალური შუღლის გასაღვივებლად გამოიყენა. რუსი შოვინისტები ქება-დიდებას ასხამდნენ ეგზარქოს ნიკონის "ველიკოდერჟავულ" საქმიანობას (6,197). ამ მოვლენას ფართოდ გამოეხმაურა ვასილ კარბელაშვილი, რომელმაც ღია წერილით მიმართა სინოდალური კანტორის წევრებს: გორის ეპისკოპოსს, ყოვლადსამღვდელო ანტონს (გიორგაძე), არქიმანდრიტ პიროსს (ოქროპირიძე) და დეკანოზ მარკოზს (ტყემალაძე) (105,129-130). წერილში ვასილ კარბელაშვი-

ლი ამხელდა ზემოაღნიშნულ პირებს იმ სიჩუმისა და გულგრილი დამოკიდებულების გამო, რაც გამოიჩინეს მათ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის დროს გაზეთებში ატეხილი უსამართლო აურზაურისა და ცილისწამებების გამო, რომ ამ გაზეთებში შეურაცხოფდნენ ქართველ ერსა და სამღვდელოებას და ნაცვლად იმისა, რომ, როგორც სინოდალური კანტორის წევრებს, ხმა აღემაღლებინათ ამ უსამრათლობის წინააღმდეგ, დადუმებულები იყვნენ. „...თუ თქვენ დაიდუმებთ“,- აღნიშნულია წერილში - „მაშასადამე ადასტურებთ ამ ცილისწამებასა ... ჩვენ გთხოვთ მოითხოვოთ სამართლიანად და კანონიერად მოახსენოთ მეფის მოადგილეს ... სამუდამოდ მოსპოს ამ თემაზე წერა და უბრალოდ ხალხის აშლა ... ყოველი ღონე იხმაროთ ამ ჭუჭყის მოსარეცხად, რომელსაც ძალად გვახვევენ ქართველ სამღვდელოებას, მის სამწყსოსა და მთელ ქართველობასა!“ (105,130). ლია წერილს ხელს აწერდა ვასილ კარბელაშვილი მღვდლების მინდობილობით, როგორც „ვინმე მოხუცესი“.

მართლაც, ეგზარქოსი ნიკონის მკვლელობის შემდეგ, გაზეთებში ატეხილი აურზაურის გამო, ქართველმა სამღვდელოებამ მოიწვია საგანგებო კრება, რომელმაც განიხილა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის პურიშკევიჩის ცილისწამება ქართველი სამღვდელოების მონაწილეობის შესახებ ეგზარქოსის მკვლელობაში და გამოიტანა დადგენილება აღძრულიყო საჩივარი დეპუტატ პურიშკევიჩის წინააღმდეგ. აღნიშნული საკითხი დაევალა იოსებ ჩიჯავაძეს (66,3).

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ, იმპერიის მასშტაბით დაწყებული შავი რეაქციის ხანას ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ფაქტმა უფრო მძაფრი ხასიათი შესძინა. გარდა იმისა,რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა და იგი კვლავ საქართველოს საეგზარქოსოს სტატუსით არსებობდა, დაიწყო ავტოკეფალური მოძრაობის მესვეურთა რეპრესიები. 1906 წლის თებერვალში, საქართველოში გადასახლებიდან ახლადდაბრუნებული ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი), რომელიც ავტოკეფალური მოძრაობის სულისჩამდგმელი იყო, კვლავ რუსეთში გადაიყვანეს. რეპრესიების მსხვერპლნი

აღმოჩნდნენ აგრეთვე ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე), არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია), დეკანოზი კორნელი (კეკელიძე) და სხვანი. ასეთ მძიმე ვითარებაში, ქართველმა სამღვდელოებამ მაინც არ დაკარგა მშობლიური ეკლესიის განთავისუფლების იმედი, პირიქით, მათი ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა. ავტოკეფალისტების ბრძოლა ამ პერიოდისათვის მეტად ფრთხილ და გონივრულ პოლიტიკას საჭიროებდა.

ეპისკოპოს ლეონიდესა (ოქროპირიძე) და ვასილ კარბელაშვილის ერთობლივი თანამშრომლობა კარგად ჩანს ეპისკოპოს ლეონიდეს მიერ 1908 წლის 4 ნოემბერს მიწერილ წერილში ვასილ კარბელაშვილისადმი. წერილში ეპ. ლეონიდე სთხოვს მონაწილეობა მიიღოს მისი ბიძის, ალექსანდრე ეპისკოპოსის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით აღსავლენ წირვაში შიო-მღვიმის მონასტერში, სადაც მათ საშუალება მიეცემოდათ „ბევრ რამეზე მოეჭუკჭუკებინათ გულდასმით“ (133).

საქართველოს ეკლესიის თავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში, სადაც სამღვდელოებასთან ერთად, ქართველი საზოგადოებრიობის თითქმის ყველა ფენა იღებდა მონაწილეობას, ვასილ კარბელაშვილი მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევდა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მიერ გაწეულ ღვაწლს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამოკიდებულება თერგდალეულთა ლიდერის, ი. ჭავჭავაძის მიმართ. როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძეს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში. ავტოკეფალური მოძრაობის აღნიშნულ პერიოდში (1905-1907 წწ.), ი. ჭავჭავაძე რუსეთის იმპერიის უმაღლესი კანონსათათბირო ორგანოს - სახელმწიფო საბჭოს წევრი გახლდათ, რომელმაც უშიშრად გამოსთქვა აზრი იმ რეპრესიებისა და რეაქციის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთის პირველი რევოლუციის დაღმავლობის პერიოდში გამეფდა ქვეყანაში და მიუთითა, რომ მხოლოდ განაპირა მხარეების ინტერესთა გათვალისწინება - დაკმაყოფილებას შეეძლო დაემყარებინა ქვეყანაში სიმშვიდე (14,184). ილია ჭავჭავაძის მუხანათური მკვლელობის შემდეგ, ვასილ კარბელაშვილმა გამოსათხოვარ სიტყვაში ნათლად წარმოაჩინა თავისი

მოწიწება და პატივისცემა უდიდესი მამულიშვილის მიმართ (129). 1907 წლის 8 სექტემბრითაა დათარიღებული ვასილ კარბელაშვილის მიერ წარმოთქმული გამოსათხოვარი სიტყვა, სადაც მას ქრისტიანული მოძღვრების ფონზე აქვს გაშლილი ი. ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება. გამოსათხოვარი სიტყვა საგულისხმოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ვასილ კარბელაშვილმა ქართველ საზოგადოებას მოუწოდა განსაკუთრებული სიფრთხილისაკენ. იგი აღნიშნავდა: „...სამარცხვინოა ჩვენთვის კალმის ბოროტად მოხმარება და დაუფიქრებლად ჰაზრთა გადმოშლა, რასაც თვით განსვენებული ილია დიდი სიფრთხილით ეპყრობოდა! ამისთანა კაცის მოკვლა, მიუტევებელი და შეუნდობელი ცოდოა ... სადაც ილია აღარ დაინდეს, ვის წინდა უნდა ხელი შეუკრთდეს იმ მტარვალს?...“ (129).

ცნობილია, რომ 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, ქართველი სამღვდელოების მოთხოვნა ეროვნული ეკლესიის თავისუფლების მოპოვების შესახებ, იმდროისათვის არსებული თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერით სარგებლობდა. მაგრამ მათი შეხედულებები ავტოკეფალიის ზოგიერთ საკითხებში, პარტიათა პოლიტიკური მრწამსიდან გამომდინარე, გარკვეულწილად განსხვავდებოდა. განსაკუთრებით ხაზგასასმელია სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია, რომელიც მკვეთრად რადიკალური იყო. რამდენადაც ისინი ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნას არ აყენებდნენ და ის რუსეთის საერთო რევოლუციური მოძრაობისათვის საზიანოდ მიაჩნდათ, ხოლო ავტოკეფალური მოძრაობა ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ გადადგმულ ნაბიჯად, ამდენად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას არა თუ არ თანაუგრძნობდნენ, არამედ მის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ, რეაქციონერად, კლერიკალად ნათლავდნენ და მასხრად იგდებდნენ ყველას, ვინც ავტოკეფალიის იდეას ემხრობოდა (22,109). სოციალ-დემოკრატები ხელაღებით უარყოფდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას მისი ისტორიული საფუძელით. ამ უკანასკნელში ეკლესიისათვის კუთვნილი ქონების დაბრუნების საკითხი იგულისხმებოდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ყოველი ქონება მხოლოდ და მხოლოდ ხალხის

საკუთრება იყო და საჭიროდ თვლიდნენ ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესიისაგან გამოყოფას.

სოციალ-დემოკრატების ამგვარი განწყობა რომ უარყოფით ზეგავლენას ახდენდა ხალხის მასებზე, კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ქართველ სამღვდელოებას, ამიტომ ისინი თავიანთი მოღვაწეობით ხელს უწყობდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მცდარი შეხედულებების გაქარწყლებას. საინტერესოა, როგორი იყო საკუთრივ ვასილ კარბელაშვილის დამოკიდებულება მათ მიმართ, რაც მკაფიოდ ჩანს მის წერილში „მწარე ფიქრები“ (124). წერილი 1908 წლის 15 თებერვლითაა დათარიღებული. სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციას იგი მეტად უარყოფითად აფასებდა და აღნიშნავდა, რომ 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში სოციალ-დემოკრატებმა მხარი არ დაუჭირეს სამღვდელოებას და სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ მათი მისწრაფება, ამკობინეს „კუჭის უფლება“, უკუაგდეს საკუთარი სულიერი პატრონობა და არ ინდომეს თავისუფლება (124). წერილში ვასილ კარბელაშვილი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა სასულიერო სემინარიადამთავრებულები იყვნენ. იგი აკრიტიკებდა მათ მიერ გატარებულ პოლიტიკას, რაც კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაში გამოიხატებოდა და, რის შედეგადაც ქართველი ქართველს ჰკლავდა, ერი იღუპებოდა, საქართველოს მტრები კი ხელს ითბობდნენ ამ გახურებულ ჭიაკოკონაზე - „...ვინ შესძინა და შესძლევა ქართველობასა ესეთი სიკეთე? ვინ შეუგინა მათ მამა-პაპეული შჯული ... თუ არა იმ ვაჟბატონებმა, რომელნიც მებაირახტრეთა ბუნდრუკს უკმევდნენ და მარქსზედ ლოცულობდნენ. შეუგინეს ჩვენს ხალხს ჯვარი, ხატი, სახარება, სინდისი, პატიოსნება, ზნეობა, აჰყარეს პირადი კაცური ღირსება და ქალთა ნამუსი იმ უწვრთელმა შეილებმა...“ (124) - აღნიშნავდა იგი და წერილის ბოლოს დასძენდა, რომ ბეჩავ ხალხს, რომელთა ქომაგნი ვითომდა სოციალ-დემოკრატები გამოვიდნენ, ისევე ის „მატყუარა“, „მძარცველი“ მღვდელი შერჩა უკეთეს მეგობრად, ვიდრე ის მისთვის თავდადებული ამხანაგი! (124).

ნიშანდობლივია, რომ ქართველი სამღვდელოების პროგრა-

სულად მოაზროვნე ნაწილმა თავიდანვე სწორად განსაზღვრა სოციალურ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკის უნიათობა, და არა მხოლოდ სარწმუნოებრივ საკითხებთან მიმართებაში, რაც შემდგომი პერიოდის მოვლენებმა ცხადჰყვეს.

ისტორიის წარსული გაკვეთილების გათვალისწინებით ვასილ კარბელაშვილი იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ ის პოლიტიკური პარტია, ან პიროვნება, რომელიც წინ წაუძღვებოდა ერს, სახელმწიფოს და მის მებაირახტრეობას დაისახავდა მიზნად, ჯერ თვითონ უნდა ყოფილიყო აღზრდილი იმ ეროვნულ მისწრაფება-მიდრეკილებებში, ანგარიში გაეწია ერის სულიერ-ხორციელი მდგომარეობისათვის და ისე ჩასდგომოდა სათავეში ქვეყანას. „...მიჩვენეთ ერთი ურწმუნო ისტორიული პირი - მეფე თუ სარდალი საქართველოს ისტორიაში, რომ სათავეში ჩასდგომოდეს ჩვენს მორწმუნე ერსა და გამარჯვებული გამოსულიყოს გაჭირვებიდან? ... როდესაც სჯული შედრკა, ხალხის გულიც თან გაჰყვა და ეროვნული სამშობლოს საქმეც მაშინ აირია! ... ჩვენს ილიას რაღა სიტყვები დააკვდა ტუჩებზედ <<ბიჭო რას შერები?>> - აი, სად მივიდა ჩვენი ახალი კულტურა და განათლება ... დაიკარგა სარწმუნოება, შჯული, ზნეობა, ზრდილობა, თავაზიანობა და მორიდება და მოჰყვა მას ენის დაკარგვა და ეროვნული საქმის დაქვეითება“ - აღნიშნავდა იგი თავის ჩანაწერებში ეროვნული აღზრდის შესახებ (125).

ქართველი სამღვდელოების მოწინავე ჯგუფი საეპარქიო კრილობებზე აქტიურად სვამდა საკითხს გადასახლებაში მყოფი ავტოკეფალისტების განთავისუფლების შესახებ. ვასილ კარბელაშვილი ამ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდა და აგროვებდა ხელმოწერებს გასაგზავნ პეტიციებზე. მის პირად არქივში დაცული დოკუმენტი, რომელიც 1914 წლის 7 თებერვლით თარიღდება, ზემოაღნიშნული შინაარსის მომცველია, სადაც საქართველოს ეპარქიალური კრილობის დეპუტატები თხოვნით მიმართავენ საქართველოს ეგზარქოსს ალექსი II (მოლჩანოვი) (1913-1914), ეპისკოპოსი კირიონის, ეპისკოპოსი დავითის, და არქიმანდრიტი ამბროსის სამშობლოში დაბრუნების თაობაზე (102).

1916 წლიდან, ქართველი სამღვდელოების ბრძოლა ავტოკე-

ფალიის აღდგენისათვის უფრო მეტად გააქტიურდა, რასაც ხელი შეუწყო იმპერიაში შექმნილმა რთულმა სიტუაციამ. მდგომარეობის სირთულე გამოწვეული იყო პირველ მსოფლიო ომში რუსეთის მარცხით, სადაც ამ უკანასკნელმა დიდი მატერიალური და მორალური ზარალი განიცადა, და, რამაც ხალხის უკიდურესი გაჭირვება კიდევ უფრო გააღრმავა. იმპერიაში რევოლუციური აღმავლობის ახალი ტალღა აზვირთდა. ქართველი სამღვდელოება ცდილობდა ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და მთელი სიმძაფრით დააყენა ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი (9,170). გაისმა სამღვდელოების მოწოდება შემდგომი ბრძოლის გაძლიერებისათვის, რომელმაც ეკლესიის თავისუფლებისათვის ბრძოლა მთელი ერის საზრუნავად გამოაცხადა. იმპერიის სასულიერო უწყება კი ქართველი სამღვდელოების მოძრაობის გაძლიერების საპირისპირო ღონისძიებების გატარებას ლამობდა. 1916 წლიდან სინოდში დაიწყო ახალი საეკლესიო რეფორმის შემუშავება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმება და მის ნაცვლად კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსება. რეფორმაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ეპარქიებისა და საეპისკოპოსოების რაოდენობის გაზრდას, რაც მიღებულ იქნა კიდეც 29/II–1/III №1463 დადგენილებით (9,172).

ვასილ კარბელაშვილი ფართოდ გამოეხმაურა აღნიშნულ დადგენილებას და იმ დიდი განსაცდელის შესახებ მიუთითა, რაც ელოდებოდა საქართველოს ეკლესიას ბრძანების სისრულეში მოყვანის შემთხვევაში (127). გუბერნიული ავტონომიური მმართველობა, რომლის სათავეში რუსი მიტროპოლიტი იქნებოდა, საბოლოოდ მოსპობდა საქართველოს ეკლესიის იმ მცირედ უფლებებსაც, რაც გააჩნდა საქართველოს საეგზარქოსოს არსებობის პირობებში. მან გაილაშქრა სამღვდელოების იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ უმჯობესი იყო პირველ ეტაპზე მიეღოთ ავტონომია, ხოლო შემდეგში, მათი შეილების გადასაწყვეტი გამხდარიყო ავტოკეფალიის საკითხი. ქართველი ერის არსებობა გუბერნიული ავტონომიის მიღების შემთხვევაში დიდი საფრთხის წინაშე დგე-

ბოდა, ამიტომაც, ვასილ კარბელაშვილის ღრმა რწმენით, მთელ ერს უნდა აემაღლებინა ხმა და ინტელიგენციის წინამძღოლობით მოეთხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ისტორიულ-ტერიტორიულ საზღვრებში. მას ბრძოლის გზად საეგზარქოსო და საეპარქიო კრებების მოწვევა ესახებოდა, სადაც ქართველ სამღვდელოებას მტკიცედ უნდა მოეთხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ისტორიულ-ტერიტორიულ საზღვრებში და არა გუბერნიული ავტონომია (115; 127). ვასილ კარბელაშვილი მიანიშნებდა, რომ საჭირო იყო სამღვდელოების აზრის გაერთიანება-შეკავშირება და ყურადღებას ამახვილებდა „მიტროპოლიტის მოტრფიალე“ სამღვდელოების იმ ჯგუფზე, რომლებმაც კ. ცინცაძის მეთაურობით, 1906 წელს, თავიანთი განსაზღვრული პოზიცია დააფიქსირეს ავტოკეფალიის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით. 1916 წელსაც, ვასილ კარბელაშვილი მიიჩნევდა, რომ 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის ჩაფუშვა გარკვეულწილად სამღვდელოების ამ ჯგუფის დანაშაული იყო, რაც უნდა ეღიარებინათ და ეხლა მაინც შეერთებოდნენ ქართველი სამღვდელოების საერთო მოთხოვნას (127).

რუსეთის უზარმაზარი იმპერიის „ველიკოდერჟავული“ ინტერესების სამსახურში მყოფი უწმიდესი სინოდი, რომელსაც ფაქტიურად დაკარგული ჰქონდა წმინდა საეკლესიო დაწესებულების ხასიათი, ცხადია ვერ იმოქმედებდა მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობის ჩარჩოებში. ის ეცდებოდა მიეჩქმალა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის წამოყენების მართებულობა და მსოფლიო მართლმადიდებელი პატრიარქები დაერწმუნებინა ქართველი სამღვდელოების მოთხოვნათა აბსურდულობაში. ვასილ კარბელაშვილი მიიჩნევდა, რომ ასეთ შემთხვევაში, საქართველოს ეკლესიის თავისუფლება ხელმწიფე იმპერატორს, მირონცხებულ მეფეს უნდა დაეცვა, რადგანაც საეკლესიო კანონთა დარღვევა და მათი შეუსრულებლობა ხელმწიფის მართლმსაჯულების პრეროგატივა იყო (115). 1917 წლის თებერვლის რევოლუციის წინა პერიოდში, იმპერიის სამეფო კარზე შექმნილი კრიზისის გათვალისწინებით,

იმპერატორ ნიკოლოზ II პირადი სურვილის შემთხვევაშიც კი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ვერ გადაწყდებოდა. ამიტომ, ვასილ კარბელაშვილი უწმიდეს სინოდთან სრული დაუმორჩილებლობის გამოცხადებისა და თვითგამორკვევის გზას ემხრობოდა. „...ისლა დაგვრჩენია, რომ უნდა ჩვენ ჩვენი მამა-პაპეული შჯულით ვილოცოთ და აღვადგინოთ ის წესები და წიგნები, რითაც ლოცულობდნენ ჩვენი მამა-პაპანი" (115) – აღნიშნავდა იგი. ის მართებულად მიიჩნევდა რუსული ეკლესიისაგან სრულ განდგომილებას (სხიზმას) და მხოლოდ მართლმადიდებელ პატრიარქთა ერთგულებას, რაც გათვალისწინებული იყო კიდეც საეკლესიო კანონმდებლობით (127).

1916 წლიდან, საყურადღებოა ქართველი სამღვდელოების კონსოლიდაცია ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გარშემო. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამართულ სამღვდელოების ეპარქიათა კრებებზე მართლაც დიდი ეროვნულოვნება იგრძნობოდა ამ მეტად სასიცოცხლო საკითხის გადასაწყვეტად. 1916 წლის 15 ოქტომბერს შესდგა საქართველოს სამღვდელოების ეპარქიალური ყრილობა, სადაც ყრილობის მონაწილე დეპუტატების მიერ შედგენილ იქნა მოხსენებითი ბარათი კავკასიის მეფისნაცვლისადმი (103,107-108). ყრილობის მიერ მიღებულ დოკუმენტში ხაზგასმულია ორი მოთხოვნა: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და სკოლებში საღმრთო შჯულის ქართულ ენაზე სწავლების საკითხი. აღნიშნულ მოხსენებით ბარათს ხელს აწერდა ვასილ კარბელაშვილი და სხვა სამღვდელო პირები. ბარათში აღნიშნულია, რომ ყრილობაზე გამოტანილი გადაწყვეტილება ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე, გამოხატავდა მთელი ქართველი ერის ნებას, რაც კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტი იყო იმისა, რომ ქართველი სამღვდელოების სწრაფვა მშობლიური ეკლესიის თავისუფლებისათვის მთელი ერის საზრუნავად იყო ქცეული (103,108). ყრილობის მიერ მიღებული პეტიცია ქართველმა სამღვდელოებამ ეგზარქოს პლატონს (როჟდესტვენსკი) (1915-1917) გადასცა, რათა ამ უკანასკნელს მეფისნაცვალთან ეშუამდგომლა ავტოკეფალიის საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის. როგორც კალისტრატე

ცინცაძის მოგონებებიდან ირკვევა, აღნიშნული ბარათი ადრესატამდე თავის დროზე არ მისულა (15,181) გასაგები მიზეზების გამო. დოკუმენტის არსებობა მხოლოდ მაშინ გაახსენდა მეფისნაცვალს, როდესაც ის იმპერიის ინტერესების სამსახურისათვის დასჭირდა, კერძოდ, ტრაპიზონის ვილაიეთის შემოსაერთებლად. შესაბამისად, ტრაპიზონის მიტროპოლიტის დაქვემდებარება ეგზარქოსის ხელისუფლებისადმი მოითხოვდა საქართველოს ეგზარქოსისათვის მიტროპოლიტის ხარისხის მინიჭებასა და მის ავტონომიურ მღვდელმთავრად გამოცხადებას. მაგრამ, რადგანაც ტრაპიზონის ვილაიეთიდან იმპერიის ჯარები გამოვიდნენ, ავტონომიური სამიტროპოლიტოს შექმნის პროექტი განუხორციელებელი დარჩა (15,181).

ამრიგად, ვასილ კარბელაშვილის ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ცარიზმის პერიოდში ხასიათდებოდა მკვეთრი რადიკალურობითა და პრინციპულობით. მისი მოღვაწეობის აღნიშნულ პერიოდში თანაბარზომიერად იყო შეერთებული სიტყვა და საქმე. იმპერიაში გამეფებული მკაცრი რეაქციის მიუხედავად, იგი აწარმოებდა როგორც ლეგარულ, ისე იატაკქვეშა ბრძოლას არსებული რეჟიმის წინააღმდეგ.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების საქმეში, უპირველეს ყოვლისა, წინა რიგში აყენებდა მისი იურისდიქციის აღდგენას ისტორიულ-ტერიტორიალურ საზღვრებში, რაც საწინდარი უნდა გამხდარიყო იმპერიის ანტიეროვნული პოლიტიკის შედეგად დანაწევრებული საქართველოს აღდგენა-გამთლიანებისა.

საქართველოს ეკლესიის თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის გზაზე ვასილ კარბელაშვილი გამორიცხავდა ავტოკეფალიის საკითხის ეტაპობრივ გადაწყვეტას და გამოდიოდა სამღვდელოების იმ ჯგუფის წინააღმდეგ, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ბრძოლის პირველ ეტაპზე ავტონომიური მიტროპოლიის დაარსება გამართლებული იყო.

ვასილ კარბელაშვილი სამართლიანად მიუთითებდა, რომ ავტოკეფალიის მოპოვებისათვის ბრძოლის ტაქტიკა მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობის ჩარჩოებში უნდა მოქცეულიყო. მას ღრმად სწამდა, რომ მხოლოდ ასეთი გზით დაუბრუნდებოდა მშობლიურ

ეკლესიას ეროვნული შინაარსი და განმტკიცდებოდა მისი ისტორიული საფუძველი.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში, რომელიც იმავდროულად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, ვასილ კარბელაშვილი აუცილებელ ფაქტორად მიიჩნევდა მთელი ერის დარაზმვა-კონსოლიდაციას. ეკლესიას, უპირველეს ყოვლისა, მორწმუნე ერი შეადგენდა და სწორედ მას უნდა გამოეხატა თავისი ურყევი ნება.

ვასილ კარბელაშვილის მოღვაწეობაში მკვეთრადაა ხაზგასმული მისი უარყოფითი დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. იგი არ ამართლებდა პარტიის ძირითად კურსს, რაც სოციალური ინტერესების ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დაყენებაში გამოიხატებოდა და მართებულად ადანაშაულებდა მათ კლასობრივი დაპირისპირებისა და ძმათმკვლელობის გაღვივებაში. ეს უკანასკნელი კი სრულიად მიუღებელი იყო ქრისტიანული ნორმების თვალსაზრისით. მიუხედავად ასეთი პოზიციისა, ვასილ კარბელაშვილი ფართოდ იყო ჩაბმული საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში და ხალხთან საერთო ენის გამონახვისა და მასთან დაახლოების მიზნით, სოციალური გამოსვლების თანადგომასაც გამოხატავდა.

# თავი V

## ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მოღვაწეობა რუსეთის დროებითი მთავრობის მმართველობის პერიოდში (1917 წ. თებერვალი - 1918 წ. მაისი)

რუსეთის 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მეფის ხელისუფლება დაამხო, ხელისუფლების სათავეში კი დროებითი მთავრობა მოვიდა. ამ უკანასკნელმა თავისი ძალაუფლება მთელი იმპერიის მასშტაბით გაავრცო და ადგილებზე ზედამხედველობითი მართვა-გამგეობის საგანგებო კომიტეტები ჩამოაყალიბა. ამიერკავკასიაში ასეთ ორგანოს წარმოადგენდა ოზაკომი – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი. იგი წარმოადგენდა ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უმაღლეს ორგანოს, რომელიც რუსეთის დროებითი მთავრობის მითითებით ხელმძღვანელობდა.

ჯერ კიდევ რევოლუციის საბოლოო გამარჯვებამდე, ქართველმა სამღვდელოებამ იმპერიაში შექმნილი არეულობით ისარგებლა და კვლავ მწვავედ დააყენა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. 1917 წლის 30 იანვარს, საქართველოს ეგზარქოს პლატონის (როჟდენსტვენსკი) (1915-1917) წინაშე წარგზავნილ იქნა დეპუტაცია პროტოიერების ი. ოქროპირიძის, ვ. კარბელაშვილის, კეთილდამწყსველთა ს. დევიძის, დ. ჩხეიძის და კ. ანთაძის შემადგენლობით, რომელმაც საქართველოს ეგზარქოსს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გადაწყვეტილება გააცნო (9,175). რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კი, როცა რუსული მართლმადიდებლური ეკლესია სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისა და პატრიარქობის აღდგენის იმედით დროებითი მთავრობის სამსახურში ჩადგა, აღნიშნულ ფაქტს ქართველი სამღვდელოებაც დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა, რადგან მას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში რუსეთის ეკლესიის დახმარების იმედი ჰქონდა. მაგრამ, მოვლენების

შემდგომმა განვითარებამ, ქართველი სამღვდელოება დაარწმუნა, რომ რუსეთის ახალი მთავრობა საქართველოს ეკლესიის მიმართ ძალაში ტოვებდა უწმინდესი სინოდის კომპეტენციას.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი იმდენად იყო მომწიფებული ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში, რომ მისი მოთხოვნით მთელი საქართველო გამოდიოდა, განურჩევლად მათი პოლიტიკური მრწამსისა და სოციალური მდგომარეობისა. ქართულ პერიოდულ პრესაში იბეჭდებოდა მიმართვები ქართველი სამღვდელოების მიმართ – „...თქვენ გმართებთ მოხვიდეთ და გვეწინამძღვროთ და ჩვენც, აზნაური, გლეხი, თავადი თუ მოქალაქე, ივერიის ეკლესიის მთელი მრევლი მოგყვებით ყველგან, სადაც საჭირო ვიქნებით..." (79,2) – გაისმოდა ქართველი საზოგადოებრიობის მოწოდება. ასეთი ერთსულოვნება მეტად გამამხნევებელი და სტიმულის მომცემი იყო ქართველი სამღვდელოებისათვის, რამაც ხელი შეუწყო კიდეც 1917 წლის 12 მარტის ისტორიული მოვლენის დაგვირგვინებას, როდესაც ქართველმა სამღვდელოებამ სრული დაუმორჩილებლობა გამოუცხადა რუსეთის დროებით მთავრობასა და უწმიდეს სინოდს და მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა გამოაცხადა. კათალიკოს-პატრიარქის არჩევამდე, საქართველოს ეკლესიის მართვა ახლად არჩეულ დროებითი მმართველობის კომიტეტს დაევალა. ვასილ კარბელაშვილი, როგორც ერთ-ერთი აქტიური ავტოკეფალისტი,არჩეულ იქნა დროებითი მმართველობის შემადგენლობაში. ეს უკანასკნელი, სასულიერო პირების გარდა, საერო პირებსაც აერთიანებდა,რომლის თავმჯდომარედ დასახელებულ იქნა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ყოვლადსამღვდელო ლეონიდე (ოქროპირიძე) (10,87).

1917 წლის 12 მარტის ისტორიული მოვლენების შემდეგ, საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტი აქტიურად განაგრძობდა ბრძოლას ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის დაკანონებისა და უფლებების განმტკიცებისათვის. ამავე წლის 23 მარტს, საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის წევრები,მათ შორის ვასილ კარბელაშვილი,ეპისკო-

პის ანტონის ხელმძღვანელობით, ამიერკავკასიის კომისარიატის წევრებს კ. აბაშიძესა და მ. პაპაჯანოვს ეწვივნენ და საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე პროცესები გააცნეს (67,3). დეკლარაციაში, რომელიც საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრებმა ამიერკავკასიის კომისარიატის წევრებს წარუდგინეს, ხაზგასმული იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობა შემდეგ ტერიტორიალურ საზღვრებში: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმისა და ზაქათალის ოლქები, ბათუმისა და ბზოფის, აფხაზეთის (ბიჭვინთიდან გაგრამდე) რაიონები, სოჭის ოლქი (10,92).

საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის განსაზღვრა ტერიტორიალურ საზღვრებში ერთ-ერთი უმთავრესი იყო ავტოკეფალიის დაკანონების თვალსაზრისით. ამიტომაც იყო, რომ აღნიშნული საკითხი სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა საქართველოს ეკლესიასა და რუსეთის უწმიდეს სინოდს შორის. ბრძოლა გააქტიურდა მას შემდეგ, როდესაც ყოფილი საქართველოს საეგზარქოსოს რუსულმა სამღვდელოებამ 1917 წლის 27 მარტის სხდომაზე ამიერკავკასიის საეგზარქოსოს დაარსების გადაწყვეტილება მიიღო, რაც წინაპირობა იყო იმისა, რომ ამიერკავკასიის დროებითი მმართველობის კომიტეტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გამოეცხადებინა როგორც ეროვნული ავტოკეფალია. ცხადია, რომ ეროვნული ავტოკეფალიის გამოცხადების პირობებში საქართველოს ეკლესიის სრულ ავტოკეფალიაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, რადგან, ამ შემთხვევაში შეზღუდული იქნებოდა საქართველოს ეკლესიის ტერიტორიალური პრინციპი და მისი იურისდიქციის გავრცელება სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე. ქართველ სამღვდელოებას კარგად ესმოდა, რომ ეროვნული ავტოკეფალიის გამოცხადება საეკლესიო კანონების უხეში დარღვევა იყო, რაც დიდ ზიანს მიაყენებდა არა მარტო საქართველ ეკლესიას, არამედ მთლიანად საქართველოს მომავალს. იგი ახალი შფოთისა და არეულობის მიზეზი გახდებოდა.

აღნიშნული მოვლენებით შეშფოთებულმა ვასილ კარბელაშვილმა, იმავე დღეს, 27 მარტს, განცხადებით მიმართა სრულიად

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის და მცხეთის მამამთავრის მოსაყდრეს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს, ყოვლადსამღვდელო ლეონიდეს, სადაც ნათლადაა ჩამოყალიბებული მისი პოზიცია და შეხედულებები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკანონების მეტად მნიშვნელოვან პრობლემასთან მიმართებაში (94). განცხადებაში ვასილ კარბელაშვილი გადაჭრით უარყოფდა ეროვნული ავტოკეფალიის მიღებას და მტკიცედ გამოსთქვამდა აზრს იმის შესახებ, რომ საქართველოს საკათალიკოსო ეკლესია უნდა აღმდგარიყო თავისი ისტორიული საზღვრებით. ამ საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, იგი გამორიცხავდა ყველანაირ კომპრომისს (გულისხმობდა სამღვდელოების იმ ნაწილის აზრს, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ გარკვეულ ეტაპზე საჭირო იყო დათმობა - ს. ა.) და აღნიშნავდა, რომ სვეტიცხოვლის ტაძარში 12 მარტს დადებული ფიცი არ უნდა გაეტეხათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველანაირი დათმობა და გზიდან გადახვევა, ღალატის ტოლფასი იქნებოდა. მას იმედი ჰქონდა, რომ ახალი თავისუფალი რუსეთი, რომელმაც ძველი თვითმპყრობელური რეჟიმი დაამხო, წინანდელ უდიერებას აღარ გაიმეორებდა (მხედველობაში ჰქონდა 1905-1907 წლების შედეგები - ს. ა.), მაგრამ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთის ახალი მთავრობა მხარს არ დაუჭერდა საქართველოს ეკლესიის ტერიტორიალური ავტოკეფალიის მოთხოვნას, ქართველი სამღვდელოება, მრევლთან ერთად, მაინც არ უნდა წასულიყო დათმობაზე, მათი გამათრახებბისა და ხიშტებზე აგების შემთხვევაშიც კი. მისი მოსაზრებით, უმჯობესი იყო აღნიშნული საკითხი კვლავ სადავოდ დარჩენილიყო და მომავალი თაობებისთვის ისევე ჩაებარებინათ, ვიდრე „კუდშეკვეცილი ავტოკეფალია" მიეღოთ (94). ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად ვასილ კარბელაშვილი საჭიროდ სთვლიდა მთელი ქართველი საზოგადოებრიობის მონაწილეობას, რისთვისაც საქართველოს მასშტაბით უნდა მოწვეულიყო საეპარქიო ყრილობები და არა მარტო სამღვდელოებას, არამედ მთელ ერს უნდა მიეღო მონაწილეობა აღნიშნულ მოთხოვნაში. საყურადღებოა, რომ ქართველი საზოგადოებრიობა მართლაც აქტიურად ადევნებდა თვალყურს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველო-

ბის კომიტეტის მუშაობას და პრესის ფურცლებზე პრინციპულად სვამდა საკითხს იმის შესახებ, რომ ქართველ ერსა და ეკლესიის დროებით მმართველობას შორის საჭირო იყო მჭიდრო კონტაქტი, რადგანაც, ეს უკანასკნელი თვით ხალხის მიერ იყო ნდობით აღჭურვილი და უნდა გაეთვალისწინებინა ქართველი ერის ნება (74,3). ევსილ კარბელაშვილი მიიჩნევდა, რომ საეპარქიო კრებებზე ნიღაბახდილად უნდა გამორკვეულიყო მშობლიური ეკლესიის ჭირვარამი და ერთხმად ეღიარებინათ საქართველოს ეკლესიის სრული ავტოკეფალია და არა ავტონომია: „...რა საჭიროა იმისთანა თავის მობმა, რომელიც არ მიიღებს საზრდოდ იმ სისხლს, რომელიც სხეულიდან მიდის და ვერ გამოურკვევია ის ჰაზრები, რომელიც შერჩა ან ნაუნერგეს და მზად არის ანაცვალოს იმას ღმერთიც და სჯულიც?!... თუ გვსურს, რომ მრევლმა მოიბრუნოს ჩვენზედ გული, უნდა იმ წმინდა ჰაზრს, რაც წმიდა კრებათა მოგვანიჭეს და 1433 წელი გვქონდა, გავჰყვეთ და შევასრულოთ კიდეც, რაზედაც ღმერთიც და კაციც მოგვიმართავს ხელსა...“ (127) - აღნიშნავდა იგი და იმ უარყოფით შედეგებზე მიუთითებდა, რაც ეროვნული ავტოკეფალიის დაკანონებას მოჰყვებოდა „...როგორც «ეროვნული ავტოკეფალია», ეგრეთვე «მისიონიც» დაჰფლეთს, დაჰგლეჯს, სულს შეუხუთავს საქართველოს ეკლესიას და დედამიწასთან გაასწორებს, ბევრით უარეს მდგომარეობაში ჩააგდებს, ვიდრე ახლა არის ... ფრთხილად, თორემ წყევა და კრულვა ერისა არ აგვცდების, მაშ აკურთხოს ღმერთმან ჩუენი ერთობა, ერთგულება და განუდრეკლობა“ (94).

1917 წლის 29 მარტს, საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტმა საგანგებო სხდომა მოიწვია (73,3), რომელსაც კათალიკოსის მოსაყდრე, ყოვლადსამღვდელო ლეონიდე (ოქროპირიძე) თავმჯდომარეობდა. აღნიშნულმა კრებამ რუსეთის დროებითი მთავრობის მიმართ რეზოლუცია მიიღო, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკანონება ეროვნული ნიშნით გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა მსოფლიო საეკლესიო კანონებს და აქედან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფდა ქართველთა საეკლესიო კეთილდღეობასა და ამ მხარეში მოსახლე რუსებთან მშვიდობიან თანაცხოვრებას. რეზოლუციაში ხაზგას-

მული იყო საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მოთხოვნა: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მიღება ტერიტორიალურ საფუძველზე საქართველოს უძველესი საკათალიკოსოს ფარგლებში. საკათალიკოსოში მოქცეულ რუსი ეროვნების მრევლს ენიჭებოდა თავისუფლება საეკლესიო თვითგამორკვევისა ხელმძღვანელი ავტონომიური ეპისკოპოსის სახით, რომელიც კანონიკური წესით საქართველოს ეკლესიის მეთაურს უნდა დაქვემდებარებოდა (73,3). ზემოაღნიშნული დადგენილება გაეგზავნა დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს, თ. დ. ლვოვს, სინოდის ობერ-პროკურორს და კავკასიის კომისარიატს.

როგორც ცნობილია, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა, ვლ. ბენეშევიჩმა, რომელიც 1917 წლის აპრილში საქართველოში იქნა მიელინებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის შესასწავლად, ავტოკეფალიის ექსტერიტორიალურობის პრინციპი აღიარა, რაც საფუძვლად დაედო 1917 წლის 1 ივლისის დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებას „საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის დროებითი წესების“ შესახებ. პარალელურად, რუსეთის უწმიდესი სინოდის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება კავკასიის საეგზარქოსოს დაარსების შესახებ, სადაც გაერთიანდებოდა თბილისის, ელიზავეტპოლის, ბაქოს, ერევნის, ქუთაისის, შავიზღვისპირეთის, ყარსის, ბათუმის და ზაქათალის რაიონებში და ართვინისა და სოხუმის ოლქებში მცხოვრები რუსი ეროვნების მართლმადიდებელი მოსახლეობა და სხვა ეროვნების მართლმადიდებლობის აღმსარებლები. ეგზარქოსს ენიჭებოდა თბილისის მიტროპოლიტისა და კავკასიის ეგზარქოსის წოდება. საეგზარქოსო იყოფოდა ეპარქიებად (9,180). აღნიშნული გადაწყვეტილების პასუხად, ქართველმა სამღვდელოებამ 1917 წლის 13 აგვისტოს აღადგინა თბილელი მიტროპოლიტის კათედრა და დანიშნა ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე), ხოლო 23 აგვისტოს, ქართველმა სამღვდელოებამ ყოფილი ეგზარქოსის რეზიდენცია დაიკავა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასაკანონებლად, დროებითი მმართველობის კომიტეტმა კიდევ უფრო გააძლიერა ბრძოლა და ხელი მიჰყო ეროვნული ეკლესიის საშინაო

ცხოვრების მოწესრიგებას, რაც, პირველ რიგში, კათალიკოს-პატრიარქის არჩევით უნდა დაწყებულიყო.

1917 წლის I საეკლესიო კრების მოსამზადებელ სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდა ვასილ კარბელაშვილიც (134). კრებამ, რომელიც 1917 წლის 8-17 სექტემბერს გაიმართა, კათალიკოს-პატრიარქად აირჩია კირიონ III (საძაგლიშვილი). ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ ვასილ კარბელაშვილის მოსაზრებებს კათალიკოს-პატრიარქის არჩევნებთან და საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ორგანიზაციულ საკითხებთან მიმართებაში. მის პირად არქივში შემორჩენილია 1917 წლის 23 აგვისტოთი დათარიღებული პუბლიცისტური წერილი „ეინმე ხუცესის“ ფსევდონიმით (113,71-74). პუბლიკაციაში ვასილ კარბელაშვილი ეხმიანება ისტორიკოს მოსე ჯანაშვილის წერილს: „როგორი კათალიკოსია საჭირო სრულიად საქართველოსათვის“ და დასძენს, რომ ივერიის ეკლესიას ესაჭიროებოდა ისეთივე შორსმჭვრეტელი და მედგარი სულისკვეთების კათალიკოსი, როგორიც იყო მე-6 საუკუნეში მოღვაწე კათალიკოსი კირიონი. ახალ კათალიკოს-პატრიარქს, რომლის სახელის ქვეშაც ვასილ კარბელაშვილი კირიონ საძაგლიშვილს მოიაზრებდა, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოეხერხებინა, რომ საქართველოს ეკლესია სამუდამოდ გაეთავისუფლებინა რუსეთის ეკლესიის გავლენისაგან. ვასილ კარბელაშვილის ღრმა რწმენით, არჩევნების დროს უპირატესობა სწორედ კირიონს უნდა მინიჭებოდა. წერილში მას ხაზგასმული აქვს ეპისკოპოს კირიონის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების საქმეში (113,71-74). აქვე ვასილ კარბელაშვილს ჩამოყალიბებული აქვს თავისი მოსაზრებები საქართველოს ეკლესიის ორგანიზაციული მოწყობის თაობაზე. ეპარქიების დასახელებისას, იგი უპირველეს ყოვლისა აფხაზეთს მიაპყრობდა თავის ყურადღებას და მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო დაუყოვნებლივ ეკურთხებინათ აფხაზეთის ეპისკოპოსი, რომელსაც კარგად უნდა სცოდნოდა აფხაზური ენა; უნდა აღდგენილიყო ჭყონდიდისა და სამეგრელოს ეპარქია, რომლის კანდიდატურის ქვეშაც ყოვლადსამღვდელო დავითს (კაჭახიძე) მოიაზრებდა; უნდა აღდგენილიყო ასევე ქუთაისელის სამიტროპოლიტო

კათედრა ყოვლადსამღვდელო ანტონის (გიორგაძე) ხელმძღვანელობით; გურიისა (ბათუმის და ლაზისტანის) - ყოვლასამღვდელო პიროსის (ოქროპირიძე) ხელმძღვანელობით, ნიკორწმინდისა (რაჭის) - კათედრა უნდა ჩაებარებინათ არქიმანდრიტი ნესტორისათვის (მაჭარაშვილი) ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ; ბოდბის კათედრა - ეპისკოპოს გიორგისათვის (ალადაშვილი), ალავერდის კათედრა - მღვდელ იოსებ ჩიჯავაძისათვის, ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ, ნიქოზისა - არქიმანდრიტი დოსითეოსისათვის, ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ, გიშისა - არქიმანდრიტი ნიკოლოზისათვის, ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ. საჭიროდ მიიჩნევდა აგრეთვე ეპისკოპოსის გამწესებას გორის მაზრაში, რომელიც შეიძლება სამთავნელიც ყოფილიყო; წილკნელი ეპისკოპოსის გამწესებას დუშეთის მაზრაში; კუმურდოს ეპისკოპოსის გამწესებას ახალციხე-ახალქალაქის მაზრაში, მაგნლელი ეპისკოპოსისა - ბორჩალოსა და თბილისის მაზრის მთიელთათვის. საეპისკოპოსო კანდიდატურების რიგში იგი დამატებით ასახელებდა არქიმანდრიტ მარგიშვილს და გიგო დიასამიძეს, აგრეთვე ალ. ყანჩაველს. ვასილ კარბელაშვილი წერილის ბოლოს დასძენს, რომ ახლადარჩეულ ეპისკოპოსებს შესაშური მონდომებით უნდა მოეკიდათ ხელი საქმისათვის და საჭიროების შემთხვევაში უხელფასოდაც კი უნდა ემუშავათ (113,71-74).

ზემოაღნიშნულ 1917 წლის 8-17 სექტემბრის საეკლესიო კრებაზე განხილულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საქართველოს ეკლესიის მმართველობის მოწესრიგება იყო, რომლის სათავეშიც საკათალიკოსო საბჭო უნდა ჩამდგარიყო (21,134). ვასილ კარბელაშვილი არჩეულ იქნა ახლად შექმნილი საკათალიკოსო სასამართლოს წევრად (106). კრების გადაწყვეტილების თანახმად, საკათალიკოსო საბჭოს უნდა დაქვემდებარებოდა საეპარქიო და შესაბამისად სამრევლო საბჭოებიც. საინტერესოა ვასილ კარბელაშვილის შეხედულებები სამრევლო საბჭოების მოწყობის თაობაზე, რომელიც მას ჩამოყალიბებული ჰქონდა საეკლესიო კრების მოწვევისთანავე (109,83).

მრევლის ეკლესიასთან გაუცხოვების პირობებში, ვასილ კარბელაშვილი უპირატეს საკითხად მათ დაახლოვებასა და შეთანხმე-



ვასილ კარბელაშვილი 1917 წლის 8-17 სექტემბრის I საეკლესიო კრების მონაწილე

ზულ მოქმედებას მიიჩნევდა, რომელთა გზის მაჩვენებლად თბილისის სამღვდელოება უნდა გამოსულიყო; საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებისთანავე, თავისთავადობის რეალური განხორციელებისათვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მისი ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებას, რაც ცარიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკის წყალობით არსებითად მოშლილი იყო. ამიტომ, ავტოკეფალიის დაკანონებამდე, საკათალიკოსო საბჭოს მუშაობის დღის წესრიგში დადგა იმ გზებისა და საშუალებების გამოძებნა, რაც გამოასწორებდა არსებული მდგომარეობის სიმძიმეს. სამრევლო საბჭოების მოწყობის შესახებ შედგენილ დებულებაში, ვასილ კარბელაშვილს ხაზგასმული აქვს ის გარემოება, რომ თვით ეკლესიის წიაღში უნდა გამოძებნილიყო მისი ფიზიკური გადარჩენის გზები.

მატერიალური უსახსრობის აღმოსაფხვრელად მას მიზანშეწონილად მიაჩნდა სამრევლოებში მცირე ბანკების გახსნა, რასაც სამღვდელო პირები ჩაუდგებოდნენ სათავეში; საჭიროდ მიიჩნევდა აგრეთვე პატარ-პატარა კოოპერატივების გამართვას „სადაც წესიერად წარმართული საქმე დიდ საქმეს გამოსჭედავდა და მომავალში საფუძვლად დაედებოდა დიდებულ საქმეს";

სამრევლოებში სამეურნეო დარგის ასაღორძინებლად ვასილ კარბელაშვილს მიზანშეწონილად მიაჩნდა საინვენტარო საწყობებ-

ის გამართვა, რაც ცხადია, ამ დარგში საჭირო ცოდნას მოითხოვდა. ამიტომ, აღნიშნული საკითხი სამრევლო საბჭოს ზრუნვის საგანი უნდა გამხდარიყო;

ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში, საჭიროდ მიიჩნევდა სამარხი ბიუროების მოწყობას, რისთვისაც საჭირო თანხა ეკლესიებს უნდა გამოეყოთ. სამომავლოდ ეს თანხა ისევ ეკლესიებს უნდა დაბრუნებოდა ზედმეტი მოგებითურთ. (მას მხედველობაში ჰქონდა ისეთი ტაძრები, რომლებიც სასაფლაოებთან ახლოს მდებარეობდა. მაგალითად, დიდუბის, პეტრე-პავლეს და სხვა. - ს. ა.);

სამრევლო საბჭოების მუშაობაში უდიდესი ყურადღება უნდა დასთმობოდა ეკლესიებთან ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების მოწყობის საქმეს, ასევე ლექციების გამართვას, რომლებიც „მორწმუნეთა გულებს აღაშფოთებენ“. აღნიშნული საკითხების მოგვარება ხელს შეუწყობდა სექტანტობის აღმოფხვრას, რომელიც დიდ საშიშროებას უქადდა საქართველოს ეკლესიას, და, რომელიც რუსული საეკლესიო პოლიტიკის მძიმე მემკვიდრეობას წარმოადგენდა საქართველოში.

და ბოლოს, სამრევლო საბჭოს წარმმართველი უნდა ყოფილიყო მღვდელი, „მწყემსი პირმეტყველ ცხოვართა და არა მარტო წესების შემსრულებელი“, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში საქმით დაამტკიცებდა ყოველივეს (109,83).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ, ეროვნული ეკლესიის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს შორის, უპირველესად, მისი ქონების დაბრუნების საკითხი იყო გადასაწყვეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში დამოუკიდებლობა ფორმალურ ფაქტად დარჩებოდა. რუსული ეკლესია და მისი წარმომადგენელი საქართველოში, ახლად შექმნილი კავკასიის საეგზარქოსო, რომელიც უწინდებურად ცდილობდა თავისი გავლენის შენარჩუნებას, გააფთრებით იბრძოდა იმისათვის, რომ ისედაც ქონებრივად გაპარტახებული საქართველოს ეკლესიისათვის ეკონომიკური საფუძვლის აღდგენის ყოველნაირი პირობა მოეშალა. ამის საპირისპიროდ, ქართველი სამღვდელოება ყველა ღონეს ხმარობდა ეროვნული ეკლესიის დაკარგული ქონების დასაბრუნებლად, რაც ორ ეკლესიას

შორის ქონებრივი გამიჯვნის გზით უნდა მომხდარიყო (10,132). გარდა ამისა, ქართველი სამღვდელოება ეცდებოდა თვით ეკლესიის წიაღში გამოეძებნა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გზები და საშუალებები.

საყურადღებოა ვასილ კარბელაშვილის ამ მიმართულებით მოღვაწეობა, რომლის მიერ შედგენილ პროექტებსა და წესდებებში ეროვნული ეკლესიის მოწყობისათვის დასახული ღონისძიებებია ჩამოყალიბებული. ეკონომიკური სიდუხჭირის გამოსწორებას იგი საქართველოს ეკლესიის შიდაორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებით სახავდა. ამ მხრივ, აღსანიშნავია მის მიერ შემუშავებული "საქართველოს ნამდვილ-მორწმუნეთა კავშირ-საზოგადოების" წესდება (107,12-13), რომლის მიზანს, ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად, ქართველი ერის სულიერი გაჯანსაღება და ეროვნული თვითშეგნების ამაღლება შეადგენდა.

117 წლის განმავლობაში, საქართველოს ეკლესიაში რუსული საეკლესიო პოლიტიკის გატარების შედეგად დამკვიდრებული მანკიერებანი ეროვნული სარწმუნოებრივი გრძნობების გაფაქიზებასა და განწმენდას საჭიროებდა. ვასილ კარბელაშვილის ღრმა რწმენით, ამ მანკიერებების აღმოფხვრა მამა-პაპათა შჯულის აღდგენით იყო შესაძლებელი.

საზოგადოებას, რომელშიც უნდა გაერთიანებულიყო როგორც ღვთისმსახურნი, ასევე მორწმუნე ერი, სათავეში თორმეტი კაცისაგან შემდგარი გამგეობა უნდა ჩასდგომოდა. ამ უკანასკნელის მოვალეობას შეადგენდა:

ა) საქართველოს ხუროთმოძღვრული ნაშთების დაცვა და დაბრუნება, აგრეთვე მწერლობის, მხატვრობისა და ხელოვნების სხვა დარგების ნაშთთა შეკრება და დაცვა; საქართველოს გარეთ გაზიდული ნივთების დაბრუნება და მკვიდრად შენახვა;

ბ) საზოგადოებას თბილისში უნდა გადასცემოდა დარიის მონასტერი (თბილისის დარიის მონასტერი სერიოზული დავის ობიექტი იყო რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის -ს. ა.), ასევე მთელი მონასტრები სრულიად საქართველოს მასშტაბით, სადაც ფრთა უნდა გაეშალა ქართველი ერის ფენიქსს და აეყ-

ვაცებინა იქ ძველი ეროვნული ხუროთმოძღვრება, ხოლო მორწმუნე ერში ზნეობა, ზრდილობა, სათნოება, შჯული, სიყვარული ღვთისა და მოყვასისადმი;

გ) ეკონომიკური აღმავლობისათვის, ვასილ კარბელაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური მეცნიერებების ცოდნის ამაღლებას,რაც წარმატების საწინდარი უნდა გამხდარიყო მიწათმოქმედების,მევენახეობისა და სხვა მრავალი საქმიანობის ასაყვავებლად;

დ) საზოგადოების გამგეობას უნდა დაეარსებინა სასწავლებელი მცხეთაში, საღვთისმეტყველო კურსებით, ასევე აკადემია, სადაც ცოდნის შესაძენად მორწმუნეები საქართველოს ყველა კუთხიდან მოიყრიდნენ თავს;

ე) აღნიშნული საზოგადოება იურიდიული პირის უფლებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი, რომლის შესანახი ხარჯები იქნებოდა: საეკლესიო მამულები, საზოგადოების წევრთა ყოველთვიური გადასახადი, დახმარება დაწესებულებათაგან და შემომწირველთა ნებაყოფლობითი თანხები; მთავრობის დახმარებები იმ შემთხვევებისათვის, თუ საზოგადოება მოაწყობდა საკუთარ სამოწყალო თავშესაფრებს მოხუცებულთა და სნეულთა შესანახად; ასევე კონცერტებისა და ლექციების გამართვიდან ამოღებული თანხები.

ვ) საზოგადოების მთავარ მიზანს შეადგენდა მორწმუნეთა ეკლესიური ცხოვრების გაუმჯობესება,რომელსაც არანაირი პოლიტიკური მიზნები არ უნდა დაესახა (107,12-13) .

ვასილ კარბელაშვილს კარგად ესმოდა, რომ ეროვნული ეკლესიის საძირკვლის გასამაგრებლად საჭირო იყო ქართველი ერისა და მისი სამღვდელოების ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, ამიტომ იგი ამ ნაკლოვანებათა მხილების გზით ცდილობდა დაეფიქრებინა ქართველი თავის სვე-ბედზე,რომ „ეფიქრა რაიმე წამლის და ღონის გამოძებნა უკეთესი მომავლისათვის“ (110,8-14). ეროვნული ეკლესიის გაჯანსაღების უმნიშვნელოვანეს პირობად ვასილ კარბელაშვილი სამღვდელოების მანკიერი მხარეების აღმოფხვრას მიიჩნევდა. მის მიერ შემუშავებული პროექტი „ჯიშნად გადაჭრილ გარდასახადისა ფულზედ გადატანისა“, ზემოაღნიშნული მიმართულებით მუშაობის

გეგმებსა და საშუალებებს შეეხება (107,38-39), სადაც აღნიშნავდა, რომ მორწმუნე ერის გამოფხიზლება დიდ მუყაითობას, დაკვირვებას, შრომასა და სიფაქიზეს მოითხოვდა სამღვდელოების მხრიდან. თითოეული მღვდელი და მედავითნე თავისი მრევლის სარკე უნდა ყოფილიყო, რომელიც წმიდა სახარების საშუალებით დაუახლოვდებოდა მრევლს და გაიზიარებდა მათ გასაჭირსა და ლხინს. როდესაც მრევლი მათ ერთგულებას შენიშნავდა, აუცილებლად დააფასებდა მას. ეკლესიისაგან განზე გამდგარი და გაუცხოებული მრევლი ქადაგებებისა და საუბრების მოსმენას საჭიროებდა, რაც ცხადია, საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა მოძღვართან დაახლოვებისათვის, ამიტომ ვასილ კარბელაშვილი ყურადღებას ამახვილებდა ამ მიმართულებით მუშაობის გასაძლიერებლად. მოძღვარი ვალდებული იყო ყოველ კვირა დღეს, ასევე საუფლო დღესასწაულებსა და ქართველ წმიდანთა ხსენების დღეებში აღევლინა წირვა სრული შეგნებით და კრძალულებით, იმისათვის, რომ მორწმუნეს ყური დაეგდო და თავისი ლოცვა შეეერთებინა ღვთისმსახურთა ლოცვისათვის. საეკლესიო წესების შესრულების წინ, თითოეულ მღვდელს უნდა განემარტა მორწმუნეთათვის ამ წესების მნიშვნელობა. მაგალითად: ნათლობა, ქორწინება, პარაკლისი, პანაშვიდი და ა. შ. მოძღვარი ვალდებული იყო პატივი ეცა მორწმუნე ერის ტრადიციებისათვის, თუ მათ შესრულებას ზიანი არ მოჰქონდა ცხოვრებაში. იგი საჭიროდ მიიჩნევდა მრევლისათვის დახმარების გაცემას ქორწილისა და უბედურების დროს.

მრევლსა და სამღვდელოებას შორის ადრინდელი უარყოფითი დამოკიდებულების გამოსასწორებლად, ვასილ კარბელაშვილი მიზანშეწონილად მიიჩნევდა, რომ ყოველგვარი საეკლესიო წესების შესრულებისათვის გადასახადის ნაცვლად შემოეღოთ ჯამაგირი (ხელფასი), საშუალოდ ერთ მღვდელზე - 40 მანეთი და ერთ დიაკვანზე - 20 მანეთი. მას მღვდლები დაყოფილი ჰყავს ოთხ კატეგორიად (107,38-39):

I კატეგორიის მღვდლის ხელფასი, რომლის სამწყსოშიც შედიოდა 100-დან 400-მდე კომლი, შეადგენდა 50 მანეთს, ხოლოდ მედავითნისა - 25 მანეთს;

თუ სამწყსოს 400-დან 900-მდე კომლი შეადგენდა, მაშინ მას II კატეგორიის ორი მღვდელი უნდა მომსახურებოდა და მათი ხელფასი შესაბამისად თითოეულზე 40 მანეთი იქნებოდა, ხოლო მედავითნისა - 20 მანეთი;

900-დან 1500-მდე კომლის შემთხვევაში, სამწყსოს III კატეგორიის სამი მღვდელი უნდა მომსახურებოდა და ხელფასი თითოეულზე 30 მანეთამდე მცირდებოდა, ხოლო მედავითნისა - 15 მანეთამდე;

და ბოლოს, IV კატეგორიის ერთ მღვდელს, 200-დან 700-მდე კომლის მომსახურებაში უნდა აეღო 20 მანეთი, მდევითნეს კი - 10 მანეთი.

აღნიშნული ხელფასები მას გაანგარიშებული აქვს მთელი წლის განმავლობაში. პროექტი ითვალისწინებდა განსაკუთრებულ შემთხვევებში მღვდლების მიერ წესების უსასყიდლოდ შესრულებასაც, მაგალითად, როდესაც საჭირო გახდებოდა მშობიარის სახლის კურთხევა (განათლება), ავადმყოფის ზიარება, წირვა, დიდი პანაშვიდი, ანდერძი, დაკრძალვა და ა. შ. „...ამ სახით, ჩემი აზრი და მიზანია მოისპოს მღვდელსა და მრევლს შორის უსიამოვნება და დამდურება-გაუგებრობა" - აღნიშნავდა ვასილ კარბელაშვილი პროექტის ბოლოს და მიზანშეწონილად მიიჩნევდა იმ მოძღვართა დაჯარიმებას, რომლებიც დადგენილ სასყიდელზე მეტს გადაახდევინებდნენ მორწმუნეებს (107,38-39).

საგულისხმოა ვასილ კარბელაშვილის მოღვაწეობა სასულიერო-საგანმანათლებლო სისტემის ნაციონალიზაციის მიმართულებითაც. საქართველოს ეკლესიის თვითმოწესეობის აღიარებისთანავე, ქართველი სამღვდელოების უპირველესი ზრუნვის საგანს საეგზარქოსოს სასწავლებლების რეორგანიზაცია შეადგენდა. ამ უკანასკნელის გარეშე შეუძლებელი იყო ქართული სასულიერო სკოლის აღორძინება, რაც სამომავლოდ ეროვნული ეკლესიის მშენებლობის ქვაკუთხედად უნდა გადაქცეულიყო. ამ მიმართულებით, საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ ფართო მუშაობა იქნა გაშლილი. მან სამოქმედო პროგრამა დასახა და ცალკეული ეპარქიების ხელმძღვანელებს ადგილებზე ქმედითი

ღონისძიებების გატარება დაავალა, რაც ცხადია, დიდი შრომისა და წინააღმდეგობების ფონზე მიმდინარეობდა. საგანმანათლებლო სისტემის რეორგანიზაციის საკითხს უდიდესი ყურადღება დაუთმო საქართველოს პირველმა საეკლესიო კრებამ (1917 წ.), სადაც შემუშავებულ იქნა დებულება საქართველოს საკათალიკოსოს საშუალო და დაბალ სასწავლებელთა მოწყობის შესახებ. ქართველი სამღვდელოება, ახალი ღონისძიებების დასახვით ცდილობდა ეროვნული სასულიერო განათლების სისტემის შემუშავებას და ამით ეროვნულ სასულიერო სკოლის ისტორიული ტრადიციის აღდგენას (10,223-224).

ვასილ კარბელაშვილის მიერ შედგენილი პროექტი „სამრევლო და საეპარქიო სასწავლებელთა დებულება“ (107,54-56) სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა, სადაც იგი ხაზს უსვამდა ასეთი სასწავლებლების არსებობის აუცილებლობას მომავალი თაობის სულიერ-ზნეობრივი აღზრდისა და გაჯანსაღების მიზნით. სამრევლო სასწავლებლის დებულებით, თითოეულ მღვდელს უნდა შეედგინა მრევლისა და მათი შვილების სია, რაშიც მას დაეხმარებოდა სამრევლო საბჭო. ბავშვებს სწავლა უნდა დაეწყოთ 6 წლის ასაკის შესრულებისთანავე, ხოლო ის მშობელი, რომელიც დაარღვევდა ამ კანონს, ჯარიმდებოდა. აღნიშნულ სასწავლებელში სწავლა ითვალისწინებდა ყველანაირ წესს, დაწყებული ეკლესიაში ღვთისმსახურებიდან, დამთავრებული - მოზარდში საღმრთო მიდრეკილების განმტკიცებამდე. ბავშვებს კარგად უნდა სცოდნოდათ პირჯვრის წერა და მისი მნიშვნელობა, მუხლმოდრეკა და მთელი რიგი წესები საიდუმლოთა შესრულების დროს. ასევე დიდი ყურადღება უნდა გამახვილებულიყო მოზარდში სმენის კულტურის ჩამოყალიბების მიმართულებით. რაც შეეხება საეპარქიო სასწავლებლებს, იგი სამრევლო სასწავლებლების მომდევნო საფეხურს წარმოადგენდა, რომლებიც ეპარქიის ეკლესიების ხარჯით უნდა შეენახათ. მისი მიზანი იყო „ზედმეტი შეგნებითი განათლება ზნეობრიულის აღზრდისათვის და სარწმუნოების განმტკიცებისათვის!“ (107,54-56) სასწავლებლის გამგე ექვემდებარებოდა ეპისკოპოსს და მის სასულიერო წევრთა განმგებლობას. სწავლა ოთხ წელიწადს უნდა გაგრძელე-

ბულიყო, სადაც სამღვთო-სასულიერო საგნებთან ერთად, საერო საგნებიც შეისწავლებოდა განახლებული გეგმით. სასწავლებელში ყურადღება უნდა გამახვილებულიყო უცხო ენების შესწავლაზე, ასევე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ათვისებაზე. სასწავლებლის კურსდამთავრებულს ზედმიწევნით კარგად უნდა სცოდნოდა ყველა საეკლესიო წიგნის მნიშვნელობა და მათი მოხმარება, სამწუხრო, საცისკრო, ჟამის წირვა და ათორმეტ საუფლო დღესასწაულთა წესები, ასევე გალობა. თითოეული მოსწავლე 17 წლამდე ისე უნდა მომზადებულიყო, რომ თავისუფლად გადასულიყო საკათალიკოსო ინსტიტუტში.

საკათალიკოსო ინსტიტუტი წარმოადგენდა უმაღლეს სასწავლებელს წიგნის მკითხველთა, მგალობელთა, დიაკვანთა და სამღვდელო პირთა მოსამზადებლად, რომლის დებულება ვასილ კარბელაშვილმა შეადგინა 1917 წლის 8 ოქტომბერს (104). აღნიშნული დებულება, რომელიც მის პირად არქივში ინახება, შესდგება ოთხი თავისაგან, თითოეული თავი კი დაყოფილია მუხლებად. დოკუმენტის პირველ გვერდზე, სათაურთან ერთად, მას მინაწერი აქვს გაკეთებული: „აღსანიშნავად საქართველოს ეკლესიის აღდგენისა, 1817 წლის ოქტომბრის 8 დღეს. ღმერთო! წარმართე საქმე ესე კეთილად სადიდებლად ივერიისა საკათალიკოზო ეკლესიისა. მღვ. ვ. გრიგ-ძე კარბელაშვილი“.

საკათალიკოსო ინსტიტუტი კათალიკოს-პატრიარქის უშუალო მზრუნველობისა და ზედამხედველობის ქვეშ უნდა ყოფილიყო, რომელიც სვეტიცხოვლის ტაძართან დაარსდებოდა და სადაც, ოთხი წლის განმავლობაში, საკათალიკოსოს ყოველი ეპარქიიდან წარმოგზავნილი თორმეტ-თორმეტი კაცი ისე დაეუფლებოდა საეკლესიო-სამღვდელო ღვთისმსახურების აღსრულებას, როგორც შეეფერებოდა ივერიის ეკლესიის დიდებულ ტრადიციებს. სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც კარგად იქნებოდნენ გაცნობილნი ქართველი ერის საეკლესიო გალობას, ღვთისმსახურებასა და ზნე-ჩვეულებებს, თავიანთი მოღვაწეობით ხელს შეუწყობდნენ არა მარტო ეკლესიის, არამედ, მთლიანად საქართველოს გაერთიანებასა და გაძლიერებას (104).

საკათალიკოსო ინსტიტუტის დებულებაში ვასილ კარბელაშვილს მითითებული აქვს საგნები, რომლებიც უნდა შეესწავლათ ოთხი წლის განმავლობაში:

1. საღმრთო წერილი (ვრცლად);
2. ქართული მწერლობა;
3. ღვთისმეტყველება (დოგმატური და ზნეობრივი);
4. სამღვდელო ცხოვრების სახელმძღვანელოები;
5. ქადაგებისა და ღვთისმსახურების სწავლა;
6. საქართველოს ისტორია;
7. გალობა, სიმღერა და მათი ისტორია;
8. უცხო ენები (ბერძნული, გერმანული, ფრანგული, ინგლისური, რუსული და სხვ.);
9. ხუროთმოძღვრება;
10. არქეოლოგია;
11. მედიცინა;
12. სამეურნეო საქმეები (104).

საქართველოს ეკლესიის ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ძველი ქართული ღვთისმსახურების აღდგენა წარმოადგენდა, რისთვისაც საჭირო იყო საეკლესიო წიგნებისა და სახელმძღვანელოების შედგენა. აღნიშნული სახელმძღვანელოები უნდა გავრცელებულიყო სრულიად საქართველოს საკათალიკოსოს ფარგლებში. საკითხის გადაწყვეტა ევალებოდა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო მწიგნობართა საბჭოს, რომლის წესდებაც შედგენილი აქვს ვასილ კარბელაშვილს (107,59-62). წესდებაში მას განმარტებული აქვს მწიგნობართა საბჭოს ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი საქმიანობა:

მწიგნობართა საბჭო ხუთი კაცისაგან უნდა შედგენილიყო, რომლის თავმჯდომარე სამღვდელო პირი იქნებოდა, ხოლო დანარჩენ ოთხ წევრთა შორის ორი სამღვდელო პირი იქნებოდა და ორი - საერო. საბჭოს წევრები უნდა ყოფილიყვნენ „ჯეროვანის სწავლით, გამოცდილებით და დადებითი - მტკიცე რწმენითა და სიყვარულით საქმისადმი“ (107,59-62).

საბჭოს თავმჯდომარე საკათალიკოსო საბჭოს უნდა აერჩია.

საბჭოს წევრებს შორის სამსახური ისე უნდა განაწილებულიყო, რომ ორი წევრი დარჩენილიყო საკათალიკოსოში, ორი კი - ადგილებზე გაცნობოდა მდგომარეობას. საქმის უკეთესად წარმართვისათვის, კათალიკოს-პატრიარქის ნებართვით, საბჭოში გარეშე მცოდნე პირთა მოწვევაც ხდებოდა.

მწიგნობართა საბჭოს ძირითად საქმიანობას შეადგენდა:

ა) სასწავლებელთა გაუმჯობესების მიზნით, ახალი კანონებისა და წესების შემუშავება და მათი ცხოვრებაში გატარება;

ბ) ზნეობრივი აღზრდის განვითარებისათვის მუშაობის გაძლიერება;

გ) სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოების შედგენა და მათი შემოწმება თანამედროვე მეცნიერებების გათვალისწინებით;

დ) წლიური ანგარიშების განხილვა, შემოწმება, საადმზრდელო საბჭოების დადგენილებათა გადათვალიერება და მოხსენება;

ე) ამ დადგენილებათა საუკეთესო ვარიანტების შემუშავება;

ვ) ზრუნვა დედათა განათლებისათვის (107,59-62).

მწიგნობართა საბჭოს მუშაობის გააქტიურებისათვის, ვასილ კარბელაშვილი მიზანშეწონილად მიიჩნევდა კონკურსის გამოცხადებას საუკეთესო სახელმძღვანელოს შედგენისათვის. აღნიშნული საკითხის მოგვარება გამოცდილ მეცნიერთა და მოღვაწეთა შეთანხმების პირობებში უნდა მომხდარიყო.

მწიგნობართა საბჭოს ყველა დადგენილება და დასკვნა უნდა წარსდგენოდა კათალიკოს-პატრიარქს, რომლის თავმჯდომარეობითაც ამ დადგენილებებს მოისმენდა საკათალიკოსო და სასამართლოს შეერთებული საბჭოები. საბჭოს ასევე უნდა ჰქონოდა თავისი ბეჭედი წარწერით: „საქართველოს საკათალიკოსო მწიგნობართა საბჭო". საქმის მწარმოებლისათვის უნდა ჩაებარებინათ წიგნების საწყობი, რომელსაც ბინა საკათალიკოსო სახლში ექნებოდა.

წესდების ბოლოს, ვასილ კარბელაშვილს გაკეთებული აქვს საბჭოს თავმჯდომარისა და წევრთა ხელფასების გაანგარიშება.

ამრიგად, რუსეთის დროებითი მთავრობის მმართველობის პერიოდში, ვასილ კარბელაშვილის მოღვაწეობაში ხაზგასმულია მისი ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკანონებ-

ისათვის. ავტოკეფალიის აღდგენისთანავე (1917 წ. 12 მარტი), იგი მტკიცედ იდგა საქართველოს ეკლესიის უფლებების დაცვის სადარაჯოზე და თავისი მკაფიო სიტყვა სთქვა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აღდგენის თვალსაზრისით მის ისტორიულ-ტერიტორიალურ საზღვრებში. ვასილ კარბელაშვილი, როგორც საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის წევრი და შემდეგში საკათალიკოსო საბჭოს წევრი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ეროვნული ეკლესიის მართვა-გამგეობის ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგებაში. მას შემუშავებული აქვს არაერთი წესდება-პროექტი სასულიერო განათლების რეფორმაციისა და ეკლესიის ორგანიზაციული მმართველობის მოწყობის თაობაზე, სადაც ნათლად ჩანს მისი შეხედულებები ეროვნული ეკლესიის სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

# თავი VI

## ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მოღვაწეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921 წწ.)

რუსეთის 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა. პოლიტიკური პარტიების ბრძოლის აღმავლობის პირობებში ყველაზე დიდი აქტიურობით სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთა გამოირჩეოდა. ხალხში ფართო პროპაგანდის საფუძველზე, ისინი მასების მხარდაჭერითაც სარგებლობდნენ, რომელთა ბრძოლის პროგრამა, სოციალური საკითხების გადაწყვეტასთან ერთად, წინა რიგში აყენებდა ქვეყნის ეროვნულ თვითმყოფადობის აღიარებას.

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წ. 12 მარტი), რუსულ ეკლესიას გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა საქართველოს ეკლესიის მიმართ. იგი არ სცნობდა საქართველოს ეკლესიის თვითმოწესეობის აღიარებას, მით უმეტეს ტერიტორიალურ საზღვრებში, ედავებოდა საეკლესიო ქონებას და ა. შ. ახლადშექმნილი კავკასიის საეგზარქოსო, რომელიც რუსული ეკლესიის წარმომადგენელი და მისი პოლიტიკის აქტიური გამტარებელი იყო, თავისი უფლებების შესანარჩუნებლად იბრძოდა. ასეთ რთულ ვითარებაში, ქართველი სამღვდელოება ყველა ღონეს ხმარობდა ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის დაკანონებისათვის. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, როდესაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარება მოხდა, ახლად ავტოკეფალიააღდგენილი საქართველოს ეკლესიის მესვეური სამღვდელოება ახალ დემოკრატიულ მთავრობასთან თანამშრომლობისაკენ ისწრაფოდა, რაც თავის მხრივ, საქართველოს ეკლესიის დახმარებისა და თან-

აღდგომის გარანტი უნდა გამხდარიყო. საქართველოს ეროვნული ეკლესია, რომელიც ოდითგანვე ქვეყნის ერთიანობასა და სიმტკიცეს ემსახურებოდა, ამჯერადაც გამოხატავდა მზადყოფნას ქართულ სახელმწიფოსთან თანამშრომლობისათვის, რითაც იგი კვლავ მოიპოვებდა განსაკუთრებულ უპირატესობას სახელმწიფოს ცხოვრებასა და წეს-წყობილებაში (19,58). მაგრამ, მენშევიკური მთავრობის პოზიცია საქართველოს ეკლესიასთან მიმართებაში სულ მალე გამოიკვეთა და ეროვნული ეკლესიის მესვეურნი დაარწმუნა, რომ ახალი მთავრობა არა თუ აპირებდა მათი ინტერესების დაცვას, არამედ, პირიქით, აქტიურად ატარებდა ანტისაეკლესიო პოლიტიკას (10,58).

სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია საქართველოს ეკლესიის მიმართ, ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამდე გამოიკვეთა, რომელიც ხალხში მკვიდრად ავრცელებდა აზრს სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ. ასეთი პროპაგანდის ფართო ასპარეზად სოციალ-დემოკრატებს მოსწავლე-ახალგაზრდობა მიაჩნდათ. ამ დროიდან, აშკარად გაისმოდა მოთხოვნები სკოლებში საღვთო შჯულის სწავლების გაუქმებისა და ეკლესიისაგან სკოლის აბსოლუტურად ჩამოცილების შესახებ. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის ორგანიზაციათა საქალაქო კომიტეტის საარჩევნო პლატფორმაში ხაზგასმით იყო აღნიშნული: „...სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოცალკევებას და სკოლის ეკლესიიდან და აგრეთვე უფასო სავალდებულო სწავლა-განათლების შემოღებას ყველა ბავშვთათვის 16 წლამდე...“ (60,1)

აღნიშნული პროპაგანდის საპირისპიროდ, მებრძოლი ქართველი სამღვდელოების წარმომადგენლებმა გაააქტიურეს მუშაობა მოსწავლე-ახალგაზრდობაში მშობლიური ენის, ეროვნული ეკლესიის და ეროვნული თვითშეგნების ამაღლების მიმართულებით. საერო სასწავლებლებში საღმრთო შჯულის სწავლების გაუქმების საკითხს, სხვა მებრძოლი სამღვდელოების გვერდით, ვასილ კარბელაშვილიც გამოეხმაურა, რომელიც იმხანად თბილისის ნავთლუღის

წმიდა ბარბარეს ეკლესიის წინამძღვარი იყო. 1918 წლის 11 მარტის განჩინებით, იგი მრევლის სახელით, საშუალო და საქალაქო სასწავლებლებში საღვთო სჯულის სწავლების მოთხოვნით გამოვიდა. „...საღმრთო სჯულის უარყოფა - არსწავლება ბავშვთათვის", - აღნიშნულია განჩინებაში, - „ეს არის თავის თვისსა უარყოფა, ეს არის უსჯულება და ვისთვის რა სასურველია?... სულიერი საზრდო ბავშვისა და საზოგადოდ კაცისა, სულისათვის დიდი რამ არის!... ის, რაც კაცსა ჰქმნის ღვთის მსგავსად და ხატად, აღარ არისო საჭირო თქვენთვის და თქვენის შვილებისათვისო! ჩვენ ამას არ უჭერთ მხარსა და ღრმა მწუხარებას ვაცხადებთ და გულისწყრომას..." (108,89) განჩინების ბოლოს, ვასილ კარბელაშვილი, მრევლის სახელით მოითხოვდა საღვთო სჯულის სწავლების არა თუ გაუქმებას, არამედ მის ფართოდ დანერგვას განახლებული პროგრამით, რომლის შესწავლაც ისეთივე სავალდებულო უნდა ყოფილიყო, როგორც სხვა დანარჩენი საგნები.

მენშევიკური მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, კიდევ უფრო მკვეთრად გამოიკვეთა მისი დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიისა და ზოგადად სარწმუნოების მიმართ. ახალი დემოკრატიული მთავრობის მიერ გატარებული ანტისაეკლესიო პოლიტიკის გამოხატულება იყო 1920 წლის 19 ნოემბერს მის მიერ დამტკიცებული პროექტი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ, რისი ძალითაც საქართველოს ეკლესია სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი გახდა არა მარტო მატერიალურად, არამედ განთავისუფლებულ იქნა სახელმწიფო ფუნქციებისაგანაც (ქორწინება, დაბადება, გარდაცვალება, დაბადების მეტრიკის გაცემა და სხვა). ეკლესიის ერთადერთ ფუნქციად დარჩა მორწმუნეთა რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (10,168). აღნიშნული პროექტის ძალით, საქართველოს ეკლესიას მატერიალური არსებობის სახსარი გამოეცალა, რადგანაც სახელმწიფო ხაზინიდან ეკლესიისათვის თანხების გაცემა იკრძალებოდა (გამონაკლისი შემთხვევების გარდა). ასევე იგი გათანაბრებულ იქნა სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობებთან, რითაც აიკრძალა მისი უპირატესობა და ამდენად, დარღვეულ იქნა უმთავრესი მართლმადიდებლურ-ქრისტიან-

ული ნორმა (10,168). მატერიალური სახსრების გარეშე დარჩენილ ეკლესიას უფლება ეძლეოდა შეექმნა საძმოები და საზოგადოება-კავშირები. ამ უკანასკნელთ არა მარტო ეკლესიისა და მისი მომსახურე პერსონალის მატერიალური უზრუნველყოფა ევალებოდათ, არამედ გარკვეული რაოდენობის თანხა სახელმწიფო ხაზინაშიც უნდა შეეტანათ. მათ იურიდიული პირის უფლება ენიჭებოდათ, ექვემდებარებოდნენ საერო ხელისუფლებას და ამგვარი გზით სახელმწიფო ეკლესიის შიდა კომპეტენციაში იჭრებოდა (10,168).

ყოველივე ზემოაღნიშნულმა ქართველი სამღვდელოების სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ მან ფართო მუშაობა გააჩაღა და ცდილობდა ეროვნული ეკლესიის ისტორიული დანიშნულების წარმოჩენას. სისტემატიურად გამართულ ეპოქალურ კრებებზე ფართო სჯა-ბაასი მიმდინარეობდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის თაობაზე. საქართველოს ეკლესიის მესვეურნი, კათალიკოს-პატრიარქის ლეონიდეს (ოქროპირიძე) თაოსნობით, ცდილობდნენ უპირველეს ყოვლისა, ისეთი იურიდიული ნორმების ჩამოყალიბებას ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების შესახებ, რომლებიც დამყარებული იქნებოდა ქართველთა ეროვნული ფსიქოლოგიის, ზნე-ჩვეულებების და კულტურულ-ისტორიული წარსულის ცოდნაზე (139). რა თქმა უნდა, რუსეთის იმპერიის დროინდელი ურთიერთობები ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის აუცილებელ შეცვლას საჭიროებდა, რაც პირველ რიგში, ეკლესიის პოლიტიკური ხასიათის დავალება-სამსახურისაგან განთავისუფლებას გულისხმობდა, მაგრამ ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოცალკევება იმ ფორმით, რასაც მენშევიკური მთავრობა სთავაზობდა, ზოგადად ქრისტიანული მოძღვრების ნორმებით და მით უფრო, ქართველი სამღვდელოებისათვის მიუღებელი იყო. მათ შორის ტრადიციული, ჰარმონიული ურთიერთობების დასამყარებლად სამღვდელოება საჭიროდ მიიჩნევდა ეკლესიის სრულ ჩაურევლობას სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელსაც მხოლოდ საზოგადოების სარწმუნოებრივ-ზნეობრივი კულტურისა და აღზრდა-განსპეტაკებისათვის უნდა ეზრუნა. თავის მხრივ, სახელმწიფოც უნდა განთავისუფლებულიყო ყოველგვარი

საეკლესიო-სარწმუნოებრივი ხასიათის ფუნქცია-მოვალეობისაგან. ასეთნაირად გაგებული და წარმოდგენილი ურთიერთობები ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არამც თუ აძლევდა სახელმწიფოს ნებას წაერთმია ეკლესიის კუთვნილი ქონება, ან ახლის შეძენის საშუალება მოესპო, არამედ ეკლესიის შენახვისაგანაც არ ათავისუფლებდა მას (139).

კვლავ მოვლენათა შუაგულში მყოფი ვასილ კარბელაშვილი გადაჭრით უარყოფდა ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოცილების საკითხს. იგი მეტად უარყოფითად აფასებდა ხელისუფლების სათავეში მოსული მენშევიკური მთავრობის ანტირელიგიურ მოღვაწეობას, რომელიც მკრეხელურ პროპაგანდას ეწეოდა ხალხში: „ღმერთი არ არის“, „ქრისტე ვინ ნახა აღდგომილი?“ და ა.შ. და რისი შედეგიც იყო ის სამწუხარო გარემოება, რომ ქართველობაში იმძლავრა სექტანტურ სარწმუნოებაზე - მწვალებლობაზე გადასვლამ. ამ უბედურების სათავეს ვასილ კარბელაშვილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ სინდისის თავისუფლების გამოცხადებაში ხედავდა. ამიტომ, აღნიშნული მოვლენის აღმოსაფხვრელად, იგი ქართველ სამღვდელოებას უფრო მეტი ბრძოლისა და მოქმედებისაკენ მოუწოდებდა (110,48)

ვასილ კარბელაშვილის მკვეთრად რადიკალური პოზიცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ჩანს მისი პუბლიცისტური წერილებიდან და კერძო ხასიათის ჩანაწერებიდან. პუბლიცისტური წერილი „მუქარის სადღეგრძელო მენშევიკების წინააღმდეგ“, სწორედ ამგვარი სულისკვეთებითაა განმსჭვალული. ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შედეგად გამოწვეულ სავალალო მდგომარეობაზე პასუხისმგებლობას იგი იმ დამფუძნებელ კრებას აკისრებდა, სადაც მისი გადაწყვეტა უნდა მომხდარიყო (113,104-107).

თუკი ქართველი სამღვდელოება, ეროვნული ეკლესიის ინტერესების დასაცავად წინ აღუდგა რუსი ეგზარქოსების მმართველობას და ამ საქმეში ერთი გულითა და ერთი პირით მოქმედებდა, ამ შემთხვევაშიც, იგი საჭიროდ თვლიდა სამღვდელოების გაერთიანებას საერთო აზრის ქვეშ. ვასილ კარბელაშვილი

გამოდიოდა სამღვდელოების იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის მოთხოვნას ემხრობოდა. არ ამართლებდა აგრეთვე სამღვდელოებაში გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ აშკარა ბრძოლა გამოეცხადებინათ ახალი დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ, რის შედეგადაც უფრო დაიძაბებოდა ისედაც რთული ვითარება მათ შორის. „...მე მრცხვენია სიტყვა <<ბრძოლა>> ვიხმარო ჩვენ მთავრობასთან" - აღნიშნავდა იგი და სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფაზე თანხმობას სამღვდელოების მხრიდან სამარცხვინო გაქცევად მოიაზრებდა. ამ ნაბიჯით, ქართველი სამღვდელოება სამუდამოდ დაასამარებდა სამშობლოს წინაშე საუკუნეების განმავლობაში გაწეულ ღვაწლს (110,48)

ახალ დემოკრატიულ მთავრობასთან დაახლოვებას ვასილ კარბელაშვილი ქართული სასულიერო წოდების განწმენდის, განახლების გზით ცდილობდა: - „რათა გაუძღვეთ ხალხსა განახლებულის აღზრდის გეგმით, რომ მთავრობამ მოგვისმინოს. დაგვარწმუნოთ იგი, რომ ჩვენზე უკეთეს პროპაგანდას მწვანე ხალათიანები ვერ გასწევენ და ტყუილი იმედია, ვინც ამბობს, რომ გამოვეყოთ და მოვისვენოთო" - განმარტავდა იგი და აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად სამღვდელოებას კეთილგონიერებისაკენ მოუწოდებდა (110,48).

ვასილ კარბელაშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ახალ დემოკრატიულ მთავრობასთან თანამშრომლობას და მასთან საერთო ენის გამონახვის გზებს ეძებდა. იგი სამღვდელოების მწვავე კრიტიკოსი გამოვიდა. სასულიერო კრებულის ნაკლოვანებების აღმოფხვრა მათი ავტორიტეტის ამაღლებისა და მრევლთან დაახლოვების საწინდარი უნდა გამხდარიყო. თავის ჩანაწერებსა და წერილებში იგი საინტერესო პარალელს ავლებდა რუსეთის იმპერიაში შესვლამდე საქართველოს ეკლესიის მდგომარეობასა და შემდგომი პერიოდის მოვლენებს შორის და აღნიშნავდა, რომ ქართველებს, რომლებსაც ბევრჯერ დაუკარგავთ სამშობლოს თავისუფლება, შჯული არასოდეს დაუკარგავთ და დაუგმიათ. მაგრამ, რუსეთის იმპერიის მიერ გატარებულმა ანტიქართულმა პოლიტიკამ სავალალო

შედეგები მოუტანა ივერიის ეკლესიას, შჯული შედრკა და სენივით მოედო მთელს საქართველოს. „...მაშინდელი მტერნი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა, დღესაც, გახვეულნი ცხვრის ტყავში, როგორც მგელნი, ჰფლეთამენ და რა შეევიწროებას არ აყენებენ?" (119) - აღნიშნავდა იგი და იმ მღვდლებსა და დიაკვნებს ამხელდა, რომლებიც თავიანთი ცოდნითა და გამოცდილებით არ შეეფერებოდნენ შესაბამის სასულიერო ხარისხს და თანამდებობას, მაგრამ თამამად აყენებდნენ საკითხს ეკონომიური მოთხოვნილებების შესახებ. საყურადღებოა, რომ ვასილ კარბელაშვილი არ უარყოფდა სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან, ეს უკანასკნელი, მეტად მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენდა ახლადავტოკეფალიააღდგენილი საქართველოს ეკლესიისათვის. პირიქით, აღნიშნული პრობლემის მოგვარებას იგი მნიშვნელოვნად მიიჩნევდა. მაგრამ, მისი აზრით, ეროვნული ეკლესიის გაძლიერებლად, უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ღირსეულად მომზადებული ღვთისმსახურების დადგენა. იგი საზოგადოებას იმ მოსალოდნელ საფრთხეს შეახსენებდა, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ქართველი ერისა და მისი სამღვდელოების მოუმზადებლობას ახალი ცხოვრებისათვის. მისი მოსაზრებით, თუ სამღვდელოებაში არ აღმოიფხვრებოდა შეუგნებლობა, ანგარება, დიდებისმოყვარეობა, ურწმუნოება და შჯულის კანონების უარყოფა, ერის სატკივარსაც არაფერი ეშველებოდა: „...აი, სადა გვაქვს თავში საცემი საქმე! სიყვარული მოუძლურდა, ერი ეცემა და იხრწნება, როდესაც მას შჯული ეკარგება, რომლის გავლენით იყო აღზრდილი!“ (105,192)

როგორც ცნობილია, ქართველი სამღვდელოების მცდელობა, ახალ დემოკრატიულ მთავრობასთან დაახლოვებისა და მასთან თანამშრომლობის თაობაზე, მარცხით დამთავრდა. ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის საკითხი, დემოკრატიული მთავრობის ინიციატივით, მისი პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელდა, რომელმაც სახელმწიფოში რელიგიის ადგილი ეროვნულ საკითხს დაუთმო (10,160) და ამით ისტორიულ-ტრადიციული ქართული მართლმადიდებლობისა და ეროვნულობის საკითხთა თეორიულად აბსოლუტური გამიჯვნა განახორციელა.

მენშევიკური მთავრობისაგან უარყოფილმა ეროვნულმა სამღვდელოებამ, სახელმწიფოსაგან მინიჭებული მწირი უფლებების საფუძველზე, თვით ეკლესიის წიაღში დაიწყო თვითგადარჩენის გზებისა და საშუალებების გამოძებნა. საყურადღებოა ვასილ კარბელაშვილის მიერ შედგენილი „აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის) მორწმუნეთა სრული კავშირი"-ს წესდება-პროექტი (107,63-67), სადაც მას ჩამოყალიბებული აქვს თავისი მოსაზრებები იმ გზებისა და საშუალებების შესახებ, რითაც შეიძლებოდა არსებობის სახსარი გასჩენოდა საქართველოს ეკლესიას. გარდა ამისა, წესდება-პროექტში ნათლად ჩანს მოწინავე ქართველი სამღვდელოების მცდელობა ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

აღნიშნულ საზოგადოება-კავშირს თავისი წარმომადგენლობა უნდა ჰყოლოდა როგორც საკათალიკოსო საბჭოში, ასევე სასამართლოში და საერო მთავრობაში - პარლამენტში. პროექტში განსაკუთრებით ხაზგასმულია საერო მთავრობასთან თანამშრომლობა, სადაც აღნიშნულია, რომ მათ წარმომადგენლობას პარლამენტში უნდა შეეტანა „არა დამანგრეველი აზრი და მეცადინეობა, არამედ აღმაშენებელი და გასამაგრებელი საძირკვლის შენება ახლის სახელმწიფოსათვის" (107,67).

კავშირის წევრებს უნდა გადაეხადათ ერთდროული შესატანი თანხა 500 მანეთის ოდენობით. გარდა ამისა, ყოველთვიურად - 25 მანეთი ექვსი წლის განმავლობაში. პროექტი საყურადღებოა იმ აზრითაც, რომ თანხის მფლობელი, რომელიც კავშირში გაწევრიანდებოდა, ღებულობდა სარგებელს შეტანილი თანხის მიხედვით. თითოეულ წევრზე უნდა გაცემულიყო პაის ქვითარი, რომელიც შემდგომში მის მემკვიდრეს გადაეცემოდა.

კავშირს სათავეში უნდა ჩასდგომოდა გამგეობა, რომელიც ირჩეოდა ხუთი წლის ვადით, მის თავმჯდომარეს კი ირჩევდა საზოგადოება. კავშირის გამგეობის უპირველეს მოვალეობას სამღვდელოების მატერიალური უზრუნველყოფა წარმოადგენდა. იგი იურიდიული პირის უფლებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი, რომელსაც ექნებოდა თავისი კოოპერატივები, განყოფილებები, კულ-

ტურული დაწესებულებები და ა. შ.

„აღმოსავლეთ საქართველოს მორწმუნეთა სრული კავშირის" განკარგულებაში თავმოყრილი თანხები უნდა მოხმარებოდა როგორც ეკლესია-მონასტრებს, ასევე სასწავლებლებს. საზოგადოება-კავშირს ევალებოდა შუამდგომლობა გაეწია მთავრობასთან საეკლესიო მამულების დაბრუნების შესახებ; ასევე უნდა ეზრუნა მოხუცებულთა, ქვრივ-ობოლთა თავშესაფრებისა და კოლონიების, საავადმყოფოების კეთილმოწყობისათვის, მოეწყო დეპო-ბანკები თავიანთ ეპარქიებში, საიდანაც გაჭირვებულნი გაიმართავდნენ ხელს (107,67).

საქართველოს ეკლესიაში რუსული საეკლესიო პოლიტიკის გატარების შედეგად დამკვიდრებული მანკიერებებისაგან განთავისუფლება, ქართველი სამღვდელოების მხრიდან დიდ შრომასა და მოღვაწეობას მოითხოვდა. მისი მიზანი იყო ისეთი გზებისა და საშუალებების გამოძებნა, რომლებიც საბოლოოდ ამოძირკვავდნენ საქართველოს ეკლესიაში იმხანად დამკვიდრებულ მავნე და არაჯანსაღ ელემენტებს. ვასილ კარბელაშვილს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად, ჩამოყალიბებული აქვს თავისი შეხედულებები ეროვნული ეკლესიის მოწყობის თაობაზე, რისი საშუალებითაც მშობლიურ ეკლესიას ძველი იერსახე დაუბრუნდებოდა.

ისტორიის წარსული გაკვეთილების გათვალისწინებით, ვასილ კარბელაშვილს საინტერესო ანალიზი აქვს გაკეთებული იმის შესახებ, თუ რა განაპირობებდა ოდითგანვე საქართველოს ეკლესიის ძლიერებასა და შჯულის სიმტკიცეს (110,87). იგი აღნიშნავდა, რომ საქართველოს მოჭირნახულე კათალიკოსები, განსაკუთრებით ნიკოლოზ I და ანტონ I, როგორც კი შენიშნავდნენ სამღვდელოების დაკნინებას და მწვალებლობის მომძლავრებას, შჯულის წიგნების შედგენასა და გავრცელებას იწყებდნენ ხალხში, ამიტომ, ვასილ კარბელაშვილი, მიზანშეწონილად მიიჩნევდა ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას. მისი აზრით, ეროვნული ეკლესიის შენება თავიდან უნდა დაწყებულიყო, რისთვისაც საჭირო იყო შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1) შექმნილიყო ფონდი ისეთი წიგნების დასაბეჭდად, რომლებიც შჯულის გამორკვევას შეეხებოდა; აღნიშნული წიგნების გავრცელება გააბათილებდა მწვალებლობის მომძლავრებას;

2) დაბეჭდილიყო ლოცვანი ჟამის-წირვის, მწუხრისა და ცისკრის დროს და დარიგებოდა მორწმუნეებს;

3) საეკლესიო საიდუმლოთა წესების მტკიცე ნიადაგზე შესრულება, განსაკუთრებით ლიტურღიაზე, მიცვალებულთა წესის აგებაზე და ა. შ.;

4) დიდი სიფრთხილით გადასინჯულიყო და შესწორებულიყო რუსების მიერ შემოტანილი და დაბეჭდილი წიგნები;

5) დაბეჭდილიყო ტიპიკონი საქართველოს ეკლესიისათვის, ასევე შჯულის კანონი;

6) აღდგენილიყო ოხითანი, ძველი საგალობლები ქართველ წმიდანთა ხსენებისათვის, რაც ხელს შეუწყობდა მორწმუნე ერში მშობლიური ეკლესიისა და მისი წმიდანების თაყვანისცემას;

7) დიდი ყურადღება უნდა გამახვილებულიყო ტაძარში წირვის დროს მის გარეგნულ მხარეებზეც: კარგი კითხვა-გალობის, წირვის შეგნებით შესრულების, ქადაგებისა და წესრიგის მხრივ;

8) ყურადღება უნდა მიექციათ აგრეთვე ძველ ხელნაწერებსა და ძველ ნაბეჭდ წიგნებში დარჩენილ განსხვავებებზე, რისთვისაც საჭირო იყო შესაბამისი მშრომელთა წრის შედგენა;

9) საჭიროდ მიიჩნევდა ერთი ტიპიკონის არსებობას საქართველოს ყველა მოქმედ ტაძარში, რათა ღვთისმსახურების წესი დაუბრკოლებლად შესრულებულიყო.

ვასილ კარბელაშვილი აქვე შენიშნავდა, რომ იმ ერებში, სადაც ეროვნული იდეა არ იყო შესისხლხორცებული და სარწმუნოების შეგნებითი ქონა უკუგდებული და თითქმის დასამარებული იყო, ადვილი იყო განსაცდელის სწრაფი მოწევა (110,87). ამიტომაც იყო, რომ იგი საჭიროდ მიიჩნევდა სწორედ ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას.

დემოკრატიული საქართველოს მმართველობის პერიოდში (1918-1921 წწ.), რომელიც ზოგადად, ქართული კულტურის ისტორიაში დიდი აღმავლობით ხასიათდება, ვასილ კარბელაშვილმა გააქ-

ტიურა მუშაობა ქართული ეროვნული საგალობლების გავრცელებისა და მათი აღორძინების მიმართულებით. მას, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე მტკიცედ ჰქონდა დაცული პრინციპი ქართული გალობის ეროვნულ ნიადაგზე განვითარების შესახებ, უძველესი სასულიერო და საერო კილოების შეცვლა და დამახინჯება მიუტევებელ ცოდვად მიაჩნდა და ამგვარ საქციელს ბარბაროსობას, ჯალათობას და მოღალატეობას უწოდებდა (52,3). ახალი დემოკრატიული მთავრობის დახმარების იმედით, ძმებმა პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილებმა, მოხსენებითი ბარათით მიმართეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ რამიშვილს (105,3). ბარათში აღნიშნულია: „...უკანასკნელმა 117 მონობაში გატარებულმა წლებმა ბევრი რამ გვავნო და გადაგვარების გზაზე დააყენა ენაც, გალობაც, სიმღერაც, მაგრამ მადლობა ღმერთსა, დღეს ქართველ ერს თავი ხელთა აქვს და თვით უნდა ითაოს, თვით უნდა გაუძღვეს საერო კულტურულს მამა-პაპათა მიერ ნაანდერძევ გალობა-სიმღერასა და ფეხზე დააყენოს, თორემ დღეს ძველი საერო-სასულიერო კილოები ლამის გაჰქრნენ და აღიგავნენ პირისაგან ქვეყანისა და ჩვენ შვილიშვილებს საძებნელად გაუხდეთ...“ აღნიშნულ ბარათში ძმები გულწრფელ იმედს გამოთქვამდნენ, რომ ახალი დემოკრატიული მთავრობა დაეხმარებოდა ამ ეროვნული საქმის კეთილად წარმართვას, რათა საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული კილოები არ დაჰკარგვოდა ქართველ ერს. სიმღერა-გალობის სასწავლებლის დაარსება ძმებს განზრახული ჰქონდათ დარიის მონასტერში, რომელიც იმხანად დაცარიელებული იყო (105,97).

პატაკში, რომელიც ვასილ კარბელაშვილმა სრულიად საქართველოს მეორე საეკლესიო კრების (1920 წლის ივნისი) პრეზიდიუმს წარუდგინა, ითხოვდა ფულად დახმარებას ქართლ-კახური გალობის გამოსაცემად (95,6). იგი აღნიშნავდა, რომ საამისოდ მას სამი წლის განმავლობაში, ყოველწლიურად 50 000 მანეთი დასჭირდებოდა. გარდა ამისა, კრებას უნდა ეშუამდგომლა მთავრობასთან, რათა ამ უკანასკნელისაგანაც მიეღო დახმარება ხუთი წლის განმავლობაში.

ცნობილია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში აღსდგა ქართული საეკლესიო ისტორიული მუზეუმი, რომელიც დაარსდა რუსეთის თვითმპყრობელობის წლებში, კერძოდ, 1889 წლის 24 იანვარს. აღნიშნულმა მუზეუმმა თავის დროზე მეტად მნიშვნელოვანი მისია შეასრულა ეროვნული ეკლესიის საგანძურის დაცვა-გადარჩენის საქმეში. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, კვლავ დღის წესრიგში დადგა საეკლესიო მუზეუმის აღდგენა. ამ მამულიშვილურ საქმეს თვალსაჩინო ქართველ ინტელიგენციასთან ერთად, სათავეში ჩაუდგა საქართველოს ეკლესია, რომელმაც 1918 წლის 10 ივნისს, საკათალიკოსო საბჭოს სხდომაზე შექმნა საეკლესიო მუზეუმის კომიტეტი. კომიტეტის თავჯდომარედ დანიშნულ იქნა თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე (ოქროპირიძე), ხოლო მის შემადგენლობაში, მოსე ჯანაშვილთან და იუსტინე აბულაძესთან ერთად, შეყვანილ იქნა ვასილ კარბელაშვილი (10,246). ვასილ კარბელაშვილი, მატერიალური უსახსრობის მიუხედავად, დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მასში მოღვაწეობას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საეკლესიო მუზეუმის მუშაობაში.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მმართველობის პერიოდში (1918-1921 წწ.) ვასილ კარბელაშვილი აქტიურად აგრძელებდა ბრძოლას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკანონებისათვის. ამ პერიოდისათვის განსაკუთრებით აქტუალური იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემა, რომელიც მეტად ფრთხილ და გააზრებულ მოღვაწეობას მოითხოვდა ქართველი სამღვდელოების მხრიდან. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ანტისაეკლესიო პოლიტიკური კურსიდან გამომდინარე, საფრთხე შეექმნა ეროვნული ეკლესიის, როგორც ასეთის არსებობას. ვასილ კარბელაშვილმა, ბრძოლის უკიდურესად რადიკალური მეთოდების მიუხედავად, თავისი მკაფიო, ეპოქისათვის შესატყვისი პოზიცია გამოხატა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა მოწესრიგების თვალსაზრისით. დიდია მისი დამსახურება ეროვნული ეკლესიის ისტორიული მისიის წარმოჩენასა და განმტკიცების მიმართულებით. ვასილ კარბელაშვილის

მიერ შედგენილ საზოგადოება-კავშირების წესდება-პროექტებში ნათლად ჩანს მოწინავე ქართველი სამღვდელოების მცდელობა ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად. ახალ დემოკრატიულ მთავრობასთან თანამშრომლობას და მასთან საერთო ენის გამონახვას იგი ქართველი სასულიერო კრებულის განწმენდის, განახლების გზით ცდილობდა. ვასილ კარბელაშვილს ჩამოყალიბებული აქვს თავისი შეხედულებები საქართველოს ეროვნული ეკლესიის მოწყობის თაობაზე, რისი მეშვეობითაც მშობლიურ ეკლესიის ძველი იერსახე უნდა დაბრუნებოდა. ვასილ კარბელაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის აღმაელობის საქმეში.

ვასილ კარბელაშვილმა საქართველოს ეკლესიის დაცვა-გადარჩენისათვის ბრძოლა შემდგომ ეპოქაშიც (XX ს. 20-30-იანი წლები) განაგრძო. როგორც მესამე თავში აღვნიშნეთ, 1925 წელს იგი ბერად აღიკვეცა და სტეფანედ სახელდებული ბოდბელ ეპისკოპოსად აკურთხეს. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეს ეტაპი კიდევ უფრო დიდი სირთულეებითა და წინააღმდეგობებით გამოირჩეოდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921 წ. 25 თებერვალი), საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრება ძირ-ფესვიანად შეიცვალა. ეპოქალური მოთხოვნილებების შესაბამისად, საქართველოს ეკლესიის მესვეური სამღვდელოების წინაშე ახალი პრობლემატური საკითხების გადაწყვეტა წამოიჭრა, რადგანაც პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიას სახელმწიფოს წინაშე თავისი უმთავრესი ისტორიული ფუნქცია და დანიშნულება დაეკარგა. ახალი საბჭოური იდეოლოგია მთელი სიმძაფრით დაუპირისპირდა ეკლესიას. ქართველი სამღვდელოების ბრძოლა სხვა განზომილებაში გადავიდა და ის უმთავრესად ეკლესიის ფიზიკური გადარჩენის ძალისხმევას უკავშირდებოდა.

ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელს (ვასილ კარბელაშვილი), როგორც მაღალ ხარისხში მყოფ სასულიერო პირს, არსებული რთული პოლიტიკური ვითარება უფრო მეტ პასუხისმგებლობას ანიჭებდა ეროვნული ეკლესიისა და სამშობლოს წინაშე და მის

შემოქმედებით ცხოვრებას კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა. მისი მოღვაწეობა საბჭოთა პერიოდში, ეპოქალური თავისებურებებისა და საარქივო-დოკუმენტური მასალის დიდი მოცულობის გათვალისწინებით, ცალკე შესწავლის საგანს წარმოაგენს, ამიტომ ჩვენი ნაშრომის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი 1921 წლამდე განვსაზღვრეთ. სამომავლოდ გათვალისწინებული გვაქვს თვალსაჩინო სასულიერო პირისა და საზოგადო მოღვაწის, ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) შემოქმედების მონოგრაფიული გაშუქება საბჭოთა ეპოქაში.



ძმები კარბელაშვილები
(პოლიევქტოსი, ვასილი, პეტრე, ანდრია)

# დასკვნა

განუზომლად დიდია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის როლი და მნიშვნელობა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მატიანეში, რომელმაც იმთავითვე იტვირთა ქართული სახელმწიფოს გაერთიანებისა და განმტკიცების მისია. საქართველოს ეკლესიის აქტიური ზეგავლენა ქართულ სახელმწიფოებრიობაში ხელს უწყობდა ქართველთა ეროვნული თვითმყოფადობის განმტკიცების საქმეს. ეროვნული ეკლესიდან იწყებოდა ქართველობის თვითშეგნების, ღვთისა და მამულისადმი ერთგულებისა და თავგანწირვის ქადაგება, რომლის მაგალითსაც თვით სასულიერო პირები იძლეოდნენ. საქართველოს ეკლესია ოდითგანვე უდიდეს როლს ასრულებდა ერის მორალურ-ზნეობრივი და სარწმუნოებრივი აღზრდის საქმეში. ასეთი მისიის შესასრულებლად, ეროვნული ეკლესიის სამსახურში ღირსეულად მომზადებული ღვთისმსახურები იდგნენ. საქართველოში არსებული მრავალრიცხოვანი ეკლესია-მონასტრები სათავეში ედგნენ ერის კულტურულ ცხოვრებასაც. ეკლესიიდან დაიწყო ეროვნული მწერლობის აღორძინება; ეკლესია-მონასტრებთან გახსნილი სასწავლებლები ხელს უწყობდნენ ერის კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლებას.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკური დამოუკიდებლობის გაუქმებამ და ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვამ, უკიდურესად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს შემდგომი პერიოდის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაზე. რუსეთის იმპერიის სარწმუნოებრივი პოლიტიკის გატარების ხანგრძლივმა პროცესმა თავისი გარდაუვალი შედეგი გამოიღო და საქართველოს ეროვნული ეკლესიის საბოლოო გადაგვარებისაკენ მიდიოდა. საქართველოს ეკლესიაში მრავალი მანკიერებანი დამკვიდრდა, რაც აშკარად უცხო და თავს მოხვეული, შორს გამიზნული ინტერესებიდან გამომდინარე ხდებოდა. უპირველეს ყოვლისა, დარღვეულ იქნა სამღვდელოებისა და მორწმუნე ერის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული

ჰარმონიული ურთიერთობანი. საქართველოს ეკლესიის და მისი სასულიერო კრებულის ავტორიტეტის დაცემამ გამოიწვია სრული სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმი. ქართული ენის უგულვებელყოფამ, მოძღვრება-ქადაგების შეზღუდვა-დაკნინებამ, ეროვნული საგალობლების, ქართული სადვთისმეტყველო ლიტერატურის და სხვა ეროვნული ელემენტების აღმოფხვრამ, საგრძნობლად დააქვეითა ქართველთა ეროვნული თვითშეგნება, რამაც საბოლოო ჯამში მამა-პაპისეული შჯული საგრძნობლად შეარყია.

საქართველოს ეროვნული ეკლესიის გადარჩენის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართველი სამღვდელოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს, რომლებმაც მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა სისხლხორცეულად დაუკავშირეს საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და მკაცრი რეპრესიების მიუხედავად, მტკიცედ დადგნენ საერთო ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა მეტად რთული და მრავალმხრივი პრობლემების გადაწყვეტას მოითხოვდა. საქართველოს ეკლესიისათვის ეროვნული შინაარსის დაბრუნება უპირველეს ყოვლისა, მამა-პაპათა შჯულის აღდგენით იყო შესაძლებელი; საჭირო და აუცილებელი გახდა დაკნინებული ეროვნული თვითშეგნების აღდგენა-განმტკიცება. რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში ეროვნული თვითშეგნების დაცემა მრავალი მიზეზით იყო განპირობებული, საჭირო იყო ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად ბრძოლა როგორც ეკლესიის წიაღში, ასევე სასწავლო-საგანმანათლებლო ქსელში, სადაც მომავალი თაობის აღზრდა-ჩამოყალიბება ხდებოდა. სასულიერო პირთა წინაშე გადასაწყვეტი საკითხების ფართო წრეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმის აღმოფხვრა, მრევლისა და მოძღვრის დაახლოება, სამღვდელოების დაკარგული ავტორიტეტის აღდგენა ხალხში, მოძღვრება-ქადაგებების გაძლიერება და ეკლესიის საშუალებით ქართველი ერის მობრუნება ტრადიციული ეროვნული ღირებულებებისაკენ. გარდა ამისა, აუცილებელი გახდა რუსი ეგზარქოსების მიერ გაძარცვული

ეროვნული ეკლესიის საგანძურის შეკრება და დაცვა, ძველ ნაშთთა მოვლა-პატრონობა, ქართული სადვთისმეტყველო სკოლის აღდგენა, უძველესი ქართული სასულიერო მწერლობის წარმოჩენა, ქართული საეკლესიო მუსიკის აღდგენა-შენარჩუნებისათვის ბრძოლა და ა. შ.

საქართველოს ეროვნული ეკლესიის ინტერესების დასაცავად მებრძოლ სასულიერო პირთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეპიკოპოს სტეფანე ბოდბელს (ვასილ კარბელაშვილი), რომელმაც თავისი მოღვაწეობით ღრმა კვალი დატოვა არა მარტო საქართველოს ეკლესიის მატიანეში, არამედ, ზოგადად საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. იგი XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისის თვალსაჩინო მოღვაწე, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდიდანვე ჩაება აქტიურ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი) თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ გამოცემებთან და სხვადასხვა ფსევდონიმებით აქვეყნებდა წერილებს ერისათვის საჭირბოროტო საკითხებზე. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი თანამშრომლობა გაზეთ "დროება"-სთან; იგი ფართოდ იყო ჩაბმული "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მუშაობაში; მონაწილეობას ღებულობდა ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებების, ხალხური პოეზიის, თქმულება-გადმოცემებისა და სხვა ხასიათის მასალების შეგროვება-თავმოყრაში; თანამშრომლობდა ქართულ თეატრალურ დასსთან; ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას და ა. შ.

ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მღვდლად კურთხევის შემდეგ (1881 წ. 16 ოქტომბერი), მისი სამოღვაწეო ასპარეზი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სისხლხორცეულად დაუკავშირდა საქართველოს ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლას.

საქართველოს ეროვნული ეკლესიის ისტორიული საფუძვლის აღდგენისათვის ბრძოლაში, ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი) უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებდა მამა-პაპისეუ-

ლი სჯულის აღდგენასა და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება-განმტკიცების საკითხებს და მიიჩნევდა, რომ სწორედ ამ გზით უნდა მომხდარიყო ქართველი ერის შემობრუნება ტრადიციული ეროვნული ღირებულებებისაკენ. მისი მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიაში და სასწავლო-საგანმანათლებლო ქსელში მტკიცე ეროვნულ პრინციპებზე იყო დამყარებული. მკაცრი რეაქციის მიუხედავად, აშკარა წინააღმდეგობას უწევდა რუსი ჩინოვნიკების მიერ გატარებულ ანტიქართულ პოლიტიკას და ხელს უწყობდა მომავალი თაობის ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება-განმტკიცების პროცესს; იბრძოდა სასწავლებლებში ქართული ენის დამკვიდრებისათვის, რათა აღსაზრდელს საღმრთო სჯული მშობლიურ ენაზე შეეთვისებინა; მისი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო მომავალ ქართველ დედათა აღზრდა და მათში ეროვნული სულისკვეთების ჩამოყალიბება. მისი ღრმა რწმენით, ქართული ეროვნული თვითშეგნების აღზრდა-ჩამოყალიბებაში, სამღვდელოების გარდა თავისი წვლილი უნდა შეეტანა ქართველი საზოგადოების ყველა წოდებისა და კლასის წარმომადგენელს. უმთავრესი საკითხი, სადაც ქართული ეროვნული თვითშეგნების აღზრდა-ჩამოყალიბების ქვაკუთხედი უნდა დადებულიყო, მამა-პაპათა სჯულის აღდგენა იყო, რათა მომავალ თაობაში ქრისტეს მარადიულ მცნებებზე დაფუძნებული ცოცხალი სარწმუნოება აღზრდილიყო.

საქართველოს ეროვნული ეკლესიის ისტორიული საფუძვლის აღდგენა-განმტკიცების საქმეში ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი) უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმის აღმოფხვრასა და ქართველი ერის ეკლესიის წიაღში დაბრუნებას. მისი მოსაზრებით, სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმის აღმოფხვრა, უპირველეს ყოვლისა, სასულიერო წოდების განწმენდა-განახლების გზით უნდა მომხდარიყო, რომელთა ავტორიტეტი ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით მეტად შელახული იყო. იგი ყურადღებას ამახვილებდა სასულიერო სასწავლებლებში ეროვნული სულისკვეთების გაღვივებასა და მომავალ სამღვდელო პირთა სწორი ეროვნული ორიენტაციის ჩამოყალიბებაზე. საქართველოს ეკლესიაში არსებული რეალობის

ობიექტური გაშუქებით ცდილობდა საზოგადოებისათვის დაენახვე-ბინა სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმის ნამდვილი მიზეზები. სასულიერო წოდების მხილებისა და კრიტიკის საშუალებით კი ლამობდა მათ გამოფხიზლებასა და ეროვნული ეკლესიის სამსახ-ურში ჩაყენებას.

ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელს (ვასილ კარბელაშვილი) მნიშ-ვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ეროვნული კულ-ტურის სიძველეთა დაცვა-გადარჩენისა და შესწავლის საქმეში. მან უდიდესი ამაგი დასდო ეგზარქოსების მერ გაძარცვული მონასტ-რებიდან გაბნეული ქართული კულტურის უძველესი ნიმუშების თავმოყრასა და დაცვას. აქტიურად იბრძოდა ქართული საეკლე-სიო მუზეუმის დაარსებისა და შემდეგში მისი მუშაობის მიმა-რთულებით; იყო ამ მუზეუმთან შექმნილი მეცნიერთა კომიტეტის წევრი, რომლის მიერ მოძიებულ და გამოკვლეულ იქნა არა ერთი ისტორიული საბუთი და სიგელ-გუჯარი; ილვწოდა ძველი ქართუ-ლი არქიტექტურული ნაშთების შესწავლისა და მოვლა-პატრონო-ბის მიმართულებით; იგი მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რომლის მიერ აღწერილ და შესწავლილ იქნა ქართული არქიტექტურული ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი სამცხე-ჯავახ-ეთში, განსაკუთრებით ის ძეგლები, რომლებიც არ იყვნენ შეტანილ-ნი იმ დროის თვალსაჩინო ისტორიკოსებისა და გეოგრაფების მიერ შედგენილ ნუსხებში; საქართველოს ამ უძველესი კუთხის ძეგლების დაცვა მით უფრო იყო ყურადსაღები, რომ არაქართველი მოსახლეობის, კერძოდ სომხების მიერ მათი მითვისება ხდებოდა. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ პრობლემას დღესაც არ დაუკარ-გავს აქტუალობა. ძეგლთა დაცვისა და შესწავლის მიზნით, მან ქართველ მამულიშვილებს მოუწოდა შეექმნათ „მგზავრთა ძმობა - საზოგადოება", სადაც ამ საქმის მცოდნე პროფესიონალები გაერ-თიანდებოდნენ. მასვე ეკუთვნის ქართული სასულიერო მწერლო-ბის უძველესი ნიმუშების დაბეჭდვა და დღის სინათლეზე გამო-ტანა. ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელს (ვასილ კარბელაშვილი) ამ მიმართულებით მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ერის მორალურ-ზნეობრივი სიწმინდისა და სარწმუნოების განმტკიცების

საქმეში.

უაღრესად მნიშვნელოვანია ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) დამსახურება ქართული საეკლესიო გალობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის, რომელმაც დაუღალავი შრომისა და თავგანწირვის ფასად, ქართლ-კახური საგალობლები ნოტებზე გადაიტანა და დღის სინათლეზე გამოიტანა. იგი შეუპოვრად იბრძოდა ეროვნული გალობის სიწმინდის დასაცავად. მისი მოღვაწეობა ზოგადად მუსიკალური კულტურის დარგში მტკიცე პრინციპს ემყარებოდა - ქართული ეროვნული სიმღერა-გალობა მხოლოდ ეროვნულ ნიადაგზე უნდა განვითარებულიყო. საყურადღებოა ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მოღვაწეობა ქართული საეკლესიო გალობის შესწავლის მიმართულებითაც სასწავლო-საგანმანათლებლო ქსელში, რისთვისაც მას შედგენილი ჰქონდა სპეციალური პროგრამები.

ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ცარიზმის პერიოდში ხასიათდებოდა მკვეთრი რადიკალურობითა და პრინციპულობით. მისი მოღვაწეობის აღნიშნულ პერიოდში თანაბარზომიერად იყო შეზავებული სიტყვა და საქმე. იმპერიაში გამეფებული მკაცრი რეაქციის მიუხედავად, იგი აწარმოებდა როგორც ლეგალურ, ისე იატაკქვეშა ბრძოლას არსებული რეჟიმის წინააღმდეგ.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების საქმეში, უპირველეს ყოვლისა, წინა რიგში აყენებდა მისი იურისდიქციის აღდგენას ისტორიულ-ტერიტორიალურ საზღვრებში, რაც საწინდარი უნდა გამხდარიყო იმპერიის ანტიეროვნული პოლიტიკის შედეგად დანაწევრებული საქართველოს აღდგენა-გამთლიანებისა;

საქართველოს ეკლესიის თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის გზაზე, იგი გამორიცხავდა ავტოკეფალიის საკითხის ეტაპობრივ გადაწყვეტას და გამოდიოდა სამღვდელოების იმ ჯგუფის წინააღმდეგ, რომელიც მიიჩნევდა, რომ ბრძოლის პირველ ეტაპზე ავტონომიური მიტროპოლიის დაარსება გამართლებული იყო;

ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი) სა-

მართლიანად მიუთითებდა, რომ ავტოკეფალიის მოპოვებისათვის ბრძოლის ტაქტიკა მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობის ჩარჩოებში უნდა მოქცეულიყო. მას ღრმად სწამდა, რომ მხოლოდ ასეთი გზით დაუბრუნდებოდა მშობლიურ ეკლესიას ეროვნული შინაარსი და განმტკიცდებოდა მისი ისტორიული საფუძველი;

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში, რომელიც იმავდროულად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, იგი აუცილებელ ფაქტორად მიიჩნევდა მთელი ერის დარაზმვა-კონსოლიდაციას. ეკლესიას უპირველეს ყოვლისა მორწმუნე ერი შეადგენდა და სწორედ მას უნდა გამოეხატა თავისი ურყევი ნება;

მის მოღვაწეობაში მკვეთრადაა ხაზგასმული უარყოფითი დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. არ ამართლებდა პარტიის ძირითად კურსს, რაც სოციალური ინტერესების ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დაყენებაში გამოიხატებოდა და მართებულად ადანაშაულებდა მას კლასობრივი დაპირისპირებისა და ძმათა-მკვლელობის გაჩაღებაში. ეს უკანასკნელი კი სრულიად მიუღებელი იყო ქრისტიანული ნორმების თვალსაზრისით. მიუხედავად ასეთი პოზიციისა, იგი ფართოდ იყო ჩაბმული საერთო-დემოკრატიულ მოძრაობაში და ხალხთან საერთო ენის გამონახვისა და მათთან დაახლოების მიზნით, სოციალური გამოსვლების თანადგომასაც გამოხატავდა.

1917 წლის 12 მარტის ისტორიული მოვლენის შემდეგ, როდესაც აღდგენილ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი) მოღვაწეობა შესაბამისად წარიმართა ავტოკეფალიის დაკანონებისათვის. საყურადღებოა, რომ იგი იმთავითვე მტკიცედ დადგა საქართველოს ეკლესიის უფლებების დაცვის სადარაჯოზე და თავისი მკაფიო სიტყვა თქვა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აღდგენის თვალსაზრისით მის ისტორიულ-ტერიტორიალურ საზღვრებში. იგი, როგორც საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის წევრი და შემდეგში საკათალიკოსო საბჭოს წევრი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ეროვნული ეკლესიის მარ-

თეა-გამგეობის ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგებაში. მას შემუშავებული აქვს არა ერთი წესდება-პროექტი სასულიერო განათლების რეფორმაციისა და ეკლესიის ორგანიზაციული მმართველობის მოწყობის თაობაზე, სადაც ნათლად ჩანს მისი შეხედულებები ეროვნული ეკლესიისათვის სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მმართველობის პერიოდში (1918-1921 წწ.) ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი) კვლავ აქტიურად განაგრძობდა ბრძოლას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკანონებისათვის. მისი მოღვაწეობის აღნიშნულ პერიოდში, განსაკუთრებით აქტუალური იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების პრობლემა, რომელიც უაღრესად ფრთხილ და გააზრებულ მოქმედებას მოითხოვდა ქართველი სამღვდელოების მხრიდან. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ანტისაეკლესიო პოლიტიკური კურსიდან გამომდინარე, საფრთხე შეექმნა ეროვნული ეკლესიის, როგორც ასეთის არსებობას. მან, ბრძოლის უკიდურესად რადიკალური მეთოდების მიუხედავად, თავისი მკაფიო, ეპოქისათვის შესატყვისი პოზიცია გამოხატა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა მოწესრიგების თვალსაზრისით. დიდია მისი დამსახურება ეროვნული ეკლესიის ისტორიული მისიის წარმოჩენისა და განმტკიცების მიმართულებით. მის მიერ შედგენილი საზოგადოება-კავშირების წესდება-პროექტებში ნათლად ჩანს მოწინავე ქართველი სამღვდელოების მცდელობა ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად. ჩამოყალიბებული აქვს თავისი შეხედულებები საქართველოს ეროვნული ეკლესიის მოწყობის თაობაზე, რისი მეშვეობითაც მშობლიურ ეკლესიას ძველი იერსახე უნდა დაბრუნებოდა. დემოკრატიული მთავრობის მმართველობის პერიოდში მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის ამაღლების საქმეში.

# Епископ Стефанэ Бодбели (Василий Карбелашвили)

В летописи многовековой истории Грузии неизмеримо велики роль и значение Грузинской Апостольской Церкви, которая сразу взяла на себя миссию объединения и укрепления грузинского государства. Активное влияние Грузинской Церкви на грузинскую государственность способствовало сохранению национальной самобытности грузин, повышению культурно-образовательного уровня народа, морально-нравственному и религиозному воспитанию. Для выполнения историко-культурной функции перед страной национальная церковь должна была обязательно сохранить свою самобытность, что испокон веков актуально в летописи истории Грузинской Церкви. В начале XIX века в результате упразднения Российской империей государственной независимости Грузии и автокефалии церкви Грузинская Церковь утратила главнейшую функцию, борьба за восстановление и укрепление которой развернулась благодаря усилиям отцов национальной церкви и была тесно связана с национально-освободительным движением в стране в 60-80-ые годы XIX века. Среди борющихся за сохранение интересов национальной церкви Грузии духовных лиц особое место занимает епископ Стефанэ Бодбели (Василий Карбелашвили), оставивший своей деятельностью глубокий след не только в истории грузинской Церкви, но и вообще грузинской общественно-культурной жизни. Он является выдающимся деятелем последней четверти XIX и начала XX вв., который еще в период учебы в Тбилисской духовной семинарии включился в активную общественно-культурную жизнь. После рукоположения его священником (16 октября 1883 г.) поприще его деятельности значительно расширилось и было связано с борьбой за восстановление автокефалии национальной церкви Грузии.

В борьбе за восстановление исторических основ национальной Грузинской Церкви епископ Стефанэ Бодбели (Василий Карбелашвили) отдавал преимущество восстановлению веры отцов и дедов и вопросам формирования и укрепления национального самосознания, считая, что именно этим путем должно произойти возвращение грузинского народа к традиционным национальным цен-

ностям. Его деятельность в Грузинской Церкви и учебно-просветительской сети основывалась на твердых национальных принципах. Несмотря на жесткую реакцию, епископ Стефанэ Бодбели (Василий Карбелашвили) оказывал явное сопротивление проводимой русскими чиновниками антигрузинской политике и способствовал процессу формирования национального самосознания будущего поколения. Он боролся за упрочение грузинского языка в училищах, чтобы воспитанники могли осваивать богословие на родном языке; особым предметом его заботы было воспитание грузинских матерей и формирование в них национального духа. Епископ Стефанэ Бодбели (Василий Карбелашвили) придавал громадное значение искоренению религиозного индифферентизма и возвращению в лоно церкви грузинского народа. Объективно освещая существующую в Грузинской Церкви реальность, он пытался показать обществу настоящие причины религиозного индифферентизма, а посредством разоблачения и критики духовных лиц отрезвить и поставить их на службу национальной церкви.

Епископ Стефанэ Бодбели (Василий Карбелашвили) внес значительный вклад в дело защиты, спасения и изучения старинных памятников грузинской национальной культуры. Он активно боролся за основание церковного музея Грузии и впоследствии активно включился в его работу; был членом созданного при музее научного комитета, благодаря которому были разысканы и исследованы исторические документы и грамоты; епископ Стефанэ Бодбели (Василий Карбелашвили) боролся также за изучение и уход древнегрузинских архитектурных памятников; он напечатал древнейшие образцы грузинской духовной литературы, ознакомив с ней общественность. Чрезвычайно велика заслуга епископа Стефана Бодбели (Василия Карбелашвили) в восстановлении и сохранении грузинского церковного песнопения, который ценой неустанного труда и самопожертвования переложил картл-кахетинские песнопения на ноты. Он неустанно боролся за защиту святости национального песнопения.

Борьба епископа Стефанэ Бодбели (Василий Карбелашвили) за восстановление Грузинской Церкви в период царизма характеризовалась резким радикализмом и принципиальностью. Несмотря на царящую в империи жесткую реакцию, он вел как легальную, так и нелегальную борьбу против существующего режима. В деле

получения автокефалии Грузинской Церковью он ставил на первое место восстановление её юрисдикции в историко-территориальных границах, что должно было стать началом восстановления целостности раздробленной в результате имперской антинациональной политики Грузии; он исключал поэтапное решение вопроса об автокефалии и выступал против той группы духовенства, которая считала, что на первом этапе борьбы основание автономной митрополии было оправданно.

Епископ Стефанэ Бодбели (Василий Карбелашвили) справедливо указывал, что тактика борьбы за автокефалию должна быть в рамках всемирного церковного законодательства. Он глубоко верил, что именно таким путем можно было вернуть родной церкви национальное содержание и укрепить ее историческую основу. Он считал необходимым фактором консолидацию всего народа. Церковь, в первую очередь, состояла из верующего народа и именно он должен был выразить свою несгибаемую волю. С целью нахождения общего языка с народом и сближения с ним, епископ Стефанэ Бодбели (Василий Карбелашвили) был активно включен в общедемократическое движение и выражал сочувствие социальным выступлениям.

После исторического явления 12 марта 1917 года, когда была восстановлена автокефалия Грузинской Церкви, епископ Стефанэ Бодбели (Василия Карбелашвили) твердо встал на защиту прав церкви и высказал свой четкий взгляд на восстановление юрисдикции Грузинской Церкви в её историко-территориальных границах. Будучи членом комитета временного правления Грузинской Церкви и членом каталического совета, он активно участвовал в упорядочении организационных вопросов управления национальной церковью. Он выработал не один устав и проект реформы духовного образования и организационного управления церковью.

В период правления Грузинской Демократической Республики (1918-1921 гг.) епископ Стефанэ Бодбели (Василий Карбелашвили) вновь активно продолжает бороться за узаконение автокефалии Грузинской Церкви. Несмотря на чрезвычайно радикальные методы борьбы, он выразил свою четкую, соответствующую эпохе позицию по вопросу упорядочения отношений между церковью и государством. Велика его заслуга в представлении и укреплении ис-

торической миссии национальной церкви. В период правления демократического правительства епископ Стефанэ Бодбели (Василий Карбелашвили) внес значительный вклад в дело расцвета грузинской культуры.

## Bishop Stephane Bodbeli (Vasil Karbelashvili)

Role and importance of apostolic church of Georgia is infinitely great in the centuries-old Georgian chronicle, which immediately for that time took the mission to integrate and strengthen State of Georgia. Active influence of Georgian church within Georgian State system supported maintenance of Georgian national originality, rising of cultural-educational level of the nation, also – moral-ethical and religious education. Necessary term for performing the historical-cultural function before the Country is maintenance of its originality – which always has been actual in the chronicle of Georgian church history.

In the beginning of the XIX-th century - in result of abolishment of autocephaly of church and state independence of Georgia by the Russian empire - Georgian church lost its most important function, but fight for restoration and strengthening of the mentioned by the leading priesthood of national church was conducted in close cooperation with national-liberation movement, having place in the 60-80-th years of the XIX-th century in the country.

Important place among the religious persons, fighting for the interests of national church of Georgia holds Bishop Stephane Bodbeli (Vasil KarbelaShvili), - the person, who left the deep steps by his activity not only in the chronicle of Georgian church history, but within the social-cultural life of Georgia in general. He is the famous figure for the period of the last quarter of the XIX-th century and the beginning of the XX

century. He got actively involved in social-cultural life during his study period at Religious Academy. After the consecration as a priest (October 16, 1883) his activity field became wider and the bishop strongly connected to the struggle for restoration of autocephaly of Georgian national church.

In the fight for restoration of historical basis of Georgian national church bishop Stephane Bodbeli (Vasil Karbelashvili) strongly preferred restoration of ancestral faith and the issues related with establishment and strengthen of national self-consciousness, he considered, that this was the way for returning of Georgian nation to the traditional national values. His activity within the Georgian churches and educational net was based on the strong national principles. In spite of severe reaction, he clearly opposed anti Georgian policy by the Russian officials and supported the process for establishment and strengthening of national self-consciousness of the future generation. He fought for foundation of Georgian language within educational facilities – in order to learn the religious studies by the students in native language. Special subject of his care was education of future Georgian mothers and development of national aspiration among them. Bishop Stephane Bodbeli (Vasil Karbelashvili) gave the greatest importance to eradication of religious insensibility and returning of Georgian nation to the profundity of Georgian church. By objective screening of reality, existing within Georgian churches he tried to show the society real reasons of religious insensibility. By revealing of religious titles-ranks and critics the bishop wanted to awake them and getting them in the service of national church.

The share of the bishop Stephane Bodbeli (Vasil Karbelashvili) in the sphere of protection, survival and study of Georgian national cultural antiquities is great. He actively fought for establishment of Georgian Church Museum and its further working referral. He was the member of the scientists` committee, established with this museum; he personally searched and explored various historical documents and deeds (so called "Sigel-Gujari"). Bishop Stephane Bodbeli (Vasil Karbelashvili) acted for studying and learning of old Georgian architectural ruins – with care

referral of those. He published the oldest examples of Georgian religious writings. His activity is the issue of the greatest importance in the sphere of maintenance and restoration of Georgian religious chant. Due to his tireless activity and selflessness chants of Kartli and Kakhetia was interpreted into the music and published. He obstinately fought for protection of clearness of national chants.

Fight by the bishop Stephane Bodbeli (Vasil Karbelashvili) for restoration of autocephaly of Georgian church characterized with clear radicalism and principality during the Tsarism period. In spite of severe reaction, which had a place in the empire, he struggled against existing regime both legally and in secret. In the process and deeds of procuring of autocephaly of the Georgian church he gave the primary importance to restoration of its jurisdiction within historical-territorial borders, which should become the basis for restoration and integration of Georgia, being separated by that time in result of anti national policy of the empire. The bishop excluded solution of autocephaly problem in stages and opposed the group of priests, which considered that establishment of autonomic metropolis on the first stage of the fight was justified and logic.

Bishop Stephane Bodbeli (Vasil Karbelashvili) fairly pointed, that fight tactics for procuring the autocephaly should be get into the world church legislation framework. He deeply believed that this was the way to return the national contest to the native church and strengthen its historical basis. He considered the consolidation of the whole nation as a necessary factor. First of all, church was consisted of believer nation and namely they should express their strong will. With purpose of getting the common language with population and close relationship with them he was widely involved in general democratic movement and expressed his support to social actions.

After historical events of the March 12, 1917, when autocephaly of Georgian church was restored, bishop Stephane Bodbeli (Vasil Karbelashvili) immediately stood on the guard border of protection of Georgian church's rights and declared his clear speech with respect of restoration of Georgian church's jurisdiction within its historical-territorial borders.

He was the member of Temporary Managing Committee and further - the member of Ecclesiastic Board. He took active part in the regulation of organizational issues of management of the national church; he elaborated not one provision-project on religious educational reform and administration of organizational management of church.

Within the period of government of Democratic Republic of Georgia (1918-1921) bishop Stephane Bodbeli (Vasil Karbelashvili) still actively continued fighting for legalization of autocephaly of Georgian church. In spite of extreme radical methods of fight, he expressed his clear position – complied with that epoch – with respect of regulation of relationship between the State and church. He has done great service to strengthen and screen the historical mission of church. In the period of democratic government bishop Stephane Bodbeli (Vasil Karbelashvili) did his greatest bit in development of Georgian culture.

# ბიბლიოგრაფია

## I სამეცნიერო ლიტერატურა


1. ბერაძე თ., სანაძე მ., საქართველოს ისტორია, წ. I, თბ., 2003
2. გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. III, თბ., 1954
3. გოგებაშვილი ი., რჩეული თხზულებანი, ტ. III, თბ., 1990
4.ვარაზაშვილი ა., ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში (XX ს. დასაწყისიდან 1917 წლამდე), თბ., 2000
5. თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995
6. თორაძე ე.ა., თორაძე ნ.ე., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მე-19 და მე-20 საუკუნეებში, თბ., 1995
7. იოსელიანი ა., საქართველოს ისტორიის პრობლემები და თვერგდალეულნი, თბ., 1972
8. ნიკოლაძე ევ., საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთაისი, 1918
9. პავლიაშვილი ქ., საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, თბ., 1995
10. პავლიაშვილი ქ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში, თბ., 2000
11. საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, ტ. I, ნ. ბერძენიშვილის, ვ. დონდუას და მ. დუმბაძის რედაქციით, თბ., 1958
12. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, V, ხიდურელი ზ., „სამეფო დომენი და ეკლესია", თბ., 1986
13. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1998
14. შველიძე დ., პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში – ფედერალისტები, თბ., 1993
15. ცინცაძე კ., ჩემი მოგონებებიდან, თბ., 2001
16. ძველი ქართული მწერლობა, ნიკოლოზ I (1149-1160) ქართლის კათალიკოს-პატრიარქის შედგენილი „საკითხავი სუეტის ცხოველისაჲ კუართისა საუფლოისა და კათოლიკე ეკკლესიისა", ტფ., 1908

17. ხუციშვილი მ., საქართველოს საგზარქოსოს რეაქციული ღონისძიებები რევოლუციური მოძრაობის განვითარების პერიოდში, თბ., 1972
18. ხუციშვილი მ., საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია, თბ., 1987
19. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, ნაწ. I, თბ., 1929
20. ჯაფარიძე ა., საქართველოს საეკლესიო კრებები, ტ. I, საკანონმდებლო კრებები XII-XX სს., თბ., 2003
21. ჯაფარიძე ა., საქართველოს საეკლესიო კრებები, ტ. III, მიმდინარე კრებები XIX-XX სს., თბ., 2003
22. ჯაფარიძე შ., საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი 1905-1907 წლების რევოლუციურ საქართველოში, (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 2003
23. Гершельман Ф., Причины неурядець на Кавказъ, С-Пб., 1908
24. Дурново Н.Н., Исторический очерк автокефальных церквей Иверской и Имеретинской, М., 1910
25. Цагарели А., Статьи и заметки по Грузинскому церковному вопросу, С-Пб., 1912

## II პერიოდული გამოცემები

### ა) საჟურნალო პუბლიკაციები

26. ამირეჯიბი შ., საქართველოს ეკლესიის საუნჯე, ჟურ. „კლდე", №18, თბ., 1913
27. არომელიძე ტ., დღევანდელ პედაგოგიკაში აღძრული საკითხის გამო, ჟურ. „მოგზაური", №1-8, თბ., 1904
28. „გეირგეინი" ღვთივშვენიერი თხრობანი სულისა ფრიად მარგებელნი, გამოცემული მღვდლის ე.გ. კარბელაშვილის მიერ, ჟურ. „კვალი", №13, თბ., 1893
29. ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე), საგრძნობელი შეცდომა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხში, ჟურ.

„ჯვარი ვაზისა", №11, თბ., 1906
30. ჟურ. „მწყემსი", №6-7, ქუთაისი, 1905
31. ჟურ. „მწყემსი", №11, ქუთაისი, 1906
32. ჟურ. „მწყემსი", №19-20, ქუთაისი, 1906
33. ჟურ. „მწყემსი", №19-20, ქუთაისი, 1908
34. ჟურ. „თეატრი და ცხოვრება", №40, თბ., 1914
35. ჩხეტია შ., დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა, ჟურ. „საისტორიო მოამბე", თბ., 1947
36. „Весь Кавказъ" Иллюстрированный справочно-литературный сборникъ, № 1, Тф., 1903
37. Жур. „Духовный вестник Грузинского экзархата", №6, Тф., 1903
38. Жур. „Духовный вестник Грузинского экзархата", №3, Тф., 1906

## ბ) საგაზეთო პუბლიკაციები

39. ალხაზიშვილი ი., ხმა ჯავახეთისა (ივერიის ეკლესია და მისი სამღვდელოება), გაზ. „საქართველო", №269, თბ., 1916
40. ახალი ამბავი (ვასილ კარბელაშვილი მოღვაწეობა ქართული გალობის გავრცელების საქმეში), გაზ. „ივერია", №79, თბ., 1890
41. გაზ. „დროება", №14, თბ., 1876
42. გაზ. „დროება", №165, თბ., 1881
43. გაზ. „დროება", №35, თბ., 1909
44. გაზ. „ივერია", №147, თბ., 1902
45. გაზ. „სიტყვა", №4, თბ., 1906
46. გაზ. „სიტყვა", №10, თბ., 1906
47. გაზ. „ცნობის ფურცელი", №735, თბ., 1899
48. გაზ. „ცნობის ფურცელი", №923, თბ., 1899
49. „გვირგვინი" (ძველი სასულიერო მწერლობა №11 გამოც. მღვდ. ვ. კარბელაშვილის მიერ), გაზ. „ივერია", №242, თბ., 1892
50. გოგიჩაიშვილი ფ., საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, გაზ. „ივერია", №4, თბ., 1906
51. გოგიჩაიშვილი ფ., სამღვდელოების ბრძოლა, გაზ. „ივერია", №21, თბ., 1906

52. დეკანოზი ვ. კარბელაშვილი, ქართული საეკლესიო გალობის შერყევნა, გაზ. „საქართველო", №92, თბ., 1920
53. ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), საეკლესიო მუზეუმი (1899-1912), გაზ. „სახალხო გაზეთი", №754, თბ., 1912
54. ვ. კარბელაშვილის ქართლ-კახური გალობის ნოტები, გაზ. „ცნობის ფურცელი", №227, თბ., 1897
55. ვ. კარბელაშვილი – გალობა და მისი მომდინარეობა, გაზ. „ცნობის ფურცელი", №440, თბ., 1898
56. იმედაშვილი ი. – მოკეთე, საზაფხულო საპედაგოგო კურსები თბილისში, გაზ. „ივერია", №160, თბ., 1897
57. მღვდ. ვ. კარბელაშვილი, წმიდა ნინოს შემოსვლა საქართველოში (საისტორიო მასალა), გაზ. „ივერია", №37, თბ., 1894
58. ნოტები ქართულის გალობისა – შედგენილი მღვდელ ვ. კარბელაშვილის მიერ, გაზ. „ცნობის ფურცელი", №683, თბ., 1898
59. ორიოდ სიტყვა ძველი ქართული გალობის აღდგინების თაობაზედ, გაზ. „დროება", №164, თბ., 1881
60. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ამიერკავკასიის ორგანიზაციათა საქალაქო კომიტეტის საარჩევნო პლატფორმა, გაზ. „ერთობა", №177, თბ., 1917
61. საეკლესიო სიძველეთსაცავი ტფილისის სიონის ტაძართან, გაზ. „სახალხო გაზეთი", №714, თბ., 1912
62. საისტორიო მასალა, გაზ. „ივერია", №175, თბ., 1888
63. საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, გაზ. „ივერია", №274, თბ., 1888
64. „სამოთხის ყვავილი – 300 კიდობანი, ვ. კარბელაშვილის გამოცემა" [რეც. – ჯანაშვილი მ., ბიბლიოგრაფია], გაზ. „ივერია, №199, თბ., 1895
65. სამღვდელოების დეპუტატთა კრება, გაზ. „ისარი", №277, თბ., 1907
66. სამღვდელოების კრება, გაზ. „ალი", №43, თბ., 1908
67. სამღვდელოების წარმომადგენლები ამიერკავკასიის კომისართან, გაზ. „სახალხო ფურცელი", №827, თბ., 1917
68. საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება და მისი უნჯი

(კასსა) სასულიერო წოდებისათვის საქართველოს ეპარქიისა, გაზ. „ივერია", №230, თბ., 1893

69. საქართველოს სამღვდელოების წერილი ეპისკოპოს ნიკონისადმი, გაზ. „სიტყვა", №11, თბ., 1906
70. საქართველოს ეკლესია და მისი დამოუკიდებლობა – ეკლესიისა და სინდისის თავისუფლება ძველ საქართველოში, გაზ. „საქართველო", №10, თბ., 1915
71. საქართველოს ეკლესია და მისი დამოუკიდებლობა, გაზ. „საქართველო", №12, თბ., 1915
72. საქართველოს ეკლესია და მისი დამოუკიდებლობა, გაზ. „საქართველო", №15, თბ., 1915
73. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, გაზ. „საქართველო", №72, თბ., 1917
74. საქართველოს საკათალიკოსო ეკლესია, გაზ. „საქართველო", №99, თბ., 1917
75. სინოდის განკარგულება, გაზ. „ისარი", №152, თბ., 1907
76. ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრების საყურადღებოდ, გაზ. „სიტყვა", №1, თბ., 1906
77. ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრება, გაზ. „სიტყვა", №7, თბ., 1906
78. ქართველი სამღვდელოება, გაზ. „იმერეთი", №34, ქუთაისი, 1914
79. ღია წერილი სამღვდელოებას, გაზ. „საქართველო", №164, თბ., 1916
80. ჩვენი სასულიერო საქმეები, გაზ. „დროება", №202, თბ., 1881
81. ჩვენი ისტორიული ნაშთნი და მათი სვე, გაზ. „ივერია", №159, თბ., 1895
82. ჩვენი ისტორიული ნაშთნი და მათი სვე, გაზ. „ივერია", №162, თბ., 1895
83. ჩვენი ისტორიული ნაშთნი და მათი სვე, გაზ. „ივერია", №163, თბ., 1895
84. ჩვენი ისტორიული ნაშთნი და მათი სვე, გაზ. „ივერია", №169, თბ., 1895
85. ჩვენი ისტორიული ნაშთნი და მათი სვე, გაზ. „ივერია", №170,

თბ., 1895
86. ცვლილებანი სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში, გაზ. „ისარი", №58, თბ., 1907
87. Газ. „Кавказъ", №250, Тф., 1908
88. Итоги съезда духовенство Грузинской епархій, газ. „Закавказье", №5, Тф., 1908

## III საარქივო მასალა

### ა) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივი

89. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №1
90. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №4
91. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №9
92. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №13
93. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №20
94. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №24
95. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №27
96. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №29
97. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №31
98. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №35
99. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №37
100. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №38
101. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №46
102. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №49
103. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №52
104. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №53
105. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №56
106. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №58
107. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №59
108. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №65
109. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №66
110. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №68

111. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №86
112. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №87
113. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №103
114. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №113
115. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №140
116. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №145
117. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №149
118. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №172
119. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №173
120. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №187
121. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №193
122. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №199
123. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №202
124. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №203
125. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №204
126. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №205
127. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №211
128. ე. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №228
129. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №244
130. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი №668
131. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი № 687
132. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი № 693
133. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი № 762
134. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი № 797

## ა) საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი (სსცსა)

135. ფონდი 12, აღწ. 16, საქმე №167
136. ფონდი 488, აღწ. 1, საქმე №22766
137. ფონდი 488, აღწ. 1, საქმე №24558
138. ფონდი 488, აღწ. 1, საქმე №26750
139. ფონდი 1459, აღწ. 1, საქმე №41
140. ფონდი 1461, საქმე №342

# პირთა საძიებელი


ა

აბაშიძე ვ. 53
აბაშიძე კ. 116
აბულაძე ი. 114
ალექსანდრე III (რომანოვი) 26
ალექსანდრე (ოქროპირიძე) 32, 44, 9, 105
ალექსი I (ოპოცკი), საქართველოს ეგზარქოსი 27, 91, 92
ალექსი II (მოლჩანოვი), საქართველოს ეგზარქოსი 108
ალექსი-მესხიშვილი ი. 35
ამბროსი (ხელაია), კათოლიკოს-პატრიარქი 39, 105, 108
ანდრია პირველწოდებული 55
ანანია (ჯაფარიძე) 8, 9, 13
ანნა (გრიგოლ კარბელაშვილის მეუღლე) 42
ანტონ I, კათოლიკოს-პატრიარქი 141
ანტონ II, კათოლიკოს-პატრიარქი 23
ანტონი, უწმიდესი სინოდის თავმჯდომარე 99
ანტონი (გიორგაძე) 32, 103, 116, 121
ანტონი (თოთიბაძე) 69, 101
ანთაძე კ. 114

ბ

ბაგრატ ქართველი 56
ბარნოვი ვ. 74
ბაქრაძე დ. 13
ბენეშევიჩი ვ. 119
ბესარიონი (ჯაში) 101
ბროსე მ. 77

გ

გაბრიელი (ქიქოძე) 32
გამდლიშვილი 69
გვარამაძე ივ. 13
გიორგი მთაწმინდელი 15
გიორგი XII, ქართლ-კახეთის მეფე 17
გიორგი (გამრეკელი) 191
გიორგი (ალადაშვილი) 98, 121
გიორგი (კარიბოვი) 97
გოგებაშვილი ი, 31, 52, 62, 63
გოილაძე ვ. 13
გორგაძე ს. 101
გრიგოლი (კარბელაშვილი) 35, 41
გრიგოლი (მღებრიშვილი) 79
გუნია ვ. 53
გოლიცინი გ. 27

დ

დავითი (კაჭახიძე) 32, 39, 105, 108, 120
დევიძე ს. 114
დიმიტრი (ხახუტაშვილი) 97
დიასამიძე გ. 121
დოსითეოსი, არქიმანდრიტი 121
დუმბაძეები 81

ე

ევსევი (ილინსკი), საქართველოს ეგზარქოსი 35
ერისთავი დ. 53
ეპიფანე (სხირტლაძე) 97
ერეკლე II, ქართლ-კახეთის მეფე 17, 74

ვ

ვარაზაშვილი ა. 9

ვარლამი (ერისთავი), საქართველოს ეგზარქოსი 23
ვარგანოვი 92
ვახტანგ გორგასალი 14
ვახუშტი ბატონიშვილი 13, 74
ვორონცოვ-დაშკოვი 98

თ

თამარ მეფე 17
თამარაშვილი მ. 8
თეოდოსი, ანტიოქიის პატრიარქი (XI ს.) 15

ი

იანოვსკი კ. 26
იოანე (ვოსტორგოვი) 26, 27, 93
იოსები (ნიჯავაძე) 32, 98, 104, 121
იოანიკე (რუდნევი), საქართველოს ეგზარქოსი 44
იოსელიანი ა. 9
იოსელიანი პლ. 13, 75
ისიდორე (ნიკოლსკი), საქართველოს ეგზარქოსი 41
იპოლიტოვ-ივანოვი 79
იროდიონი (ოქროპირიძე) 97, 114
იეროთეოზი (აივაზოვი) 101
ილია II (შიოლაშვილი), კათოლიკოს-პატრიარქი 16
იუნიცკი ა. 92

კ

კალისტრატე (ცინცაძე), კათოლიკო-პატრიარქი 10, 69, 99, 100-101, 110-112
კარბელაშვილი ელიზბარი 46
კარბელაშვილი თამარი 46
კარბელაშვილი შალვა 46
კარბელაშვილი ნინო 46
კარბელაშვილი ელიზავეტა 46
კარბელაშვილი ბიძინა (ბარძიმი) 46
კარბელაშვილი სიდონია 41, 42
კირიონ I, კათალიკოსი 120
კირიონ III (საძაგლიშვილი), კათოლიკოს-პატრიარქი 11, 32, 39, 67, 91, 95, 104, 108, 120
კეკელიძე კ. 11, 13, 101, 105
კოშკინი 44

ლ

ლეონიდე (ოქროპირიძე), კათოლიკოს-პატრიარქი 12, 32, 69, 72, 95, 96, 98, 105, 115, 117-119, 136, 144
ლვოვი თ. დ. 119.

მ

მარკოზი (ტყემალაძე) 69, 101, 103
მარგიშვილი, არქიმანდრიტი 121
მარქსი კ. 107
მიხეილი (მძინარიშვილი) 97
მეგრელიძე მ. 90
მესხი ს. 51, 52
მესხი კ. 53
მესხიშვილი ნ. 42
მოლოდინაშვილი ა. 79
მიხაილოვსკი 69
მიქეილ მოდრეკილი 73

ნ

ნინო, ქართველთ განმანათლებელი 56, 73
ნიკოლაძე ევ. 8
ნიკოლაძე ნ. 52
ნიკოლოზ I (გულაბერისძე) კათოლიკოს-პატრიარქი 75, 141
ნიკოლოზ II (რომანოვი) 111
ნიკოლოზ არქიმანდრიტი 121

ნიკოლოზ (ნალიმოვი), საქართველოს ეგზარქოსი 99
ნიკონი (სოფიისკი), საქართველოს ეგზარქოსი 85, 98-100, 102-104
ნიკიტა (თალაკვაძე) 101
ნერონი 64
ნესტორი (მაჭარაშვილი) 120
ნედელსკი 61, 91

ო

ორბელიანი გ. 35

პ

პავლე (ლებედევი), საქართველოს ეგზარქოსი 26, 44
პავლიაშვილი ქ. 9, 50
პაპაჯანოვი მ. 116
პეტრე მოციქული 56
პეტრე (კონწუაშვილი) 69
პეტრე I, რუსეთის იმპერატორი 21
პეტრე (კარბელაშვილი) 41
პეტრე (კაპანაძე) 97
პეტრე (კონჭოშვილი) 98
პლატონი (როჟდესტვენსკი), საქართველოს ეგზარქოსი 111, 114
პიროსი (ოქროპირიძე) 74, 103, 121
პოლიევქტოსი (კარბელაშვილი) 32, 41, 43, 79, 91, 143
პურიშკევიჩი 104

ჟ

ჟორდანია თ. 11

რ

რაზუმოვსკი 84
რამიშვილი ნ. 143

ს

საბა, კათალიკოსი (VI ს.) 14
საბინინი მ. 13
საფაროვა ტ. 53
სტეფანე (რუსთველი) 41

ტ

ტარასი (ივანიცკი) 68

ფ

ფალიაშვილი ზ. 85
ფრეზე 90
ფილადელფოსი (კიკნაძე) 32
ფილიმონი (კარბელაშვილი) 41, 43
ფილიმონი (ქორიძე) 81

ქ

ქრისტეფორე (ციცქიშვილი), კათოლიკოს-პატრიარქი 97, 101

ყ

ყანჩაველი ალ. 121
ყიფიანი დ. 35, 44

შ

შველიძე დ. 10

ჩ

ჩხარტიშვილ მ. 13

ც

ცაგარელი ვ. 53

ჭ

ჭავჭავაძე ილ. 10. 13. 42-43. 51, 88-89, 105-106, 108

ხ
ხახანაშვილი ა. 78
ხუციშვილი მ. 8

ჯ
ჯავახიშვილი ივ. 8, 13
ჯაფარიძე შ. 10
ჯანაშვილი მ. 75, 78, 120, 144
ჯულელი ა. 52

ჰ
ჰარნაკი ა. 52

# გეოგრაფიული საძიებელი

ა
აზერბაიჯანი 45
ალავერდი 20, 22, 121
ამიერკავკასია 48, 114, 116
ანტიოქია 15
ართვინი 119
აფხაზეთი 94, 116, 120
ახალქალაქი 121
ახალციხე 121

ბ
ბათუმი 94, 05, 116, 119, 121
ბაქო 92, 95, 119
ბზიფი 116
ბოდბე 22§ 121
ბორჩალო 121
ბუქარესტი 91

გ
განჯა 92
გიში 121
გორი 41, 45, 93, 121
გურია 90, 121
გუჯივანი (სოფელი) 92

დ
დავით გარეჯი 22

ე
ელიზავეტპოლი 119
ერევანი 119

ვ
ვლადიკავკაზი 95

ზ
ზაქათალა 88, 94, 95, 116, 119

თ
თბილისი 43, 721 84, 88, 90-92, 94-94, 97, 116, 119, 121, 123-124
თელავი 46

კ
კავკასია 26, 49, 98, 119
კახეთი 22
კონსტანტინეპოლი 15

ლ
ლაზისტანი 121

მ
მეისარი (სოფელი) 92
მოსკოვი 15, 44, 78
მცხეთა 20, 22

ნ
ნავთლუღი 44, 48
ნუხა 45
ნიკორწმინდა 121
ნიქოზი 121

პ
პალესტინა 55

პარიზი 73

რ

რაჭა 121
რუსეთი 5, 15, 21-23, 36, 39, 98, 104, 117, 147.

ს

სამეგრელო 120
სამურზაყანო 94
საქართველო 6-7, 8, 13-15, 17-18, 20, 22-23, 26, 29, 35, 37, 41-42, 44, 49, 50, 55, 65, 86, 87, 89, 91, 93, 96, 99-100, 102, 104, 115, 119, 124, 147
სალიანი (სოფელი) 92
სოხუმი 88, 95, 116, 119
სოჭი 116
სამცხე-ჯავახეთი 76, 77, 86, 151

ტ

ტავრიმანია 56
ტრაპიზონის ვილაიეთი 112

ქ

ქართლ-კახეთი 5, 17, 20, 22
ქვათხევ-მღვიმე 22
ქვემო ჭალა (სოფელი) 41
ქუთაისი 88, 94, 95, 116, 119

ყ

ყარსი 95, 119

შ

შარადილი (სოფელი) 92
შავიზღვისპირეთი 119
შირვანი 92
შიო-მღვიმე 41
შემახია 45, 92

ჭ

ჭოროხის ხეობა 56
ჭყონდიდი 120